№ h-43
1925

წითელი დახმარება

5



რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია

შინაარსი

1. **რემედას-ის საერთაშორისო დღე** 1.
2. **პარიზის კომუნა.** (ნაწყვეტ. კ. მარქსის წერილიდან) 2.
3. **როგორ აწამეს კომუნისტები** 5.
   ა) კომუნარების დახვრეტა.
   ბ) გენერალი გალიფე.
4. **ორი წელი მუშაობის** (მისალმებები) 7.
   ა) კომინტერნისაგან.
   ბ) გლეხინტერნისაგან.
   გ) ახალ. კომინტერნ.
5. **მოწოდება** (რემედას-ის აღმასკომისა) 8.
6. **მოწოდება** (საქართველოს რემედას-ის ცენტრალური კომიტეტისა). 10.
7. **პარიზის კომუნის წლის თავი და წითელი დაღმარების საერთაშორისო დღე** (თეზისები) 11.

ლიტერატურა

8. **ლუი ნიკულინ—კომუნა** (ლექსი) 13.
9. **ლუი მიშელ—**(ლექსები) **ბარიკადები და ღამე კალედონიაში.** 13—14.
10. **ტრისტან მაჩაბელი—ლუი-შარლ დელეკლიუზი** (ლექსი) 15.
11. **პ. ოდიშელი—ქრონიკები** (თეთრი ლექსი) 15—17.

გურჯუაზიულ სახელმწიფოებში

12. **გერმანია** 18.
13. **1795 წელი კატორღის—**რასტასი 20.
14. **ესტონეთის პროლეტარიატის ჯალათების ზეიმი—**მარსი 22.
15. **იტალიის ფაშისტების მძიმე ულტის ქვეშ—**Varmaro 22.
16. **ბალკანეთი**
    ა) იონ გრეცა 23.
17. **ჟორჟ ვალიე—**ანდრე მარტი 24.
18. **პოლონეთი**
    ა) თეთრი არწივის მრისხანების ქვეშ 25.
    ბ) პოლონეთის ციხეებში—გ. კ- 26.
    გ) ხელები შორს ჩვენს დეპუტატებისაგან 27
    დ) ამხ. ლანცუცკის წერილი 27—28.
19. **რუმინეთის საპყრობილეში** 29.
20. **იმპერიალიზმის ახალშენებში** 30.
    ა) ეგვიპტე—**ა. ხასხან.**
    ბ) „კაროლის დაცველნი“—„დამცველნი რევოლიუციისა“—**ხ. ვერიტას** 31.
    გ) კუნძულ იავაზე—**სატრა** 32.
21. რემედას-ი და II-რე ინტერნაც.—**მ. ტკაჩუკი** 32—33.
22. რემედას-ი საბჭოთა აღმოსავლეთში—**ნურიე** 33.

რემედას-ი უცხოეთში

23. 1. რემედას-ის უცხოელი სექციების მოღვაწეობიდან—**ა. ხ—ან** 34.
    2. საფრანგეთი. 3. რემედას-ი გერმანიაში. 4. რემედას-ის კომპანია ინგლისში. 5. რემედას-ის ახალი ორგანიზაცია.

რემედას-ის აღმასკომის უკანასკნელი ცნობები

24. 1. გერმანია. 2. პოლონეთი. 3. ავსტია 4. თეთრი ტერორი პოლონეთში. 5. ამხ. ლანცუცკის გასამართლება და სხვ. 37.

რემედას ი საქართველოში

25. **წერილები ადგილებიდან** 41.
    1. ტფილისის განყოფილება. 2. ახალციხის მაზრა. 3. ქ. ფოთი. 4. დუშეთის მაზრა. 5. ქუთაისის მაზრა. 6. ქ. ჭიათურა. 7. ზუგდიდის მაზრა. 8. სენაკის მაზრა და 9. სამხრეთ ოსეთი.

26. **ქრონიკა** 44.

363(ნ)(05)
ა43

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



1925 წ. მ ა რ ტ ი № 5

634

რემედას-ის საერთაშორისო დღე

სოციალისტური რევოლიუციის პირველი მაგალითი მოგვცა პარიზის კომუნამ. 54 წლის წინათ პარიზის პროლეტარიატმა პროლეტარული დიქტატურის, მუშათა მთავრობის დროშა ააფრიალა. პარიზის კომუნა იყო პირველი მუშათა ხელისუფლება მთელ მსოფლიოში. როგორც პირველ ცდას, პარიზის კომუნის მუშაობას მრავალი მეცდომა ახასიათებდა. მაგრამ მთავარი, რაც მოგვცა პარიზის კომუნარების მრძოლამ—პროლეტარულ მოძრაობის ისტორიული გაკვეთილები,—უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო მუშათა კლასისათვის.

დამარცხდა პარიზის კომუნა. რამოდენიმე ათეული ათასი კომუნარი დაიღუპა თავისუფლების სადარაჯოზე. ბურჟუაზიამ შური იძია კლასიურ მტერზე. მაგრამ მან ვერ შესძლო კომუნის იდეის დამარცხება, მუშათა მასსებში განიარაღება სოციალისტურ და კომუნისტურ აზრებისაგან.

თანამედროვე მსოფლიო წარმოადგენს ერთ მილიონ უზარმაზარ სახელმწიფოს, სადაც გაშლილია სამოქალაქო ომის ველები. მართალია, კლასთა ბრძოლის სიძლიერე ერთნაირად არაა გაღვივებული ქვეყნის ყველა კუთხეებში. მუშათა საერთაშორისო მოძრაობაში ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში უკვე გამართულია კლასთა ხელჩართული ბრძოლა. ამ ბრძოლის სიმწვავე განსაკუთრებით საგულისხმოა დაჩაგრულ, ეროვნულად დამონავებულ, კოლონიალურ ქვეყნებში. კოლონიების მუშათა კლასი და გლეხობა პრაქტიკულ სიბრტყეზე სვამს თავის ქვეყნის განთავისუფლების საკითხს. ვითარდება მოძრაობა ინდოეთში, ეგვიპტეში, ავღანისტანში, ავსტრალიაში, ყველა გაძვალტყავებულ ახალშენში.

ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზია კარგად გრძნობს უკანასკნელი დღეების მოახლოვებას. ის ყოველგვარი საშუალებით სცდილობს სისხლში ჩაახრჩოს რევოლიუციონური მოძრაობა. ამ მიზნის განსახორციელებლად ბურჟუაზია არ ერიდება არავითარ ღონისძიებას. პირველი ბასრი იარაღი არის თეთრი ტერორი. მუშათა კლასის ხელმძღვანელი, მოწინავე ელემენტები სისტემატიურად იდევნებიან, იხვრიტებიან, „უგზო უკვლოდ“ იკარგებიან კაპიტალის გამხეცებულ თავდასხმის პირობებში. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს მუშათა წინამძღოლების, მებრძოლ რევოლიუციონერების ასეთი ჟლეტა. თუ წინეთ ათობით და ასობით იღუპებოდნენ, დღეს ათასობით და ათი ათასობით იტანჯებიან ბურჟუაზიულ საპყრობილებსა და ციხე-კატორღებში. ბურჟუაზიამ დაადვა მძიმე ბორკილები მუშათა მოძრაობის ხელ-ფეხს, მოუსპო პროლეტარიატს ორგანიზაციულად დარაზმვის შესაძლებლობა. მუშათა კავშირები ინგრევა, მუშათა პრესა იდევნება, მუშათა კრებები იხურება. ბურჟუაზია ზეიმობს „გამარჯვებას“. დიახ, საერთაშორისო რეაქცია მეფობს, კაპიტალის ბრჭყალები სულს უხუთავს მებრძოლ რევოლიუციონერებს.

ჩვენ ვიცით ერთი დებულება: რეაქციის გათამაშება შედეგია რევოლიუციონურ მოძრაობის. ბურჟუაზია გადმოდის შეტევაზე, რადგან მებრძოლი მუშათა კლასი ირაზმება, იარაღს აჟღარუნებს მდიდრებისა და მუქთახორების გასანადგურებლად. ამიტომ დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა სრულიადაც არ გვაგდებს სასოწარკვეთილებაში. პირიქით, რეაქციის განვითარება გვიორკეცებს ბრძოლის უნარს, ანთებს პროლეტარულ წრეებში პოზიციური და არა მარტო ბარიკადული ომების კოცონს.

ვინც ადევნებს თვალ-ყურს საერთაშორისო პოლიტიკურ ცვლილებებს, მისთვის მრავალი რამ ხდება მისაწვდომი და გასაგები. ბურჟუაზია აძლიერებს თეთრ ტეროროს რევოლიუციის წინააღმდეგ, მაგრამ ასეთივე ტერორის მოხმარა ვერ შესძლო მან პოლიტიკაში. აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ბურჟუაზიული მთავრობები განუწყვეტლივ ცვლიან ერთმანეთს და ამ ცვალებადობაში თანდათან ბარდებიან „ფანტასტიურ გეგმებს“, რომლის მიხედვით სურდათ ელვის სისწრაფით მოეხდინათ რევოლიუციონურ მოძრაობის ლიკვიდაცია. ბურჟუაზია ანგარიშს უწევს რეალურ ძალას. ეს ძალაა მუშათა კლასი და გლეხობა. ბურჟუაზიას შეუძლია დროებით დაანარცხოს ბრძოლის მე-

სვეურები, მაგრამ მას არ შეუძლია შრომა კაპიტალს სამუდამოდ დაუმორჩილოს.

პარიზის კომუნის დამარცხება ოცდა ათი ათასი დალუპულით აღინიშნება. საფრანგეთის ბურჟუაზია დაკმაყოფილდა ამ „მცირე“ მსხვერპლით. ევროპის ბურჟუაზიამ დაანთო საერთაშორისო ომის ცეცხლი და 12 მილიონი კაცი შესწირა თავის მიზნების განხორციელების ცდას. ამ ჟამად იგივე მტაცებლურ ბურჟუაზიას ციხეებში დამწყვდეული ყავს 100 ათასი მებრძოლი რევოლიუციონერი. ვინ იცის, ახლო მომავალში რამდენად შეიცვლება არსებული მდგომარეობა.

რემედას-ი—საერთაშორისო რევოლიუციის მაგარი ხერხემალი,—პარიზის კომუნის დღეს საკუთარ დღეთ აცხადებს, მას აქვს ამისი უდაო უფლება. პარიზის კომუნარების მიზნები ასულმდგმულებს რევოლიუციისათვის მებრძოლებს. მომავალი საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუცია გაანაღდებს პარიზის კომუნის საკაცობრიო ოცნებას. იგი დაამყარებს მთელს მსოფლიოში შრომის ხელისუფლებას. ამისთვის იბრძვიან ევროპის, ამერიკის, აზიის, აფრიკის და ავსტრალიის რევოლიუციონერები, რომელთა საკმაო ნაწილი სულს ღაფავს თეთრ ტერორსა და მძიმე ბორკილებს სიმძიმის ქვეშ. რემედას-ი მთელს ქვეყანაში მოახდენს დღეს თავის რიგების ალღუმს, მეპრძოლ ძალების მობილიზაციას. რემედასი არის ცოცხალი პროტესტი თეთრი ტერორის წინააღმდეგ, იგი არის ფართო, მშრომელ მასსების კავშირი, ორგანიზაცია, რომლის ისტორიული დანიშნულებაა ხელი შეუწყოს იმ ხანძრის გაძლიერებას, რომელიც გადაბუგავს ბურჟუაზიულ ქვეყანას.

შეგნებელი მუშა, გათვითცნობიერებული გლეხი, პატიოსანი მოქალაქე დღეს შეუერთდება რემედას-ის რაზმებს, აქტიურ მონაწილეობის ძიღებას შეუდგება რემედას-ის მიზნების განხორციელების საქმეში. ეს იქნება ხელთუქმნელი ძეგლის აგება პარიზის კომუნარების ხსოვნისათვის.

პარიზის კომუნა

(ნაწყვეტი კ. მარქსის წერილიდან).

I.

1871 წლის 18 მარტს პარიზი გამოაღვიძა ძლიერმა ყიჟინამ—**გაუმარჯოს კომუნას!**

რა არის ეს კომუნა, ეს სფინქსი—რომელიც ასე მძიმე ამოცანად წამოიჭრა ბურჟუაზიული აზროვნების წინაშე?

„პარიზის პროლეტარებმა,—სწერდა 18 მარტს მანიფესტში ცენტრალური კომიტეტი, იგემეს რა დამარცხება და გაბატონებულ კლასების ღალატი, გაიგეს, რომ დადგა დრო, როდესაც მათ თვითონ უნდა დაიცვან ქვეყანა და ხელში აიღონ საზოგადოებრივი მართვა-გამგეობა... ისინი მიხვდენ, რომ მათი მოვალეობაა, რომ მათ უდაო უფლებას შეადგენს გახდენ საკუთარი ბედის ბატონ პატრონი და ხელთ აიღონ მთავრობის ძალა უფლება“.

მაგრამ მუშათა კლასს არძალუძს დაიპყრას მზამზარეული სახელმწიფო მანქანა და გამოიყენოს იგი თავისი მიზნებისათვის.

ცენტრალური სახელმწიფოებრივი ხელისუფლება თავისი ყველკან არსებულ ორგანოებით, რომელიც ემყარება შრომის განაწილების სისტემატიურსა და იერარქიულ პრინციპებს:

რეგულიალური ჯარებით, პოლიციით, ბიუროკრატიით, სასულიერო წოდებით და მოსამართლეებით, არსებობს აბსოლიუტურ მონარქიის დროიდან, როდესაც ის უძლიერეს იარაღს წარმოადგენდა მაშინ ახლად ამომავალ ბურჟუაზიულ საზოგადოებისათვის ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში; მაგრამ ადგილობრივი და აზნაურული პრეროგატივები, ადგილობრივი პრივილეგიები, ქალაქებისა და ამქრების პრივილეგიები და პროვინციალური დებულებები,—ყველა ეს საშუალო საუკუნეთა ნაშთები აფერხებენ მის განვითარებას

საფრანგეთის XVIII საუკუნის უძლიერესმა რევოლიუციამ აღგავა პარისაგან მიწისა წარსულ საუკუნეთა ეს უწმინდური ნაგავი და ამრიგად გასწმინდა საზოგადოებრივი ნიადაგი უკანასკნელ დაბრკოლებებისაგან თანამედროვე ახალ სახელმწიფოს მოსაწყობად. ეს შენობა აიმართა პირველ იმპერიის დროს, რომელიც გამოწვეული იყო ძველი ნახევრად ფეოდალურ ევროპის კოალიციონურ ომებით ახალი საფრანგეთის წინააღმდეგ.

ბატონობის ფორმების შემდეგი განვითარების დროს მთავრობა დაუქვემდებარდა პარლამენტის კახტროლს ე. ი. შეძლებულ კლასთა უშუალო კანტროლს. ერთის მხრით ის გადაიქცა აურაცხელ სახელმწიფოებრივი ვალებისა და მძიმე გადასახადების გამავრცელებლათ, იგი გახდა უთანხმოების მიზეზი გაბატონებულ კლასების მეტოქე ფრაქციებსა და ავანტიურისტებს შორის, რომელთაც იგი იზიდავდა თავისი ადმინისტრაციულის ძალით, შემოსავლითა და თანამდებობებით, რომელიც მის ხელში იმყოფებოდა; მეორეს მხრივ საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებათა ზეგავლენით შეიცვალა მისი პოლიტიკური ხასიათიც იმისდა მიხედვით, თუ როგორ ანვითარებდა, აფართოებდა და აღრმავებდა კლასობრივ წინააღმდეგობას კაპიტალსა და შრომას შორის თანამედროვე მრეწველობის პროცესი. სახელმწიფოებრივი ხელიუსფლება უფრო იღებდა ისეთ საზოგადოებრივ ძალის ხასიათს, რომელიც ემსახურებოდა მუშათა კლასის დამონავებას და იღებდა კლასიურ ბატონობის სახეს.

თვითოეულ რევოლიუციის შემდეგ, რომელიც წარმოადგენდა ერთ ნაბიჯს წინ კლასობრივ ბრძოლაში, სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას, როგორც ჩაგვრის იარაღის ხასიათი უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა.

II

კომუნა იყო პირდაპირი მოწინააღმდეგე იმპერიისა. ლოზუნგი:

— **გაუმარჯოს სოციალურ რესპუბლიკას!** —რომლითაც პარიზის პროლეტარიატი მიესალმა თებერვლის რევოლიუციას, გამოხატავდა, მხოლოდ გაურკვეველ ლტოლვას, ისეთ რესპუბლიკისაკენ, რომელიც არა მარტო მოსპობდა კლასიურ ბატონობის მონარქიულ ფორმას, არამედ თვით კლასიურ ბატონობასაც მოულებდა ბოლოსა კომუნა არ იყო ასეთი რესპუბლიკის განსაზღვრული ფორმა.

პარიზი, ძველი მთავრობის ყოფილი რეზიდენცია და ცენტრი აგრეთვე საფრანგეთის მუშათა კლასის საზოგადოებრივი ცენტრი,—პარიზი იარაღით ხელში აუჯანყდა ტიერისა და მემამულეთა პალატის ცდას აღედგინათ და განემტკიცებიათ ეს ძველი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება, რომელიც იყო ძველი იმპერიის მემკვიდრე.

პარიზს შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ვერსალისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ალყის შემორტყმამ გაანთავისუფლა ჯარისაგან, რომლის ადგილი დაიკავა ეროვნულმა გვარდიამ და რომლის უმეტესი ნაწილი მუშებისაგან შესდგებოდა. ამიტომ კომუნის პირველი დეკრეტი იყო: **რეგულიალური ჯარის დაშლისა, და მისი შეიარაღებული ხალხით შეცვლის შესახებ.**

კომუნა შედგენილი იყო მუნიციპალური მრჩევლებისაგან (ხმოსნები), რომლებიც არჩეულნი იყვნენ პარიზის ოლქის მიერ საყოველთაო კენჭის ყრით. მისი წევრები იყვნენ პასუხისმგებელნი და მათი შეცვლა ყოველთვის შეიძლებოდა, მათ უმრავლესობას, როგორც ეს თავისთავად იგულისხმება, მუშები ან მუშათა კლასის ცნობილნი წარმომადგენლები. **კომუნა უნდა ყოფილიყო არა საპარლამენტო დაწესებულება, არამედ საქმიანი კოლეგია, რომლის ხელში იყო, როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ძალაუფლება.** პოლიციას, რომელიც მანამდე იყო სახელმწიფო ძალა-უფლების იარაღი, დაუყონებლივ ჩამოართვეს ყველა მისი უფლებები და იგი გადაიქცა კომუნის პასუხისმგებელ იარაღად, რომლის შეცვლა ყოველთვის შეიძლებოდა.

ასეთივე ბედი ეწვია მოხელეებს (чиновники) და მართვა-გამგეობის სხვა დარგებს. დაწყებული კომუნის წევრებიდან და გათავებული ქვედა ფენებით, საზოგადოებრივ თანამდებობის პირთ ეძლეოდათ ხელფასის რაოდენობის მიხედვით.

პრივილეგიები და ჯამაგირები, წარმომადგენლებისათვის, რომლითაც სარგებლობდენ მაღალი თანანამდებობის პირნი მოისპო, გაჰქრა მასთან ერთად. საზოგადოებრივი თანამდებობანი აღარ შეადგენდა ცენტრალურ მთავრობის კრეატურის კერძო საკუთრებას. **არა მარტო ქალაქის თვითმმართველობა, არამედ მთელი ინიციატივა, რომელიც მანამდე სახელმწიფოს ეკუთნოდა, გადავიდა კომუნის ხელში.**

დაშალა რა რეგულიალური ჯარი და პოლიცია, ძველი მთავრობის მატერიალური ძალის ეს იარაღი, **კომუნა დაუყონებლივ შეუდგა სასულიერო წოდების ძალა-უფლების, სულიერი დამონავების ამ იარაღის დაშლასაც მან დეკრეტით დააკანონა ყველა ეკლესიების დაშლა და ექსპროპრიაცია, რამდენადაც ეს ეკლესიები იყვნენ ქონების მესაკუთრე კორპორაციები. მღვდლები უნდა დაბრუნებოდნენ კერძო ხალხთა ჩვეულებრივ ცხოვრებას და მათი წინაპრების — მოციქულების დაგვარად ეცხოვრათ მორწმუნეთა მოწყალებით.** ყველა სასწავლებლები ეკლესიისა და სახელმწიფოს გარეშე უფასო გახდა ყველასათვის. ამრიგად სასკოლო განათლება **ყველასათვის მისაწვდომი გახდა. მეცნიერება განთავისუფლდა კლასობრივ ცრუ-მორწმუნეობისა და მთავრობის ბორკილებისაგან.**

მოსამართლეებს ის მოჩვენებითი დამოუკიდებლობა, რომელიც მხოლოდ ჰფარავდა მათ მორჩილებას რიგრიგობით შეცვლილ მთავრობებისადმი. ისინი ყოველ მთავრობას აძლევდენ ფიცს ერთგულებისას და ყოველ მათგანს ღალატობდენ, როგორც საზოგადოების სხვა თანამდებობის პირნი, ისინიც ხალხის მიერ ირჩეოდნენ, იყვნენ პასუხისმგებელნი და კიდეც შესაძლო იყო მათი შეცვლა.

პარიზის კომუნა უნდა გამხდარიყო ნიმუში საფრანგეთის ყველა სამრეწველო ცენტრებისათვის. თუ კომუნა დამყარდებოდა პარიზსა და მეორე ხარისხოვან ცენტრებში, ძველი ცენტრალისტური მთავრობა პროვინციაშიაც დაუთმობდა ადგილს მწარმოებელთა თვითმართველობას. ნაციონალურ ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვაში, რომლის ფართოდ დამუშავება კომუნამ ვეღარ მოასწრო, პირდაპირ არის ნათქვამი, **რომ კომუნა უნდა გახდეს პოლიტიკური ფორმა სულ პატარა სოფლებშიაც კი და მუდმივი ჯარი მთელს ქვეყანაში უნდა იქნას შეცვლილი სახალხო მილიციით, სულ მოკლე ვადიან საჭსახურით.**

ოლქის მთავარ ქალაქებში გამართულ რწმუნებულთა კრებას უნდა განეგო თვითეულ ოლქის ყველა სოფლების თემთა საერთო საქმეები, ხოლო ამ საოლქო კრებებს უნდა გაეგზავნათ რწმუნებული ნაციონალურ კრებაში, რომელიც პარიზში იყო მოწვეული; რწმუნებულებს **სისწორით უნდა აესრულებიათ თავიანთი ამომრჩევლების ინსტრუქციები.**

მცირეოდენი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციები, რომელიც ცენტრალურ მთავრობის ხელში დარჩა არ უნდა ყოფილიყო გაუქმებული, როგორც აღნიშნავდენ ამას კომუნის მტრები. ეს ფუნქციები უნდა გადაცემოდა კომუნალურ მოხელეებს, რომელნიც იყვნენ სასტიკად პასუხისმგებელნი. **კომუნა კი არ შლიდა, არამედ ის აერთებდა ერის მთლიანობას. ეს მთლიანობა უნდა გამხდარიყო რეალობათ, იმ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მოსპობის შემდეგაც, რომელიც სთვლიდა თავს ამ მთლიანობის გამომსახველად. და რომელიც ფიქრობდა დამდგარიყო ერის ზევით, მისგან დამოუკიდებლად, სინამდვილეში კი ის იყო პარაზიტი ერის სხეულზე.**

ამხობდა რა ძველი მთავრობის იმ ორგანოებს, რომელიც მხოლოდ ჩაგვრას ემსახურებოდენ, კომუნა ხელიდან გლეჯდა ამ მთავრობას მის კანონიერ ფუნქციებს და აძლევდა მათ საზოგადოების პასუხისმგებელ მოსამსახურეებს.

საყოველთაო კენჭის ყრის უფლება მანამდე ჰქონდა ხალხს ყოველ სამ და ნ წელში გაბატონებულ კლასის რომელიმე წევრის ასარჩევად, რომელიც წარმომადგენლობდა პარლამენტში და არსებითად კი სჩაგრავდა ხალხს, ეხლა კი ეს უფლება უნდა გამხდარიყო კომუნაში დარაზმულ ხალხისათვის ისეთსავე უფლებათ, როგორიც იყო თვითეულ დამქირავებლის ინდივიდუალური ხმის უფლება თავის წარმოებისათვის მუშების, ზედამხედველების და

ბულალტერების გამონახვის დროს. საზოგადოებაც, ისევე, როგორც ცალკე პირები, ყოველთვის ახერხებდა თავის პრაქტიკულ ნაწარმოებისათვის შესაფერ ადამიანების გამონახვას, და თუ ზოგჯერ სცდებიან, ძალიან ჩქარა ასწორებენ თავიანთ შეცდომებს. **მეორეს მხრივ კომუნა, თავისი შინაარსით, წინააღმდეგი იყო საყოველთაო ხმის მიცემის იერარქიულ ინვესტიტურით შეცვლისა.**

III

საზოგადოების ყველა ახალი ისტორიული ფორმები ჩვეულებრივათ ითვლებიან უფრო ძველ, დრო-მოჭმულ საზოგადოებრივ ცხოვრების ახარეკლათ, რომელსაც ისინი ასე თუ ისე ჰგვანან. **სწორეთ ამგვარადვე, ახალ კომუნასაც, რომელმაც დაამხო სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, სთვლიან საშუალო საუკუნოების იმ კომუნების აღორძინებათ, რომელნიც წინ უსწრობდენ ამ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას და შეადგენდენ მის საფუძველს.** კომუნალურ აღმშენებლობას შეცდომით სთვლიდენ ცდათ შეეცვალათ პატარა სახელმწიფოების ქავშირით (რომელზედაც ოცნებობდენ მონტესკიე და ჟირონდისტები) დიდი ერების გაერთიანება, რომელიც თუმცა ძალდატანებით იყო მოხდენილი, მაგრამ ეხლა მძლავრ ფაქტორად გადაიქცა საზოგადოებრივ წარმოებისათვის.

კომუნის ანტაგონიზმს სახელმწიფოებრივ ხელისუფლებასთან შეცდომით სთვლიდენ ცენტრალიზაციის წინააღმდეგ წარმოებულ ძველი ბრძოლის გადამეტებათ. ზოგიერთ ქვეყნებში მთავრობის იმ ბურჟუაზიულ ფორმის განვითარებას, რომლის ნიმუშად ითვლება საფრანგეთი, ხელს უშლიდენ ზოგიერთი ისტორიული პირობები; ამ პირობებმა შექმნეს მაგ. ის, რომ ინგლისის მთავარ ცენტრალურ სახელმწიფოებრივ ორგანოებს ავსებენ სამრევლო კრებები, ქალაქის საბჭოების ანგარების მოყვარე წევრები, ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა გამხეცებული მზრუნველები და სოფლებში ფაქტიურად შთამომავლობითი მომრიგებელი მოსამართლეები. ყველა ისეთ ძალებს, რომელსაც მანამდე საზოგადოებრივი ორგანიზმი ჰკარგავდა „სახელმწიფოს“ ამ საზოგადოების სისხლის მსმელ პარაზიტის წყალობით, ყველა ამ ძალებს ხელახლა დაუბრუნებდა მას კომუნალური წეს-წყობილება. მხოლოდ ამით იგი ხელს შეუწყობდა საფრანგეთის აღორძინებას.

პროვინციალურ ქალაქების ბურჟუაზია ხედავდა კომუნაში ცდას აღედგინა ის ბატონობა სოფელზე, რომლითაც ის სარგებლობდა ლუი-ფილიპეს დროს, და რომელიც ლუი-ბონაპარტეს დროს მოსპობილ იქნა სოფლების მოჩვენებითი ბატონობით ქალაქებზე. ნამდვილად კი კომუნას სურდა დაემორჩილებია ის მწარმოებლები ახლო მდებარე ქალაქების გონებრივ ზეგავლენისათვის და უზრუნველ ეყო ქალაქის მუშათა წარმომადგენლობაში მათი ინტერესები, კომუნის მხოლოდ არსებობის ფაქტიდან ბუნებრივათ გამომდინარეობდა ადგილობრივი თვითმართველობა, მაგრამ ეს ადგილობრივი თვითმართველობა არ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საწინააღმდეგო, რომელიც სრულიად ზედმეტად ითვლებოდა. მხოლოდ რომელიმე ბისმარკს, რომელიც ინტრიგებისაგან მთელ თავისუფალ დროს ანდომებდა თავის ძველ, მის გონებრივ განვითარების შესაფერისს გაზ. „კლადერადაჩა“-ს თანამშრომლობას,—მხოლოდ ასეთ ადამიანს შეეძლო ეფიქრა, რომ პარიზის კომუნა, არსებითად, ილტვოდა პრუსიის საქალაქო წესწყობილებისაკენ—საფრანგეთის 1791 წლის ქალაქის წესწყობილების კარიკატურისაკენ, რომელიც ქალაქის საბჭოებს პრუსიის სახელმწიფოებრივ პოლიციურ მექანიზმის მეორე ხარისხოვან ორგანიზაციად სახავდა.

მოსპორა არმიის და მოხელეების შესანახი მთავარი ხარჯები, კომუნამ განახორციელა ყველა ბურჟუაზიულ რევოლიუციების იდეალი—**იაფი მთავრობა**. თვით მისი არსებობა იყო უარყოფა მონარქიისა, რომელიც არის ევროპაში კლასიური ბატონობის ჩვეულებრივი ბალასტი და აუცილებელი ნიღაბი. კომუნამ შეუქმნა რესპუბლიკას ნამდვილ დემოკრატიულ დაწესებულებათა საფუძველი. მაგრამ არც იაფი მთავრობა და არც **„ჰეშმარიტი რესპუბლიკა“** არ იყო მისი საბოლოო მიზანი, **ერთიც და მეორეც თავად, სხვათა შორის, მოეწყო.**

კომუნის მნიშვნელობის სხვადასხვაგვარი დაფასება, სხვა და სხვა ინტერესები, რომელსაც ის გამოხატავდა, ამტკიცებს, რომ იგი იყო გაზვიადებული სახელმწიფოებრივი ფორმა იმ დროს, როდესაც მთავრობების ძველი ფორმები არსებითად იყვენ ჩაგვრის ფორმები.

მისი საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არსებითად იყო მუშათა კლასის მთავრობა, მწარმოებელთა და გაყვლეფილ გლეხთა შორის წარმოებულ ბრძოლის შედეგი ისეთი დიდი ხნის წინად სანატრელი ფორმა, რომლის დროსაც მოხდებოდა შრომის განთავისუფლება.

ამ უკანასკნელ პირობის გარეშე კომუნა წარმოუდგენელია, უამისოთ იგი უბრალო მოჩვენებაა.

მწარმოებელთა პოლიტიკურ მოგონებას არ შეუძლია იარსებოს სოციალურ დამონავების გვერდით.

ამიტომ კომუნა უნდა გამხდარიყო იარაღად იმ ეკონომიურ საფუძვლების დანგრევისათვის, რომელზედაც დამყარებულია კლასების არსებობა, და მაშასადამე კლასიური ბატონობაც, რადგანაც შრომა განთავისუფლდება, ყველანი მუშებათ გახდებიან და საწარმოო შრომა აღარ იქნება ერთი რომელიმე კლასის კუთვნილება.

უცნაური ამბავია: ჩაიგდებენ თუ არა მუშები თავის ხელში მთელ საქმეს, მაშინვე მიუხედავათ ყოველივე იმისა, რაც ამ უკანასკნელ 60 წლის განმავლობაში იწერებოდა შრომის განთავისუფლების შესახებ, გაისმის თანამედროვე საზოგადოების დამცველთა ჰიმნები, მისი ორ მოწინააღმდეგე პოლიუსებით: კაპიტალით და დაქირავებულ შრომის მონობით (**მიწის მესაკუთრეები არიან ეხლა მხოლოდ კაპიტალისტების უსიტყვო კომპანიონები**). თითქოს კაპიტალისტური საზოგადოება ჯერ კიდევ ქალწულებრივ სისპეტაკეში და უხრწნელობაში იმყოფებოდეს! თითქოს არ იყოს განვითარებული მისი საფუძვლები, არ გამომჟღავნებულიყოს მისი თვალთმაქცობა, არ გამოაშკარავებულიყოს მისი გახრწნილი სინამდვილე! კომუნარსო, ამბობენ ისინი, სურს მოსპოს კერძო საკუთრება, მთელი ცივილიზაციის საფუძველი! დიახ, კომუნას სურდა მოესპო ის კლასიური საკუთრება, რომელიც მრავალთა შრომას რამდენიმე პირთა სიმდიდრეთ აქცევს. მას სურდა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია. მას სურდა მართლაც შეექმნა ინდივიდუალური საკუთრება და საწარმოვო საშუალებანი—მიწა და კაპიტალი, რომელიც უპირველეს ყოვლისა დამონავების და შრომის ექსპლოატაციის იარაღს წარმოადგენს, გადაექცია თავისუფალ და გაერთიანებულ შრომის იარაღად.

მაგრამ ეს ხომ კომუნიზმია, „შეუძლებელი“ კომუნიზმი! მაგრამ გაბატონებულ კლასთა შორისაც გამოინახენ ისეთი ადამიანები, რომელთაც გაიგეს, რომ დღევანდელი საქმის ვითარება დიდხანს არ გასტანს. ისინი გახდენ კოოპერაციულ წარმოების მაბეზარა და მყვირალა მოციქულები. და **თუ კოოპერატიული წარმოება ცარიელი სიტყვები და მოტყუება არ არის, თუ მან უნდა განდევნოს კაპიტალისტური სისტემა, თუ ასოციაციები აწყობენ ნაციონალურ წარმოებას საერთო ვეგმით,** და თავის გამგეობასთან აიღებენ ამ წარმოებას და მით ბოლოს მოუღებენ მუდმივ ანარქიას პერიოდილ კონვულსიებს,—რომელიც აუცილებელია კაპიტალისტურ წარმოების დროს,—განა ეს არ იქნება გეკითხებით თქვენ, მოწყალეო ხელსწიფენო, **კომუნიზმი, „შესაძლებელი“ კომუნიზმი.**

მუშათა კლასი არ მოითხოვდა სასწაულებს კომუნისაგან, იგი არ ფიქრობს განახორციელოს სახალხო გადაწყვეტილების საშუალებით დამზადებული დასრულებული უტოპიები. **მან იცის, იმისათვის, რომ მიაღწიოს თავის განთავისუფლებას და ცხოვრების მაღალ აღსაბას**, რომლისაკენაც ილტვის თანამედროვე საზოგადოება თავისი ეკონომიური განვითარების ძალით, **მას მოუხდება მედგარი ბრძოლის წარმოება, მთელი რიგი იმ ისტორიულ პროცესების გამოვლა, რომელიც სავსებით შესცვლიან ადამიანებს და გარემოებებს.** მუშათა კლასს მოელის არა რომელიმე იდეალების განხორციელება, არამედ იმ ახალი საზოგადოების ელემენტებისათვის გასაქანის მიცემა, რომელიც უკვე განვითარდა დაშლის პროცესში მყოფ ბურჟუაზიულ საზოგადოების წიაღში.

მთელი თავისი ისტორიული მოწოდების შეგნებით, გმირულ გამბედაობით აღსავსე—მუშათა კლასს შეუძლია უპასუხოს ხიზღიანი ღიმილით მეგაზეთე-ლაქიების გათახსირებულ ლანძღვაზე და ბურჟუა დოქტრინიორების კეთილ ზრახვებით აღსავსე მეცნიერულ დარიგებებზე, რომელნიც უცოდველი ორაკულის ხმით ქადაგებენ თავის ცრუ მოძღვრებას და სთავაზობენ მათ მიერ შეთხზულ რეცეპტებს.

როდესაც პარიზის კომუნამ მიიღო რევოლიუციის ხელმძღვანელობა, როდესაც უბრალო მუშებმა პირველად გადასწყვიტეს ხელი შეეხოთ თავის „ბუნებრივ უფროსის“ პრივილეგიისათვის, სახელდობრ, მართვა-გამგეობის პრივილეგიისათვის,—ისინი შეუდგნენ მუშაობას მეტად მძიმე პირობებში და ასრულებდენ ამ მუშაობას კეთილსინდისიერათ და წარმატებით; მათი ჯილდო არ აღემატებოდა იმ ჯამაგირის ერთ მეხუთედს, რომელსაც ღებულობდა, ცნობილ ავტორიტეტის—პროფესორ გეკსლის სიტყვით, ლონდონის სასკოლო საბჭოს მდივანი. ძველი მსოფლიო იკლაკნებოდა სიბრაზისაგან, როდესაც მან დაინახა წითელი დროშა—შრომის რესპუბლიკის სიმბოლო ქალაქის რატუშაზე.

როგორ აწყობს კომუნისტებს [1])

I.

კომუნარების დახვრეტა

„ტყვეების პარტია შეჩერდა ურიხის ხეივანში. ის დარაზმეს ტროტუარზე ოთხ-ხუთ მწკრივად. გენერალი მარკიზ-დე-გალიფე და მისი შტაბი ჩქარობდენ და მარცხენა ფრთიდან დაიწყეს ხაზის დათვალიერება. გენერალი ნელ-ნელა მიიწევდა წინ და ათვალიერებდა რიგებს; დრო-გამოშვებით ის ჩერდებოდა, დაადებდა რომელიმე ტყვეს მხარზე ხელს ან ანიშნებდა ვინმეს, უკანა რიგებში მდგომს გადმოსულიყო წინ. ამრიგად გადარჩეული ტყვეები მწკრივდებოდენ შუა-ქუჩაში, სადაც უეცრად შეადგენდენ მთელ მწყობრს.

ცხადია, რომ აქ დაშვებული იქნებოდა მრავალი შეცდომები. ერთმა ცხენზე მჯდომმა ოფიცერმა მიუთითა გენერალს კაცზე და ქალზე, რომელთაც ბრალს სდებდენ



დახვრეტილი კომუნისტები უდინოს ქუჩაზე.

განსაკუთრებულ დანაშაულში. ქალი სასწრაფოდ გამოვიდა რიგიდან, დაეცა მუხლებზე და ხელაპყრობით დაიწყო

[1]) ინგლისელ ბურჟუაზიული გაზეთების პარიზელ კორესპოდენტების წერილი 1871 წ.

თავისი უდანაშაულობის მტკიცება. გენერალმა დააცალა მას ლაპარაკი და როდესაც ის ერთი წუთით შეჩერდა, წარმოსთქვა, სავსებით დამშვიდებით, არავითარი მოძრაობა მის სახეს არ დატყობია: „ქალბატონო მე ვყოფილვარ პარიზის ყველა თეატრებში, ტყუილად დროს ნუ კარგავთ კომედიის თამაშში“ [1])...



გენერალი გალიფე.
(პარიზის კომუნის ჯალათი)

ვაი მას, ვინც განირჩეოდა სხვებისაგან სიმაღლით, სიბინძურით, სისუფთავით, წლოვანობით ან მოუხუმაობით. ერთი კაცი როგორც მე შევამჩნიე, განთავისუფლებული იქნა ამ მიწიერ ჯოჯოხეთისაგან მხოლოდ თავისი ჩავარდნილი ცხვირის გამო...

[1]) Ilne vaut la peine de la comedie.

ამრიგად გადაარჩიეს ასზე მეტი კაცი, მათ დასახვრეტად დასტოვეს ერთი გუნდი ჯარისკაცები, ხოლო დანარჩენი პარტია წაიყვანეს წინ. რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩვენს უკან მოისმა თოფის სროლა, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით 15 წუთს.

ეს იყო უბედურების, გადარჩეულების და ყოველგვარი გასამართლების გარეშე დასჯილების ამოქლეტა“.

გაზეთ **„დაილ ნევს“-ის** პარიზელი კორესპოდენტი.

8 ივნისი 1871 წ.

II.

გენერალი გალიფე

ეს გალიფე, რომელიც ცხოვრობდა თავის ცოლის ხარჯზე, ცოლის, რომელმაც გაითქვა სახელი თავისი სხეულის მეორე იმპერიის ორგიებზე გამოტანით, იყო ცნობილი ომის დროს საფრანგეთის პრაპორშჩიკის სახელწოდებით.

„ტან“ ი, ძლიერ დაკვირვებული გაზეთი, რომელსაც არ უყვარს სენსაციური ხმების გავრცელება, მოგვითხრობს შემაძრწუნებელ ამბებს იმ კომუნარებზე, რომლებსაც სავსებით არ კლავდნენ და მარხავდნენ ცოცხლად.

„მრავალი გვამი დამარხეს **წმინდა იაკობის** მოედანზე, ზოგიერთ მათგანს ძლივს ფარავდა მიწა. დღისით ქუჩის ხმაურობა ყველაფერს ჰფარავდა, მაგრამ **ღამით მახლობელ სახლებში მცხოვრებლები გამოაღვიძა ყრუ კვნესამ... დილით კი დაინახეს მიწიდან ამოშვერილი მუშტები.. ამის გამო გაცემული იყო ბრძანება ამოეთხარათ გვამები.**

ცხადია, რომ ბევრი დაჭრილები ცოცხლად იყვნენ დამარხულნი...

აი ფაქტი, რომლის დამტკიცება მე შემიძლია. **ბრიუნელი** და მისი ცოლი დახვრეტილ იქმნენ 24 მაისს —ვანდომის მოედანზე ერთი სახლის ეზოში. ისინი იქ დასტოვეს 27-დე.


როდესაც 27 მივიდნენ გვამების წასაღებად, აღმოჩნდა, რომ ქალი ცოცხალი იყო და ის წაიყვანეს საავადმყოფოში.

მიუხედავად იმისა, რომ ის დაჭრილია ოთხი ტყვიით მას არავითარი საფრთხე არ მოელის“.

გაზეთ: **„ევენინე სტანდარტ“-ის** კორესპოდენტი.

3 ივლისი 1871 წ.





ორი წელი მუშაობის

(30/XI 1922—30 XI 1924 წ.)

რემედასი, რომელიც წარმოიშვა ძველი ბოლშევიკების პატარა ჯგუფიდან ორი წლის ნაყოფიერ მუშაობის შემდეგ თავის უდიდესი მნიშვნელობით ისეთ უზარმაზარ ორგანიზაციად გაიზარდა, რომ ის დღეს თავის რიგებში ითვლის სამ მილიონ ნახევარზე მეტ წევრებს. რემედასი ხდება ერთად ერთ ზურგში მებრძოლ ორგანიზაციად, რომელიც ეხმარება მსოფლიო პროლეტარიატს, საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის აფეთქებაში და ბურჟუაზიული ქვეყნების საბოლოოდ განადგურებაში – ის ხდება საბოლოო გამარჯვების ფაქტად. მწარე დღეებში, როდესაც ბურჟუაზია მთელი თავისი სისასტიკითა და მრისხანებით განადგურებას უქადის მუშათა კლასის მოძრაობას, ეს იდეა მეტად თვალსაჩინოდ სდგას მუშათა კლასის წინაშე... ის არის მისი მომავალის ერთად-ერთი მტკიცე იმედი. ჩვენ ვიცით ჩვენ მოვიყვანთ მთელ რიგ მისასალმებელ წერილებს, რომელიც მიიღო რემედას-ის აღმასკომმა მისი მუშაობის 2 წლის თავზე.

კომინტერნისაგან

ძვირფასო ამხანაგებო!

ორი წლის წინეთ, როდესაც თვალსაჩინო გახდა ის გარემოება, რომ, თეთრი ტერორი არ არის გარდამავალი მოვლენა, არამედ არის სისტემა, რომლის საშუალებითაც ბურჟუაზიული სახელმწიფოები ამაგრებენ თავიანთი ბატონობას, დაარსებულ იქმნა რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომ დახმარება გაეწია რევოლიუციონურ ბრძოლების მსხვერპლთათვის და უშუალო დახმარებით გვერდში ამოდგომოდენ მათ, რევოლიუციონურ ბრძოლის მძიმე გზაზე.

რემედას-ის 2 წლის მუშაობა მიმდინარეობდა, თეთრი ტერორისა და მათი სასამართლოების მძვინვარების მძიმე პირობებში, რომელიც ყველა ქვეყნებში ველურ ჯირითით უტევდა მუშათა მოძრაობას და ასობითა და ათასობით ანადგურებდა მათ მტკიცე რიგებს. მისი ზრდა და მუშათა კლასის თვითშემოწირულება იყო სოლიდარული პასუხი—ბურჟუაზიისა და თეთრი ტერორის დაუნდობელი თარეშის გაძლიერების წინააღმდეგ. დღითი-დღე ემატებოდა მუშათა ფართე მასსები მის რიგებს და ირაზმებოდენ რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის დროშის ქვეშ.

რევოლიუციონური სოლიდარობის ორგანიზაციის შექმნით თქვენ გადააგდეთ ყოველგვარი სენტიმენტალური და მეშჩანური წუწუნი „ჰუმანისტობისა". თქვენი ლოზუნგი იყო:

— სოლიდარობა არის მოვალეობა!—ამასთან ერთად თქვენ განუცხადეთ მუშათა კლასს, რომ არც ერთ ორგანიზაციას არ შეუძლია მათი ხსნა ბურჟუაზიის კლანჭებიდან, არც ერთ დახმარებას არ შეუძლია, აიძულოს ბურჟუაზია ხელი აიღოს ტერორისტულ აქტებზე... აღძრას მასში რევოლიუციონერებისადმი შებრალება-შეწყნარების გრძნობა.

მხოლოდ რევოლიუციონური ბრძოლა... მხოლოდ პროლეტარის გამარჯვებას შეუძლია თეთრი ტერორის განადგურება: დაეხმაროს ტყვე რევოლიუციონურ გმირებს.

ამაში მდგომარეობს, რევოლიუციონურ ორგანიზაციის თვისება, მებრძოლ პროლეტარიატისა: განუწყვეტელი კავშირი ჯდიდეს მსხვერპლთა მზადებისა და შეურყეველი ლტოლვისა მუშათა კლასის ტანჯვა-წამების დასაბამის საბოლოოდ მოსასპობად.

მესამე წელში თქვენ ისევ გიხდებათ შეუწყვეტელი ბრძოლის წარმოება რევოლიუციონურ პროლეტარიატის დასახსნელად კაპიტალის ჯინის კედლებიდან. თქვენს წინ წამოჭრილ მეტად მძიმე ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს თქვენგან კვლავინდებურის სიმტკიცით, ენერგიით მთელი ძალღონისა და ნერვების დაჭიმვას. კომუნისტური ინტერნაციონალი მთელი თავის ძალ-ღონით თქვენთან არის ამ ბრძოლის წარმოებაში... ამ მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო მუშაობაში. ის ავალებს ყველა მის სექციებს მთელი შესაძლებლობით დაეხმაროს რემედას-ს, ორგანიზაციულსა და პროპაგანდა-აგიტაციის საქმეში.

ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ წელსაც შესძლებთ ნაყოფიერ მუშაობის წარმოებას და თქვენს რიგებში მშრომელთა ფართე მასსების ჩათრევას, რომელიც უტყუარი პირობაა საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლთა დასახმარებლად და სოციალისტური რევოლიუციის დასაჩქარებლად მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

გაუმარჯოს პროლეტარულ სოლიდარობას!

გაუმარჯოს რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციას!

კომუნისტური ინტერაციონალის

აღმასრულებელი კომიტეტი.

გლეხთა ინტერნაციონალისაგან

მხურვალე სალამს ვუძღვნით, რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციას, მისი არსებობის 2 წლის თავზე. გლეხთა ინტერნაციონალი იკრეფს თავის გარშემო მთელი ქვეყნის მშრომელ გლეხობას და მიჰყავს ის რევოლიუციონურ მუშათა კლასთან ერთად, მტკიცე რიგებით ბურჟუაზიისა და მემამულეთა საწინააღმდეგო ბრძოლაში. რევოლიუციონური ბრძოლის გარეშე წარმოუდგენილია გლეხთა საბოლოო განთავისუფლება. რემედას-ი დახმარებას უწევს მილიონობით დევნილ-მუშებსა და გლეხებს, ის ანხორციელებს უდიდეს საქმეს: **მთელი ქვეყნის გლეხობის განთავისუფლებას ჩაგვრა-მონობისაგან.**

მშრომელი გლეხობა ილტვის შეავსოს თავის რიგებით რემედას-ის ძლიერი ორგანიზაცია, გაჰყვეს მის დროშას მსოფლიო პროლეტარიატთან ერთად ძველი ქვეყნის დასანგრევად... ახალი, შრომის სამეფოს ასაშენებლად.

ჩვენ მზად ვართ რევოლიუციისათვის მებრძოლ გმირების დასახმარებლად!

გაუმარჯოს რემედას-ს!

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების საერთაშორისო კავშირს!

გლეხინტერნი.

ახალგაზრდათა კომინტერნისაგან

რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამ მისი ბელადის **კარლ ლიბკნეხტის** სიკვდილის შემდეგ დაარსა: **ლიბკნეხტის სახელობის ფონდი.** რევოლიუციონური ახალგაზრდობა ყოველთვის ოცნებობდა მშრომელ მასსების განმტკიცებაზე. რემედას-ი ანხორციელებს ამ უდიდეს საქმეს საერთაშორისო მასშტაბით. ამზადებს რა, მსოფლიო პროლეტარიატს კაპიტალის სისხლიანი ჯალათების წინააღმდეგ—რემედას ი საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში თამაშობს უდიდესი როლს.

გერმანიის თეთრი იუსტიციის ციხე-სიმაგრეში იტანჯება 2.000 რევოლიუციონური ახალგაზრდობა. ყოველ ახალგაზრდა მუშას, თუ გლეხს უნდა ახსოვდეს, რომ რემედას-ის დახმარებით: ის ეხმარება გერმანიისა და საერთაშორისო პროლეტარულ ახალგაზრდობას ბურჟუაზიასთან ბრძოლაში.

დაეხმარეთ ტყვე-რევოლიუციონურ ახალგაზრდობას!

ახალგაზრდათა კომუნისტური
ინტერნაციონალის მდივანი: რ. გიტნერი.

მოწოდება

მთელი ქვეყნის მუშებს, რემედას-ის ყოველ წევრს!

ბალტიის მხარის ქვეყნებში: ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში და ფინლიანდიაში მძვინვარეს თეთრი ტერორი. ამ ქყეყნების მმართველი წრეები შერყეულნი არიან თავიანთი უმწეო ბედით, მათ ელანდებათ კარზე მომდგარი საფრთხე. მათ არ აძლევთ მოსვენებას ის უბედურება, რომელსაც უმზადებს მშრომელთა აჯანყებები ადგილობრივ ბურჟუაზიას. რეველში მომხდარ ამბების შემდეგ მთელი ეს მხარე წარსდგა მუშათა მასსიურ აჯანყებების საფრთხის წინაშე. უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმოებულ მასსიურ დაჭერებს, მუშებისა და გლეხების დევნას პროფესიონალურისა და სხვა ორგანიზაციების განადგურებას, ბურჟუაზია ამართლებს კომუნისტების აჯანყებით გამოწვეული შიშით.

ყოვლად უმნიშვნელო მოთხოვნილებებიც კი, რომლითაც მიმართავენ მუშათა წრეები მთავრობას იკრძალება, როგორც „კომუნისტური საფრთხე“.

უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში მთელს ბალტიის მხარეში: ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში და ფინლიანდიაში—ჩატარებულია მასსიური ჩხრეკა და „დაკვირვებული„ დაპატიმრებები.

შეპყრობილია სამ ნახევარ ათასზე მეტი მუშები და გლეხები. მთელს მხარეში პატიმართა მიმართ მიღებულია სასტიკი ზომები. საზღვარი არა აქვს ტყვეების ცემა-წამებას.

ესტონეთში დეკემბრის აჯანყების შემდეგ დახვრეტილია 500-ზე მეტი მუშა. მოხდა 6000 გაჩხრეკა 2500 მუშები და გლეხები ჩაყრილია ციხეებში.

ლიტვაში 2 თვის განმავლობაში მოხდა 1000 მეტი გაჩხრეკა. დაპატიმრებულია 3000 მუშები, გლეხები და მოსამსახურეები.

ფინლიანდიისა და ლატვიის ბურჟუაზიული პრესა აწარმოებს გაცხარებულ კამპანიას, რათა ნიადაგი მოუმზადოს თავის საზიზღარ საქციელს, „საზოგადოებრივ აზრში“. ასე უმასპინძლდება ბალტიის მხრის ქვეყნებში ბურჟუაზია და მისი თეთრი ტერორი მუშათა და გლეგთა მასიურ აჯანყებებს. ასეთი ხრიკებით ლამობს ის გაამართლოს თავისი საქციელი.

ლატვიის ფაშისტებმა ბოლშევიკების ძებნის დროს **ბომბები ჩაყარეს პროფესიონალურ გაზეთ „ლაიკმესტ“ის რედაქციაში. დასწვეს საავადმყოფოს კასა ქ. ვოლმარეში.**

მიუხედავად ყოველივე ამისა ბურჟუაზიას მაინც ვერ აკმაყოფილებს თეთრი ტერორის „მოღვაწეობა“. მას საკმარისად არ მიაჩნია ეს ზომები.

საშუალო საუკუნეთა ტანჯვა წამების განახლება—აი, ბალტიის მხრის ქვეყნების ბურჟუაზიის სახელმწიფო მმართველობის სწორი გეგმა.

მშრომელი კაცობრიობა დღესაც ზიზღითა და კრულვით იგონებს საშუალო საუკუნეთა ინკვიზიციის ტანჯვა-წამებას, რომელსაც ადგილი ქონდა კათოლიკეთა ეკლესიის გახრწნის დროს. დღეს კი 20 საუკუნეში—ბურჟუაზია, ამ ჟამგადასულ საშუალებას ანხორციელებს და იყენებს მას თავის კლასის „გასაახალგაზრდებლად, ფეხებგამოშლილი ძველი ქვეყნის წამოსაყენებლად. ბალტიის მხრის ქვეყნების მშრომელთ კვლავ მოეელინა ინკვიზიცია განახლებულ ფორმებში, რომელსაც ხელმძღვანელობს ბურჟუაზია თავის საბოლოო გახრწნის დროს.

ბალტიის მხარის ქვეყნების მთავრობებს გადაწყვეტილი აქვთ იყოლიონ თეთრი ტეროორი, რომელიც დაუნდობლად, შეუწყნარებლად გაანადგურებს მუშათა აჯანყებებს, მის მოწინავე ელემენტებს. ამით სურს ბურჟუაზიას თავი დააღწიოს კარზე მომდგარ „ბოლშევიკურ საფრთხეს“.

გამოცდილი ინკვიზიტორები ახერხებენ მათთვის საჭირო ცნობების შეკრებას ყოვლად შეუწყნარებელი და საზიზღარი საშვალებით. ცემით. წამებით, ტანჯვით და სხვ. ართმევენ პატიმრებს ჩვენებას და აწერინებენ ხელს, თითქოს ეს ნამდვილი მათი ჩვენეებაა, რაზედაც ხელი მოაწერეს.

ჩვენების „გამოკითხვის“ დროს ტეროორი არ ერიდება არავითარ საშუალებას. „დამნაშავეებს“ სვამენ **ელე-**

ქტრონის აბანოში. უშვებენ შიგ ელექტრონის ძლიერ შუქს, პატიმარს ეკარგება გრძნობა, ეცემა ძირს, აქედან ის გამოყავთ ნახევრად მკვდარი. ასე სწარმოებს ჩვენების ჩამორთმევა, თუ პატიმარი ვერ იძლევა საკმარის ცნობებს აძლიერებენ წამების საშუალებას. ლიტვაშიაც შემოიღეს ელექტრონის საშუალებით ჩვენების ჩამორთმევა, მაგრამ სულ სხვაგვარად. დამნაშავის სხეულში უშვებენ ელექტრონის ძალას, რომლითაც ის ეცემა უგრძნობლად, რამოდენიმე დღის შემდეგ სცემენ მას და ასე დაუსრულებული ტანჯვის საშუალებით „იგებენ საჭირო ცნობებს“ ხშირად პატიმარი საერთოდ ჰკარგავს გრძნობას. იროყევა ჰკუიდან. ესტონეთში სანამ დაკითხავდენ პატიმარს სვამენ მას ელექტრონის სკამზე, შემდეგ სცემენ მას მავთულის მათრახით და სხვ. ასეთი წამების დროს ამხ. **კრუზამიაგიმ** (ესტონეთში) ისკუპა მესამე სართულიდან—ის დაიმტვრა სავსებით. ნახევრად მკვდარი **კრუზამიაგი** ოხრანკამ მოათავსა იქვე, სადაც 5 საათის შემდეგ გარდაიცვალა.

უკანასკნელ ხანებში ლიტვაში, ლატვიაში და ესტონეთში შემოიღეს სრულიად ახალი საშვალებები. უჭერენ მუცელზე, რომელიც ადამიანს აყენებს სიკვდილის პირზე. სცემენ ფეხებით **სასქესო ნაწილებზე**. მარწუხებით სწევენ სხეულის ნაწილებს. ლიტვაში კვლავ შემოიღეს ძველი ტრადიცია, მეფის ოხრანკის უმფროსის **გრეგუას**, საშვალებები. ლატვიის ოხრანკის უმფროსი მარტისონი იწყებს დაკითხვას ტკბილად და მშვიდათ, ბოლოს კი ისევე ტკბილათ შესთავაზებს პატიმარს სახეზე მაგარ სილას. შემდეგ სტაცებს ხელებს თმაში, ასწევს მაღლა პატიმარს და მთელი ძალღონით დაახლის იატაკზე. გოლდინგენის სამაზრო ციხეში ასეთი წამების შემდეგ ორმა პატიმარმა მოიკლა თავი.

ფინლიანდიის პოლიციის უფროსი **სარენი** პატიმარს სცემს ყურზე 50-ჯერ. ვოლკოვიშსკის ოხრანკის უფმროსი **ბეჟისი** მიმართავს ყველა ჩამოთვლილ ხერხებს, რის შემდეგ ის კბილებითაც კბენს პატიმრებს.

ბალტიის მხრის ბურჟუაზიას სამსახურში ყავს ყოველად ზნედაცემული ხალხი, რომლებიც თავიანთი მოქმედებით მიდიან სადიზმამდის.

პატიმართა და ნაწამებ ამხანაგების სახელსა და გვარს მალავენ. მალავენ აგრეთვე დასახიჩრებულ ამხანაგებსაც.

ლიტვიის ოხრანკა, პატიმარ ამხ. შმეკაუსკაიტეს ათრევს ერთი ციხიდან მეორე, მესამეში, მეოთხეში და ასე დაურულებლივ, რომ მშობლებს არ ჰქონდეს მისი ნახვის საშვალება. რომ წამების დროს პატიმართა ყვირილი არ გაშორდეს ციხის კედლებს, მათ თავზე წამოაცმევენ რეზინას.

ესტონეთის თეთრი ტერორის საზიზღროება განშორდა ყოველგვარ საზღვარს. რეველში აჯანყების მეორე დღეს ხვრეტავდენ მთელს ოჯახებს, სტოვებდენ მხოლოდ ბავშებს. დახვრეტილ იქმნა ვაკმანის ოჯახის მთელი შემადგენლობა: ორი შვილი 15 წლისა და 21 წლის, მისი დედა 50 წ. რომელიც დახვრეტამდის შეიშალა. მუშა **სოანსის** ოჯახში დახვრიტეს 4 კაცი. რეველში, არ არის ისეთი მუშის ოჯახი სადაც დახვრეტილი არ იყო 4—5 ოჯახის წევრი. დახვრეტილთა და დაპატიმრებულთა შორის ძლიერ ცოტაა აჯანყებაში მონაწილენი.

დაჭერები სწარმოებდა და დღესაც სწარმოებს, ლეგალურ გაზეთის ხელის მომწერლებსა და პროფკავშირების სიის მიხედვით.

ბალტიის მხრის ქვეყნების მთავრობები თეთრი ტერორის ასეთ თავგასულობას ხსნიან აჯანყების მოწყობის ცდით, რომლისთვის ემზადება მუშათა კლასი ამ ხმარეში; მაგრამ ლატვიაში და ფინლიანდიაში ჯერ არ ყოფილა აჯანყება და არც არის ამისი ნიშნები, რომ ეს იქნეს ახლო მომავალში. არ არის მისი ორგანიზაციული მზადების სიმპტომები.

ბურჟუაზიულ გაზეთების ცნობით ესტონეთის აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა სულ 3000 კაცი. მარტო ქ. რეველში დახვრეტილია 500 კაცი.

ბალტიის მხარის ბურჟუაზია მხეცურად ასამართლებს ყველა „დამნაშავეებს“ „საეჭვო“ პირებს. მას ეშინია თავისი მუშების. მას ეშინია კლასიურად—მომზადებულ და შნგნებულ მუშებისა. მიუხედავად იმ სასტიკი დევნისა: და რეპრესიებისა, რომელსაც ადგილი აქვს მთელს ამ მხარეში, მუშათა კლასმა მაინც შესძლო ბალტიის მხარის ქვეყნების პროლეტარულ მასსებში თავისი ძლიერი თანაგრძნობას მოპოება. მას მიჰყავს მთელი ბალტიის მხარის მშრომელი კლასი მტკიცე რიგებით ბურჟუაზიის შავი რეჟიმის დასამხობად.

უმწეო მდგომარეობაში, სიღარიბე-სიღატაკეში და სიბნელეში ჩაცვენილი ბალტიის მხარის მშრომელი ხალხი ეძებს—და არც შეუძლია არ ეძიოს გამოსავალი გზა ამ საშინელ მდგომარეობიდან.

განა მათ არა აქვთ უფლება სიცოცხლისა და შრომისა?

ბურჟუაზიის გამხეცებული და ველური ჯალათები თარეშობენ ევროპის ფაშისტების ფულით და დახმარებით. მათ სისხლიან ორგიებს არა აქვს საზღვარი და საზომი. ისინი განაგრძობენ მშრომელთა რბევას. ისინი ანადგურებენ მუშათა კლასის საუკეთესო მოწინევე ნაწილებს **ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში და ფინლიანდიაში.**

საერთაშორისო პროლეტარიატს არ შეუძლია ამ საზიზღროების მოთმენა.

მან უნდა უთხრას გამხეცებულ ფაშისტების ჯალათებს, ბურჟუაზიის თეთრ ტერორსა და მის იუსტიციას:

ხელები შორს ბალტიის მხარის ქვეყნების მშრომელთაგან!

მთელი ქვეყნის მუშებო და გლეხებო, გამოუცხადეთ სასტიკი პროტესტი ბურჟუაზიულ ხელისუფლებას, მის თეთრ ტერორს, რომელიც სტანჯავს ბალტიის მხარის ქვეყნების მუშებსა და გლეხებს!

მოითხოვეთ შესწყვიტონ ცემა-წამება!

ნუ დაუშვებთ, მუშათა საქმისათვის თავდადებულ გმირების განადგურება-დასახიჩრებას.

ძირს ჯალათები!

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა და გლეხთა სოლიდარულ კავშირს!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლთა წითელ დახმარებას!

რემედას-ის აღმასრულებელი კომიტეტი.

მოწოდება

საქართველოს მუშებს, გლეხებს, წითელარმიელებს და ყველა მშრომელთ!

პარიზის კომუნის 54 წლის თავს, როგორც საბჭოთა დიდი კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატი ისე მთელი მსოფლიოს მშრომელთა მრავალ მილიონიანი რიგები ვატარებთ საერთაშორისო რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების—ბურჟუაზიის თეთრი ტერორის მიერ ციხეში გამომწყვდეულ მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლ გმირების დახმარების ლოზუნგით.

ამ დიდ ლოზუნგის—პარიზის კომუნის დღესთან დაკავშირებას არა აქვს შემთხვევითი ხასიათი. ის არის მეტად ღრმა და ისტორიული მნიშვნელობის მატარებელი.

54 წლის წინათ 1871 წელს მარტის 18 პარიზის პროლეტარიატმა ხელთ ჩაიგდო ძალა-უფლება. დაამხო ბურჟუაზიული რესპუბლიკა და შექმნა მსოფლიოში მანამ არ ნახული მუშათა ხელისუფლება—დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა. მაგრამ ეს გამარჯვება დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ბურჟუაზიას მალე შესძლო სისხლის მორევში ჩაეხრჩო პარიზის კომუნა.

1871 წლის კომუნის დამარცხების დღეებში 30.000 ზე მეტი მუშა დაიდუპა პარიზის ბარიკადებზე. ბურჟუაზია გაშმაგებით ებრძოდა აჯანყებულებს. უმოწყალოდ ჟლეტდა ბავშებს, ქალებს არ ინდობდა მოხუცებულებს—ერთი სიტყვით ყველა იმათ, ვინც კი მონაწილეობა მიიღო პროლეტარიატის გამათავისუფლებელ ბრძოლაში.

დამარცხდა პირველი დიდი ცდა შრომის განთავისუფლებისა. მსოფლიო მუშათა კლასის პირველი გამანთავისუფლებელი მოძრაობა პირ-სისხლიანმა ბურჟუაზიამ შეანელა დროებით.

თითქოს მოკვდა ყოველგვარი იმედი. ჩაქრა უდიდესი აღფრთოვანება ბრძოლისა და შურისძიებისა, მაგრამ შრომის განთავისუფლების უდიდესი იდეა, რომლის განხორციელებას შეეცადენ პარიზის კომუნარები თან-დათან ვითარდებოდა მსოფლიო პროლეტარიატის მტკიცედ დარაზმულ მასსებში.

საერთაშორისო პროლეტარიატის ათეულ და ასეულ მილიონიან რიგებში კვლავ ფეხს იკიდებდა ახალი ბრძოლის აუცილებლობის შეგნება. საერთაშორისო მუშათა კლასი ისევ შეუდგა ახალი ბრძოლის სამზადისს და ერთიანი ფრონტის შექმნას კაპიტალიზმის საშინელი რეჟიმის დასამხობად.

ვინ მოსთვლის რამდენი ასეული ათასი მილიონი მუშის სისხლი დაიღვარა პარიზის კომუნის დამარცხებიო შემდეგ. ვინ იცის დღესაც რამდენი სისხლი იღვრება ბურჟუაზიის „სამოთხეში“ და იმ კოლონიალურ ქვეყნების სივრცე-სიგანეზე—რომელიც მოფენილია უთვალავი ფერადი მონებით.

გადაავლეთ თვალი ევროპის ბურჟუაზიის პოლიტიკას ახალშენებში (ინდოეთი. მექსიკა. ბრაზილია. ჩინეთი. ეგვიპტე. მაროკკო და სხვა), და თქვენს თვალწინ გადაიშლება საშინელი და საზიზღარი სურათი. აქ ბრძანებლობს ეგრედ წოდებული **ლინჩის კანონი**, რომლის საშუალებითაც ბურჟუაზია ლამობს თავისი „საქმეების მოგვარება-მოწესრიგებას“. სიჩუმისა და მყუდროების „მოყვარული“ ბურჟუაზია ზარბაზნებით, ტანკებით, კრეისერებით და დირიჟაბლებით აშყარებს „მშვიდობიანობას“ ახალშენებში.

გადახედეთ ინდოეთის ვრცლებს. აფრიკის უდაბნოებს. ევროპისა და ამერიკის „განათლებულს“ და უზარმაზარ ქალაქების ქუჩებს. სოფლებს. მთის ორწოხებს... ყველგან გაისმის განწირულთა კვნესა-ვაება, რომელიც იწვევს საერთაშორისო პროლეტარიატს ახალი ბრძოლისაკენ—დახმარებისაკენ.

ბურჟუაზია თავის არსებობის უკანასკნელ წუთების მოლოდინში გამხეცებულ ბრძოლას აწარმოებს მუშათა კლასის წინააღმდეგ. მას მხარს უჭერენებს მისი ერთგული და განუყრელი თანამშრომელი სოციალ-გამყიდველთა პარტია (სოციალ-დემოკრატია), და თეთრი ტერორი, რომელთა სიასტიკე უჩინარია კაცობრიობის ისტორიის განვლილი ბრძოლის ეტაპებისათვის.

დღეს პარიზისა და მთელი დასავლეთ-ევროპის მშრომელი ხალხი სულს ლაფავს ბურჟუაზიისა და თეთრი ტერორის საშინელ კლანჭებში.

პარიზი, სადაც 54 წლის წინეთ აფრიალდა წითელი დროშა, წარმოადგენს მსოფლიო რეაქციის ციხე სიმაგრეს. ის არის მსოფლიო მტაცებელთა თავგასულობისა და აღვირ-ახსნილობის მთავარი ცენტრი. პარიზი გახდა დასავლეთის კონტრ-რევოლიუციის ბუდეთ, რომელსაც ხელში უჭირავს ბურჟუაზიის დრო მოჭმული და ქამგადასული შავი რეაქციის სადავე.

დღეს კაპიტალის ციხეებში: გერმანიაში. იტალიაში ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში. პოლონეთში ჰუნგრეთში და ხხვა პატარა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რომლებიც მოქცეულნი არიან დიდ სახელმწიფოთა „ძლევა მოსილების“ რკალში განაგრძობენ თავიანთ საგმირო საქმეს. იქ ისევ იტანჯება მუშათა კლასის ინტერესებისათვის მებრძოლთა საუკეთესო ძალები. მშრომელი ხალხი განიცდის სასტიკ დევნას. თეთრი ტერორისა და ბურჟუაზიული იუსტიციის შეშინებულნი ეფარებიან მთებს მათ ოჯახებს კი ანადგურებს და აპარტახებს გაბოროტებული ბრბოების ველური ხროვა.

ევროპის სინამდვილეში აღარ თავდება „სისხლიანი კვირეები“-ს კარნავალი. ყოველ დღეს, საათს და წუთს: მოაქვს ახალი საფრთხე, ახალი უბედურება როგორც ტყვე რევოლიუციონერებისათვის ისე მათი ოჯახებისათვისაც—რომლებიც უსახლკარონი, გაშლილ ცის ქვეშ ყრიან უმოწყალოდ. ბურჟუაზია არ ინდობს მათ ის მზათ არის ყოველ წუთს შურისძიების ცეცხლით წალეკოს ეს უთვალავი „შავი ხალხი“, რომელიც იბრძვის არსებობისათვის და მოითხოვს ადამიანურ უფლებების მოპოებას.

დასავლეთის პროლეტარიატის თვალწინ გაშლილია ცოცხალი და გულშემზარავი სურათები, რომელიც მას მოაგონებს პარიზის კომუნის დამარცხების მწარე დღეებს. ბურჟუაზია ისევ განაგრძობს თავის „საქმეს“. ასეთია მისი კანონიერება“. ამას უკარნახებს „მას მშვიდობიანობის დაცვის ინტერესები და სახელმწიფოს მოღალატეობა“—მუშათა კლასის განადგურება, რომლის საშუალებითაც ის ლამობს თავისი არსებობის გახანგრძლივებას.

ევროპის სოციალ-დემოკრატია გვერდში უდგას ბურჟუაზიას, და ხელს უწყობს მას მუშათა მოძრაობის ჩაქრობაში.

მეორე ინტერნაციონალი, რომელიც ომამდე სიტყვიერ პროტესტებს აცხადებდა მუშათა კლასის ტანჯვის წინააღმდეგ დღეს კაპიტალისტების ბანაკშია მოქცეული

მეორე ინტერნაციონალი არა თუ ხმას იმაღლებს მუშათა კლასის დასაცავათ—პირიქით, ეხმარება ბურჟუაზიას. ასეთია სინამდვილეში სოციალ-დემოკრატიისა და მისი ყვითელი ინტერნაციონალის სამსახური და ღვაწლი მუშათა კლასისადმი.

საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხებისათვის პარიზის კომუნის გაკვეთილებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

პარიზის კომუნარებმა მოგვცეს მუშათა სახელმწიფოს აშენების პირველი მაგალითები. მათ გვიჩვენეს გვიანდერძეს რევოლიუციონური ბრძოლის მეთოდები, ჩვენ გამოვიყენეთ მათი შეცდომებიც.

ტყვე რევოლიუციონერების დახმარება—აი უდიდესი პატივისცემა და ხელთუქმნელი ძეგლი 1871 წლის პარიზის კომუნის დროს დაღუპულ გმირებისათვის.

საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების საქმე, რომელსაც დიდის ენერგიით ეწევა საქართველოსა და მთელი საბჭოთა დიდი კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატი და რევოლიუციონური გლეხობა არის ერთად-ერთი უტყუარი პირობა ამ მუშაობის ბრწყინვალედ დასაგვირგვინებლად.

ვეხმარებით და უმსუბუქებთ რა, მძიმე ხვედრს ბურჟუაზიის საკნებში მომწყვდეულ რევოლიუციონერებს, ჩვენ ამით ვეხმარებით არა მარტო მათ პირადათ, არამედ ამასთან ერთად ხელს უწყობთ საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვებას.

ჩვენი დახმარება არ არის ქველმოქმედება, ის არ არის მოწყალეობის გაღება პროლეტარიატისა და მათი უმწეოდ დარჩენილ ოჯახებისადმი, ეს არის შესრულება იმ საქმისა, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ეტრფოდა მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი.

ეს არის ერთგული სამსახური, რომელსაც თავისუფლებაში მყოფი უწევს მის მოძმე ტყვე რევოლიუციონერების ურიცხვ ლაშქარს, რომელსაც სტანჯავს ბურჟუაზიულ ქვეყნების ცოფ-მორეული თეთრი იუსტიცია.

ჩვენი დახმარება ათეულ და ასეულ ათასობით კაპიტალის ციხეებში გამომწყვდეულ ტყვე-რევოლიუციონერებს გააძხნევებს და გაუღვიძებს მათ ბრძოლის წყურვილს, მაღლა ასწევს მათ რევოლიუციონურ სულის სიმტკიცეს, რომ კვლავ შეუტიონ განახლებულის ენერგიითა და ფოლადისებური ნებით კაპიტალიზმის ქარვასლების მოქანავე კედლებს.

ჩვენი აქტიური თანაგრძნობით და დახმარებით ზურგ გამაგრებულნი უცხოეთის ამხანაგები უფრო მედგრად განაგრძნობენ ბრძოლას ბურჟუაზიის საბოლოოდ გასანადგურებლად.

მსოფლიო რევოლიუციისა და მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის გარეშე წარმოუდგენელია რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება. ვეხმარებით რა რევოლიუციისათვის მებრძოლთ—ჩვენ ამით ვაკეთებთ საერთო საქმეს.

დღეს პარიზის კომუნის 54 წლის თავზე ჩვენ გაუწოდოთ ძმური დახმარების ხელი კაპიტალის უთვალავ ტყვეებს, რომელთა ცრემლიანი თვალები თეთრი ტერორის რკინის ციხეების ვიწრო ფანჯრებიდან შესცქერიან საბჭოთა დიდი კავშირის განთავისუფლებულ პროლეტარიატს.

დავეხმაროთ ბურჟუაზიის ტყვეებს.

ჩვენ ამით დავამტკიცებთ, რომ ჩვენთვის ძვირფასია და დაუვიწყარი პარიზის კომუნარების გმირული ბრძოლის მოგონება.

დაუმტკიცოთ პარიზის კომუნარების ღირსეულ მემკვიდრეებს, ტყვე-რევოლიუციონერების ურიცხვ ლაშქარს, რომ ისინი მარტონი არ არიან ბრძოლის ქარცეცხლში, რომ ჩვენც მათთან ვართ.

შევსძახოთ ერთად მტკიცედ, რევოლიუციონური სიმტკიცით:

ძირს მსოფლიო მტაცებელთა დიქტატურა!
ძირს თეთრი ტერორი და ბურჟუაზიის სისხლიანი იუსტიცია!
გაუმარჯოს მსოფლიო კომუნას!
გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლ პროლეტარიატს და მის უდიდეს შტაბს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!
გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე ორგანიზაციას!

რემედას-ის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი.

პარიზის კომუნის წლის თავი და წითელი დახმარების საერთაშორისო დღე

(თეზისები მოხსენებისათვის)

1. პარიზის კომუნარების გმირული ბრძოლა დამარცხებით დამთავრდა. 30.000 რევოლაუციონერები დაეცა ბარრიკადებზე. 13.500 საუკეთესო შვილი საფრანგეთის მუშათა კლასისა დასაჯეს სიკვდილით, გადაასახლეს და ჩაჰყარეს საპყრობილეში

2. პარიზის კომუნის დამარცხების 54 წლის თავზე მხოლოდ ს. ს. რ. შ. კავშირის მუშები და გლეხები გამოდიან გამარჯვებულნი კაპიტალთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რომელმაც ციხეები, აშენებული ცარიზმისა და რუსეთის ბურჟუაზიის მიერ, გადააქციეს მუშათა კლასის მტრების ბინათ.

3. სხვა ქვეყნებში ბურჟუაზია ჯერ კიდევ სათავეში უდგას სახელმწიფო მართვა-გამგეობას. ის ცდილობს თავისი დაღუპვის აცდენას და მიმართავს თეთრ ტერორს. კლასიური ბრძოლა ვითარდება ყველგან ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში.

4. ბურჟუაზიას ყავს თავის განკარგულებაში: მსაჯულები, პოლიცია, ჟანდარმერია და ოხრანკა. სარგელობს-

რა სოციალ-შემთანხმებელთა დახმარებით რევოლიუციასთან ბრძოლაში, ის ცდილობს დასავლეთის მუშათა მოძრაობას მოაშოროს ხელმძღვანელები (ლიბკნეხტი, ლიუქსენბურგი, იოგიხე, კინგისენი და სხ.).

5. თუ 1871 წ. „მაისის კვირეში“ საფრანგეთის მუშათა კლასმა ათი ათასობით დაჰკარგა მებრძოლი გმირები, ეხლა კი კაპიტალთან ბრძოლაში მსოფლიო მუშათა კლასმა დაჰკარგა ათეულ მილიონი საუკეთესო რევოლიუციონერებისა.

გერმანიაში დაპატიმრებულია—7.000 რევოლიუციონერი, პოლონეთში—500, იტალიაში - 5.500. ბულგარეთში—3.000 სამხრეთ-სლავიაში—3.000, რუმინეთში—800, ბალტიის მხარეში—1.900 ფინლიანდიაში—1.500, ესპანეთში—700, ვენგრიაში—300, საბერძნეთში—300 და სხ.

გარდა ამისა ევროპისა და ამერიკის კოლონიალურ ქვეყნებში კაპიტალის მსხვერპლთა რაოდენობა უდრის 70.000.

აქედან—ინდოეთში: 15.000, კუნძულ იავაზე—2.000 კორეიაში (სამხ. აზიის პროვინცია ტიბეტის ახლო) 47.000.

6. პარიზის კომუნის დამარცხების ერთ-ერთ მთავარი პირობა იყო ის, რომ კომუნამ ვერ მიიღო საერთაშორისო დახმარება. საფრანგეთის პროლეტარიატი მარტო დარჩა ბრძოლის ველზე.

7. საფრანგეთის კომუნის ამბავი მწარე გაკვეთილია მსოფლიო პროლეტარიატისათვის. ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ პროლეტარიატის გამარჯვების სიმტკიცეს წარმოადგენს მთელი ქვეყნის მუშებისა და გლეხების მჭიდრო შეკავშირება ერთ-ერთ ასეთ კავშირთაგანს წარმოადგენს ის გარემოება. **რომ პროლეტარული ბრძოლის მსხვერპლნი მარტო არ არიან ამ გადამწყვეტ ბრძოლაში.**

8. ბურჟუაზიის ტყვეებზე ზრუნვას თავის თავზე იღებს **რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია** (რემედას-ი). რემედას-ი დაარსდა 2 წლის უკან—ყოფილ კატორღელთა და ძველ რევოლიუციონერთა ინიციატივით. ის ტყვეების დასახმარებლათ თანხებს აგროვებს თავის წევრებისაგან, საწევრო გადასახადების სახით, და ნებაყოფლობითი შემოწირულებებიდან.

9. ორი წლის მუშაობის შემდეგ რემედას-ს მთელს ს. ს. რ. შ. კავშირის ტერიტორიაზე 4 მილიონზე მეტი წევრი ყავს. რემედას-ი თავის არსებობის პირველ დღიდანვე დიდ დახმარებას უწევს როგორც ციხეში მოქცეულ ტყვე რევოლიუციონერებსა და მათ ოჯახებს, ისე იმ პოლიტემიგრანტებსაც, რომლებსაც ათი ათასობით მოერეკება თეთრი ტერორის საშინელი ტალღები საბჭოთა ქვეყნებისაკენ. რემედას-ის სექციები არსებობს შემდეგ ქვეყნებში: **გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, პოლონეთში, ესპანეთში, ლატვიაში. ლიტვაში ესტონეთში, ბულგარეთში, და სხ.**

10. რადგანაც დასავლეთში ბურჟუაზიული რეაქცია არ აძლევს ადგილობრივ მშრომელთ თავიანთი ტყვე ამხანაგებზე ზრუნვის საშუალებას—მათზე დახმარების გაწევის 30% წილად ხვდა ს. ს. რ. შ. კავშირის გლეხებს და მუშებს.

11. მაგრამ გაწეული დახმარება მაინც უმნიშვნელოა. რემედას-ს ჯერ-ჯერობით არა აქვს საშუალება დაეხმაროს ყველა ტყვე რევოლიუციონერებს. ეს დახმარება ათჯერ უნდა გადიდდეს, რომ რემედას-მა დააკმაყოფილოს როგორც პოლიტიკური ტუსაღები და მათი ოჯახები, ისე ბრძოლაში დალუპულთა უპატრონო ცოლ-შვილი. მხოლოდ მაშინ, როდესაც ს. ს. რ. შ. კავშირის ყველა მშრომელი შეიგნებს თავისი პირდაპირი მოვალეობას, და შევა რემედას-ის რიგებში—შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მძიმე, მაგრამ აუცილებელი ამოცანა მსოფლიო მუშათა კლასის გამარჯვებისა დაძლეული იქნება. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ტყვე-რევოლიუციონერთა მდგომარეობის შემსუბუქება.

12. არ არის საინტერესო მარტო მატერიალური დახმარება. ჩვენ ყოველდღიური მოქმედებით უნდა დაუმტკიცოთ დასავლეთის ტყვე-რევოლიუციონერებს, რომ ისინი მარტო არ არიან, კაპიტალთან ბრძოლაში. მიუხედავათ იმისა, რომ გვაშორებს ციხე სიმაგრეთა შავი კედლები და თეთრი ტერორის ტალღები, ჩვენ მათთან ვართ. ს. ს. რ. შ. კავშირის გამარჯვებულ მუშათა კლასს არ ავიწყდება მათი უმწეო მდგომარეობა. ისინი ყოველთვის იქნებიან იმ ამხანაგებთან, რომლებიც ათეულ წლების განმავლობაში სისხლს ღვრიან სოციალური რევოლიუციისათვის დასავლეთში და აღმოსავლეთის კოლონიალურ ქვეყნებში.

13. რემედას-ი არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია ის არის წმინდა კლასიური, პროლეტარული ორგანიზაცია. შემოწირულებათა და დახმარების ყოველი კაპიკი უნდა ხმარდებოდეს ტყვე რევოლიუციონერების სიჯანსაღეთა და ახალი მებრძოლ რიგების შექმნას, რომ მუშათა კლასმა მიიტანოს უკანასკნელათ მედგარი იერიშები მსოფლიო მტაცებელთა წინააღმდეგ. ამით უნდა გახდეს მუშათა კლასის მომავალი ბრძოლა კაპიტალთან სრულიად უზრუნველყოფილი,


14. ს. ს. რ. შ. კავშირი დიდის ტანჯვითა და წვალებით აღადგენს თავის დაცემულ მრეწველობას, ომისა და რევოლიუციის შემდეგ: ის გარშემორტყმულია მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებით. **პროლეტარული რევოლიუციის გამტკიცება—გამარჯვება დააჩქარებს მრეწველობის აღდგენას, რომელიც ერთ-ერთი მთავარი პირობაა ჩვენი ქვეყნის სიძლიერე-სიმაგრისა.** ამასთან ერთად ს. ს. რ. შ. კავშირის მუშათა კლასი დაინტერესებულია დახმარება გაუწიოს იმ მებრძოლ რევოლიუციონერებს რომლებიც მოქცეულნი არიან კაპიტალის კლანჭებში.

15. ბურჟუაზიის ციხეებში მომწყვდეულ რევოლიუციონერებისა და ს. ს. რ. შ. კავშირის მშრომელთა კავშირი განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება შეფობის აღების გზით. ამ ჟამათ საბჭოთა კავშირის მებრძოლთა მიერ მრავალ ციხეებზეა აღებული შეფობა.

16. ვისთვისაც მძიმეა ტყვე-რევოლიუციონერების უმწეო მდგომარეობა, ვისთვის ძვირფასია მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვება, არ უნდა დარჩეს რემედასის რიგებს გარეშე. ყველა პატიოსანი მშრომელი მუშა თუ გლეხი უნდა ცდილობდეს რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციაში შეიტანოს თავისი წვლილი.

ეს საუკეთესო საშუალებაა პარიზის კომუნისათვის დალუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად; მათი ხსოვნისათვის უდიდესი პატივისცემაა დღევანდელ ბურჟუაზიულ ციხეებში მომწყვდეულთა დახმარება.

რემედას-ის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი.



კომუნა

საყვარელია და ძვირფასი მუდამ პარიზი,
შეუდრეკელი, მეომარი, მუდამ ჭაბუკი.
და არა ერთხელ მტრებისაგან გადანაბუგი,
იყო კონვენტის და კომუნის ის ასპარეზი.

ახლა არა ხარ შენ ბერანჟეს ლექსის ძახილი,
ახლა არა ხარ შენ ტანჯული სახე მარატის,
ო, საფრანგეთო! ახლა არის შენი სახელი
სისხლის კომუნა და ვერსალი—ბილწი მარადის!

გახსოვს? გულგრილად მიატოვე შენ პანთეონი,
და აკაციებს დაუბრუნდი ჩაფიქრებული;
გელოდებოდა უძველესი შენ ბასტიონი,
სადაც ფორტების გაიმართა გრძელი კრებული.

არც ერთ ლოდი, ობელისკი, არც ერთი ჯვარი!
მაისში ღამით, ამ ჯებირზე ამოვა ქარი,
და თითქოს არხევს ის მეწამულ დროშის ნაფლეთებს,
მაგრამ ჩვენება საიდუმლო ვის დააფეთებს!

თივის წამლისაგან დახუთული და მძიმე კვამლი.
წითელ წუმპეთა უფსკრულებში ნისლი წვებოდა,
კომუნარების აქ რაზმები იხვრიტებოდა.
დაინთხა სისხლი და მშვიდობა, ისე ვით რაშლი.

იფარებოდა ბნელ სიკდდილის ბნელი სუდარით
ქარხანა, ფორტი, ჭუჩები და შეკრული გარსი.
აქ არ ისმოდა დაცემულთა კვნესა, მუდარა,
სამაგიერო ვერ მიუზღვეს მტერს ხელით ბასრით.

ისინი გაჩნდენ. დაიწყებენ უცოდველ ბრძოლას.
ო, შემოვიდენ დაწყევლილი ვერსალელები.
„მე შევინახავ უკანასკნელ თოფის გასროლას
„და ჩემ სიძულვილს გაიგებენ შავი მკვლელები“.

ხშირად სკდებიან ყუმბარები. გრგვინავს ჰაერი.
თითქოს დემონებს გაუმართავთ აქ პარადები.
ისმის გრიგალი შესაზარი, ათასნაირი.
და იმსხვრევიან დაცხრილული ბარიკადები.

თეთრ სასახლეებს მოეკიდა ლალის ხანძარი
იწვიან თაღნი, დახატულნი ხელოვანებით.
თავისუფლება დღეს დამარცხდა, დიდის ზანზარით,
მაგრამ ტიუილრიც ხომ დაინგრა მწველ ხმოვანებით.

მოვიდა ჯარი, მოიტანა სხვა ბაირაღი.
და ამბოხება ბნელ ქუჩებში დაიმალება.
დაჭვარტლულ ცაზე დაგრეხილი მოსჩანს ჩირაღი
კოცონი, გრგვინვა კატასტროფის და მაშხალები.

მომღერალ ტყვიის უგზო-უკვლო ცხელი ნავარდი
ეწვია ქუჩებს და ქალაქი ტოკავს რხეული,
ეცემა სახლი და კედელი ჩამონგრეული
რკინიან ხმობით დედამიწის გულზე დავარდა.

არტილერისტი იღუპება უკანასკნელი,
მიტრალიეზის ულმობელი ისმის ხვნელება.
ხანძარი სახლებს არ სცილდება, ისე ვით მცველი,
რკინის კოცონი, სიკვდილი და საშინელება.

ჯარისკაცებით შემოვიდა ავი გალიფე.
თავისუფლებას შეეწირა ხალხი ზვარაკად,
მაგრამ გაივსენ კაფეები ლამაზ ქალებით.
იყო სეზონით აღტაცება და ლაპარაკი.

ლევ ნიკულინი.

ზამთარი და ღამე [1])

ზამთრის ქარვბო იხმაურეთ, იწვიმე თოვლო,
შენი სუდარის ქვეშ ცოცხლები ემსგავსებიან მკვდრებს.
იყოს უსაზღვრო ღამე და შემოკლდეს დღე.
როდესაც შავია ღრუბლები, მე ვუსმენ
თქვენს განმარტოებულ სიმღერას, ნაძვებო!
ქარი არხევს თქვენს ტოტებს
და ისინი გალობენ,
როგორც არფები სიმაღლეში.
არ დაბრუნდებიან ჩვენთან ისინი,
ვინც წავიდა აჩრდილების სავანეში.
ადრე თუ გვიან დაგვტოვეს ჩვენ.
მარადი ძილით განისვენებენ ისინი.
კვდება ადამიანი, მას შემოსავენ სუდარით,
რომ ჩაუშვან ცივ სამარეში:
როდის შეგვმოსავს ჩვენ სამგლოვიარო სამოსით
ყოვლად მძლე ჟამი?
კვდება მარცვალი და ამოდის თაველი.

---

[1]) ცენტრალური საპყრობილე ოშეროვი. 28 ნოემბერი 1872 წ.

ასე: ყანაზე, რომელიც მორწყულია
ჩვენი სისხლით
აყვავდება დიადი მომავალი—
განათებული ამომავალი მზის
წითელი სხივებით.
ზამთრის ქარებო, იხმაურეთ, იწვიმე თოვლო,
შენი სუდარის ქვეშ ცოცხლები ემსგავსებიან მკვდარს.
იყოს უსაზღვრო ღამე და შემოკლდეს დღე.

ლუიზა მიშელ.



ლუიზა მიშელ

ქალი-კომუნარი. გადაასახლეს ახალ კალედონიაში. დასწერა წიგნი „კომუნა“

კალედონიაში [1])

მთვარემ შეღება საზეიმო სინათლით
ნიაულის თეთრი ტოტები.
მძლავრი ხეები გაიღუნენ, ვით წამებულნი.
ულმობელია ქარების თავდასხმა
საიდანღაც, უცნობ უფსკრულებიდან
მოვარდებიან ციკლონები და მიიგრაგნებიან
ზეცისაკენ.
სტირის, ქვითინებს ზღვის ქარი ღამით
და უმღერის სამგლოვიარო სიმღერას
განდევნილების სამარეებს.
ნიაულის მწვერვალებში ღმუიან ციკლონები.
ზღვის ქარებო, იმღერეთ შესაზარი სიმღერა.
მოვიდეს განთიადი.
ღამეს მოჰყვება სპეტაკი დილა
და რაც იყო გუშინ—
ის სიზმრად გვეჩვენება.
მიგორავენ ტალღები, მიდის დრო
დადგება ჟამი და უდაბნო გადაიქცევა
ცოცხალ ქალაქად.
ცარიელ კლდეზე, რომელსაც ეხეთქება ტალღა
შეჯგუფდება ახალი კაცობრიობა,
და მომავალ საუკუნის ადამიანებს
ჩვენ მოვეჩვენებით ველურებათ.
ჩაბმული საერთო ფერხულში
ახალი რასა კაცობრიობის
შეიერთებს ძველ ისტორიულ სისხლს.
დაიბადება ახალი, მძლავრი თაობა
და აღმოცენდება ადამიანი, როგორც მარცვალი.
ნიაულის მწვერვალებში ღმუიან ციკლონები.
ზღვის ქარებო! იმღერეთ თქვენი სიმღერა!

ლუიზა მიშელ.

[1]) აქ სცხოვრობდენ გადასახლებული კომუნარები.

ლუი-შარლ დელეკლიუზი

მაისი. კომუნა იბრძვის, როგორც გლადიატორი.
ლოჟებიდან იცქირებიან ტიერი და გალიფე.
კომუნარები გააფრთრებით იცავენ პერ ლაშეზს:
ეფარებიან სასაფლაოს ძეგლებს
და ტყვიებით იგერიებენ მტერს.

სამოცი წლის დელეკლიუზი გამოდის მერიიდან
და უიარაღო, ჯოხით ხელში
მიდის „შატო დო“ს მოედანზე.
ვერმორელს მოჰყავს დაჭრილი ამხანაგი,
და თვითონ ტყვიით გაგმირული
ძირს ეცემა. ის მიაქვთ საკაცეზე.

დელეკლიუზს დასცილდენ ამხანაგები,
როცა გამოჩნდა ბარიკადა „შატო დო“.
მოჰქროდენ ყუმბარები.
დელეკლიუზი ავიდა ბარიკადის გოლგოთაზე,
როგორც წინასწარმეტყველი და ქურუმი.
უკანასკნელად გამოჩნდა მისი სახე,
მისი ღვთაებრივი ჭაღარა.
ის გადავარდა ბარიკადის მწვერვალიდან
დაცხრილული ტყვიებით.

მეორე დღეს ვერსალელებმა
მიაბარეს მიწას რევოლიუციის ვეტერანი.
მან დასტოვა წერილი,
რომელიც მის მეგობარს უნდა გადაეცა
მისი დისათვის.
„ძვირფასო დაო! მე არ მინდა ვიყო მსხვერპლი
და სათამაშო
გამარჯვებულ რეაქციის.
მაპატივე, რომ მე მივდივარ
შენზე უფრო ადრე.
შენ შემომწირე მთელი სიცოცხლე,
მაგრამ მე არა მაქვს გამბედაობა
გადავიტანო კიდევ ახალი დამარცხება.
ჩემი უკანასკნელი მოგონება
სამარის წინ – იქნები შენ.

დაგლოცავ შენ—საყვარელო დაო,
მთელო ჩემო ოჯახო
ჩვენი ძვირფასი დედის სიკვდილის შემდეგ.
მშვიდობით, მშვიდობით!
გეამბორები კიდევ ერთხელ!
შენი ძმა, რომელსაც ეყვარები
უკანასკნელ კვნესამდე“.

ფითრდებიან კომუნარების რაზმები
აღარ არის დომბროვსკი.
აღარ არის ბაგრატიონი—
ენსენის ხრამის მსხვერპლი და ლეგიონის უმფროსი.
გალიფემ სასაკლაოდ აქცია პარიზი.

ტიერი ზეიმობს.
პარიზის კომუნა დამარცხებულია,
მაგრამ ის არის პირველი მიწის-ძვრა,
და წინამორბედი ოქტომბრის,
რომელიც დაასამარებს ძველ ქვეყანას.

ტრისტან მაჩაბელი.

ქრონიკები

კომუნარების ხსოვნას.

I.

ქალაქი დინჯად იდგა
ზღაპრულ გველეშაპივით მოღუშულიყო
მისი მრისხანე სახე.
აქა—იქ მოსჩანდა:
გაკვირების ნიშანივით—
ცად ავარდნილი ქარხნის მილები.
ზანტად ამდგარი ბოლით იგლისებოდა:
ცის უსაზღვროება...
ლურჯი გაიდაბანი.

—

შახმატებივით დახაზულ კვარტალებში—
იდგა სრული სიჩუმე.
მძიმე ატმოსფერა.
მას ვერავინ ამჩნევდა.
მიწის გლობუსი თითქოს წარღვნის
მოლოდინში იყო
ქუჩები აღარ ღრიალებენ.
აღარ ხმაურობდენ ჩვეულებრივად.
აღარ გაისმოდა უშმაწუხარი ყვირილი.
ირგვლივ დუმილი.
მხოლოდ სიჩუმე.
ნელი ფუსფუსი.
ოქროს სასახლეებს, დარბაზებს:
არ აწუხებდათ—ფიქრები.
მიდიოდა ცხოვრება მშვიდად.
წყნარ სიჩუმეში—ოცნების სავანეში
ლალობდა **დიდებულთა** იმედიანი
სიცოცხლე.
არავის ახსოვდა: შორი წარსული.
ის იდგა პირქუშად:
ეშაფოტივით—ისტორიის—
სისხლით გადამწვარ მოედანზე.
მის ირგვლივ გაშლილიყო უდაბნო.
უკიდე-განო მანძილი.

—

რადიოს მოჰქონდა ამბები:—
— **ქვეყნიერების ყოველ**
კუთხეში სიწყნარეა!
— **სისხლში ჩავახრჩვეთ:**
შავი მონები!
დაძრწოდენ მეგაზეთეები.
ყიდიდენ:
ცხელ-ცხელ დეპეშებს.
ღიპები ათვალიერებდენ
ფუ'ცლებს—რომლის შავი
ასოები ამბობდენ:
— „სახელმწიფო მშვიდობიანობის
ერთგულმა დარაჯმა—სახელოვანმა
ეროვნლმა გვარდიამ ჩააქრო
აჯანყებები".
— რესპუბლიკების მშვიდობიანობა
უზრუნველყოფილია!
— აღმოსავლეთის ახალშენების
დასამშვიდებლად გაიგზავნა
კრეისერები.
— ადმირალი—ვიცე-კაპიტალი
იტყობინება:
გაწმენდილია—ინდოეთისა და
ეგვიპტეს მხარეები: აჯანყების
მეთაურები შეპყრობილია და
ცეცხლში დ ვ'სწვით.

—

გადიოდა ასე წელთა სიმრავლე.
უიმედო დღეები მისდევდენ ერთი-მეორეს.
საზღვარი?
არ სჩანდა! ის შთანთქა ჯანყმა!
იმედი?!
თითქოს მოკვდა!

—

ათეული წლეების შავი ფარდა დაეშვა.
ისტორიის ბნელი და მტვერიანი
კულისები მალავდენ:
სისხლიანი დღეების
საშინელ სურათებს

—

დაიკარგა უამრავი მსხვერპლთა
ღრიალი—უშედეგოდ.
მხატრები და პოეტები სდუმდენ
მათ არ ჰქონდათ უფლება:
გაესვათ, თუნდ ერთი ხაზიც—
რომელიც წარსულს მოაგონებდა;
კაცობრიობის მშრომელ ნაწილს.
მასზე ფიქრს: კრძალავდა რკინის კანონი.
იდგა ძლიერი რისხვა:
ვით ზღვის სივრციდან მოხეთქილი
ძლიერი ქარი.
ზუზუნებდა ქარი.

—

გადიოდენ დღეები.
გადიოდენ თვეები.
წლეები.
იდგა საუკუნე პირ-დაღებული—
სისხლის ტალღებით გადარეცხილი შუბლით.
ისევ მონობა.
შიში—მძიმე ატმოსფერა: მეფობდა ყველგან.

—

„გამარჯვებულნი" ულოცავდენ ერთი-მეორეს
მრავალ-ჟამიერ სიცოცხლეს.

—

მათთვის ბედნიერება.
სიხარული. ნეტარება
და სიამე ამ ქვეყნიური
მონებს?.. შავს მონებს?

ბორკილები! ბნელი საკანი!
რკინის სალტები...

—

ხარხარებდა ვიღაცა.
ნეტარებდა ვიღაცა.
...მაგრამ სიხსლი?!
...მსხვერპლი?!
უმოწყალოდ დაყრილი ბავშები—
რომელთა ცრემლიანი თვალები
ქუჩის ბნელ კუთხეებში მოსვენებას
არ აძლევდენ გამლელებს?!
მათი ხელები—რომლებიც მოწყალებისათვის
ყოველთვის...
...სიხსლი!
...ო, სიხსლი!
სიხსლი—რომელიც რეცხავდა:
ქვაფენილებს?!.
სიხსლი—რომელმაც გაადნო
ასფალტის მკერდი?!
სიხსლი—რომელიც იდგა ოკეანებათ...
— სად არის ეს სიხსლი?!
— სად?!
— სააად... არიიის... იიის.. ვინ... ვინ...

—

— ის მზემ გააშრო!
— ის სივრცეში გაიფანტა!
— მასზე არც ერთი სიტყვა... თორემ...
თითქოს იმეორებენ ქვაფენილები...
გალავნის ჩუმი კედლები...
— ის ჩვენ შევიშრეთ!—ამბობენ
ნელი ფუსფუსით ლოდი ქვები...

—

ო, ის დღე!..
დღე შორი წარსულის!
სიხსლის წვიმის!..
ის არავის ახსოვს!?

—

მხოლოდ შავს უბნებს.
რომელთაც სანუგეშო არაფერი დარჩენიათ
გარდა შურისძიებისა და ისევ:

სიხსლის ღვრისა—
ახსოვთ შორი წარსული.
მისი უკუღმართობა.
მხოლოდ შავს კვარტალებს.
მაზუთითა და ცხელი ოფლით
გადამწვარ მოედნებს:

ახსოვთ ყოველივე.
მათ მკერდ ქვეშ უსვენიათ—
იმ ძვირფას გმირთა ხსოვნა:
რომლებმაც თავი შესწირეს—
მზეს.
სიხარულს.
კაცობრიობის პირველ განთიადს.
სინათლეს.
ბედნიერებას.
ბრწყინვალე თავისუფლებას.

—

ისევ ბრუნავს ბედის ბორბალი.
ბრუნავს მძიმედ.
ბრუნავს ზანტად.
დაუსრულებლად.

—

ქშინავს ქარხანა.
ღვედები-ღვედენს
მისდევენ სწრაფად.
რუხრუხებს მოტორი:
ზგი-ზგუ...
ზგიი-ზგუუ...
ზგიიი-ზგუუუ ..
ზგაზგ... ზგაზგ... ზგაზგ...
მღერის დინამო.
იღვრება ოფლი.
ფოლადის მკერდებს სდის ოხშივარი.

—

ურიცხვია ისევ მუშათა ლეგიონები.
ის დღითი-დღე მატულობს.
იზრდება.
მტკიცდება.
ფოლადდება ნება.
ნება უსიტყვოდ განმტკიცებული.
შრომისა და განცდების—
მწარ-ტკბილი წუთები:
გრიგალის ნებას უნერგავს—
შავს—მონებს... უენო მონებს.
მაგრდება კუნთი.
რიგი-რიგს სდევს.
რიგი-რიგზე მიაბიჯებს მტკიცე ნაბიჯს.
და ახალი ბრძოლისათვის
ირაზმება მხნე ლაშქარი.
— შურისძიება!
-- შურისძიება,—სასტიკი და საშინელი!
-- მსხვერპლი!
— სისხლი!
— ცეცხლი!
— ომი! ომი!
— ქარიშხალი!
ისმის მანქანებიდან
ფარული მოწოდება.
თითქოს ჟამს გაეჭცა
კალენდარის ციფრი—
თითქოს ის გარბის უკან...
თითქოს გაცოცხლდა შორი წარსული...
დრო... დრო—საშინელებით მოცული,
მაგრამ ხალისიანი ბრძოლისა...
თითქოს გამურულ კედლებიდან
გადმოდიან დახოცილთა ლეგიონები.
შშსსსუუუ...
შშშსუუუუ...
სმენა...

—

იჭედება! იჭედება,—
ბედი მომავლისა,
ჩვენს ხმაურში იფეთქებს:
ვნება ქარიშხალისა.
ხმაურობს კვერი.
გრლდემზე კვერი—ასე მღერის...
ეს ქვეყანა მრავალსხანე
ცეცხლში მოიღვედება,—

ძმობა თავისუფლება
მალე გაიჭედება!..
პასუხობენ ღვედები—რომლებიც
მისდევენ მძიმე ბორბლებს.

—

მაშ ცეცხლი. ცეცხლი.
ცეცხლი ჩაუქრობელი,
რომ ალმურში დაიწვას
მტერი დაუნდობელი...
უერთდება მრავალ მილიონიანი
მუშების იმედიანი პასუხი—
ქარხნის კონცერტს...

II

დღეს არაჩვეულებრივი მოძრაობაა ქარხნებში.
თითქოს ყველა კმაყოფილია,
ყველას, ნეტარების ფარული ღიმილი—
უმშვენებს პირის-სახეს.
ლიპი--ბატონი უთვალავი სიმდიდრისა
და აურაცხელ უსიტყვო, ფერად მონებისა
კმაყოფილებით ათვალიერებს
თავის სამშობლოს.
— ჩემს სამფლობელოში სიწყნარე,—
გაიფიქრა მან და დურბინდი მოიმარჯვა,
რომ დაზვეროს შორი სივრცე...
ქვეყნის ყველა შარა-გზები...
მას ეშლება თვალწინ ბრწყინვალე მომავალი.
დიდი სახელი.
დიდება ჯერ არნახული.
ლეგენდარული მხარე.
იმედიანი პერსპექტივა პირდება მას—
სახელს, დიდებას—სავანეს: ჯერ არნახულს:
ჯერ არყოფილს.
ხედავს:
ყველა დიდება ამ ქვეყნიური, ქედს იხრის
მის ძლიერების წინაშე.
ის პირველობს მსოფლიოში.
მის წინ მოკრძალებით დგანან
ყველა პატარა ქვეყნები.
მას იცნობს სამყაროს ყოველი კუთხე.
მასზე ლაპარაკობენ ყველგან.
მისი გემები უშიშრად მიაპობენ:
ოკეანიის გაცოფებულ ტალღების
ციცაბო კლდეებს.
მოაქვთ ნადავლი შორს გადაკარგულ
კუნძულებიდან... ახალშენებიდან...
უხარია... უხარია...
ალფრთოვანების ფრთები
იტაცებენ მას იმ ბედნიერ
ნაპირებისაკენ საიდანაც ესმის ჰიმნი:
მეფე-კაპიტალის სადიდებელი.
— ეს ხომ მე ვარ?
— ეს ხომ ჩემს ძლიერებას უმღერიან ჰიმნს?
— მე ვარ მეფე-კაპიტალი! ჩემს მფარველობის
ქვეშ უნდა იყოს ყოველი არსი ამქვეყნიური.
...ასე ფიქრობს...
...ასე ხაროობს მეფე-კაპიტალი,

—

მაგრამ!?
„შავი ხალხი“?!.
ისინი ერთად არიან. მათ აერთებს
წმინდა შრომა.
შრომის სიყვარული.
ლანჭერი ოფლის.
ითვლიან დღეებს.
წუთები სცვლიან ერთი-მეორეს.
ახლოვდება წარღვნის წამი.
საათის ციფერბლატი
უახლოვდება დანიშნულ ხაზს.
შსსუ...
შშსუუ...
შშშსუუუ...
ჩუუმააად...


—

აი—იფეთქა!
დაინგრა!
დაიმსხვრა! ყოველივე... ყოველივე...
ვულკანის ცხელი ლავა ჰფარავს:
მიწის ზედაპირს.
ნანგრევები.
ნანგრევები ყველგან.
დინამიტები.
ცეცხლი.
მხრჩოლავი გაზი.
„შავი ურდოები“ განაგებენ ქვეყანას!
მზის ნათელ სხივებს ეთამაშება
სისხლისფერი
დროშა.
— წინ!
— წიინ!
— წიიინ,—კიდევ ერთხელ გაისმის
ძლიერი მოწოდება.

პ. ოდიშელი.

25—ტფილისი.

Проект. всех стран, след. Пятилетки Ревюня (...) Сов. Сов. Сов. Сов.



გერმანია

გერმანიაში კვლავ მძვინვარებს თეთრი ტერორი. ჯერ ადრეა კიდევ ამისთვის საბოლოო ჯამის გაკეთება. მიუხედავად ამისა, ჩვენს წერილში მოყვანილი ცნობები საკმარისია, რომ გამოიწვიოს მშრომელი ხალხის აღშფოთება და გულის წყრომა იმ სამარცხვინო რეჟიმის წინააღმდეგ, რომელსაც იცავს მე-2 ინტერნაციონალი და მისი დედაბოძი—გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია.

„დემოკრატიის“ დროშის ქვეშ.

უკვე მთელი წელიწადი მძვინვარებს თეთრი იუსტიცია გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ. გერმანიის მუშათა გამოსვლის დამარცხების შემდეგ 1923 წლ. ოქტომბერში, გერმანიის ბურჟუაზიული იუსტიცია შეტევაზე გადავიდა და დღემდე აწამებს თავისუფლებისათვის მებრძოლთ.

არა თუ კომუნისტები, არამედ უპარტიო მშრომელიც, რომელზედაც კი ეჭვს აიღებენ ოქტომბრის დღეებში მონაწილეობაში, სასტიკ დევნას განიცდიდენ, მათ ხშირად აპატიმრებდენ და აწამებდენ. მაგალითად, ჰამბურგის ოლქში პოლიცია სდევნიდა 3,000 კაცს, 2,000-მდე კაცი ელოდა სასამართლოს პროცესს, და მიესაჯათ სხვადასხვა სასჯელი. მთელი თვეების განმავლობაში ბრალდებულები ისხდენ საპატიმროში, სანამ ერთ მშვენიერ დღეს მრავალი მათგანი არ იქნა განთავისუფლებული ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო. ჰამბურგის პროცესის საქმეები სახელმწიფო ღალატში ბრალდების შესახებ იგზავნებოდა მთელი თვეების განმავლობაში ჰამბურგიდან ლაიპციგში, და ბოლოს ამ საქმეების წონა 16 კილოგრამამდე (ერთ ფუთამდე) ავიდა. ორი ახალგაზრდა ამხანაგი ბემი და ვიშნევსკი ორ წელს ისხდენ წინასწარი ტყვეობის საპატიმროში და მხოლოდ ამის შემდეგ წაუყენეს მათ ბრალდება და დანიშნეს საქმის გარჩევა.

რეიხსვერის მიერ ცალკე ოლქების ოკუპაციის დროს მძაფრი ტერორი გამეფდა, რასაც საუცხოოდ ადასტურებს საქსონიაში მომხდარი საშინელი ამბები. ამ ოლქებში შესვლის დროს. (აქ მცხოვრებთა უმრავლესობას სამთამადნო წარმოების მუშები შეადგენენ) რეიხსვერს ხშირად ჰქონდა შეტაკება ადგილობრივ ხალხთან. ამ სისხლის-ღვრის დროს დაიხოცა 39 კაცი, დაიჭრა 56 და 108 კაცს კიდევ სასტიკად სცემეს. 800 კაცი დაპატიმრებულ იქნა სასამართლო ორგანოების მიერ, 845 კ.—ადმინისტრატიული წესით.

ამრიგად თეთრმა ტერორმა დაამარცხა მუშების წინააღმდეგობა და თეთრი იუსტიცია შეუდგა თავის „საქმიანობას“—დაიწყო თავშეუკავებელი და ველური შურისძიება. ჰამბურგის ოლქში წამსვე მოეწყო სამხედრო-საველე სასამართლოები. მოსამართლენი ცალმხრივად აშუქებდენ საქმის ვითარებას და განაჩენებში სცდილობდენ გადაეხადათ სამაგიერო თავისი კლასის სახელით იმ შიშისათვის, რომელიც განიცადა ბურჟუაზიამ ოქტომბრის წითელ დღეებში. ამ ბარბაროსულ იუსტიციას სიკვდილის განაჩენიც კი გამოჰქონდა ჩვენ ამხანაგებისთვის.


რამდენად შორსაა ეს განაჩენები თუნდაც ბურჟუაზიულ „სამართლიანობისაგან“, გვიჩვენებს როგორც ჩვეულებრივი სასამართლოების, ისე უმაღლეს ინსტანციების „საქმიანობა“. მაგალითად, სამხ.-საქ. სასამართლომ ჰამბურგში მიუსაჯა სიკვდილით დასჯა ვილი დიტრიხს, რომელმაც, ვითომც, ჩაიდინა მკვლელობა საპოლიციო უბანზე იერიშის მიტანის დროს. შემდეგში ჩვეულებრივ სასამართლოებს გამოჰქონდათ განაჩენი სახელმწიფო ღალატში მონაწილეობისათვის ოთხ-ოთხი წლის ციხე, როდესაც ამის დასადასტურებლად სასამართლოს არ მოეპოვებოდა სათანადო საბუთები.

ზოგიერთ ამხანაგებს, კომპარტიის წევრებს, სამართალში აძლევდენ იმისთვის, რომ ისინი, მიუხედავად აკრძალვისა, დარჩენ პარტიაში. ზოგიერთი ადგილობრივი სასამართლოები შედარებით ლმობიერად ეპყრობოდენ ჩვენს ამხანაგებს, მაგრამ უმაღლესი სასამართლო მაინც დაუნდობლად და დაუზოგველად სჯის კომუნისტებს. მინაგან საქმეთა მინისტრი უარესად, ემუქრება მუშებს კატორღით; ამით მას სურს მოუსპოს მათ საშუალება პარტიაში შესვლისა.

ამრიგად, იუსტიციის გილიოტინას ერთხელაც არ შეუწყვეტია ამ წლის განმავლობაში თავისი მუშაობა. გერმანიის ყველა კუთხეებში ეწყობოდა რევოლიუციონურ მუშების პროცესი. რემედას-ის ცენტრალურმა იურიდიულ-

მა ბიურომ 1924 წლ. იანვრის 1-ლიდან აპრილის 1-მდე, ე. ი. **სამი თვის** განმავლობაში აღნიშნა 8,448 პროცესი. 1924 წლის აგვისტოს დამლევს ბრალდებულთა რიცხვი, რომელთაც უწევდათ ბიურო იურიდიულ დახმარებას, აღწევდა 18.000. ამ რიცხვში არ შედის უფრო წვრილმანი პროცესები, სადაც ფინანსიური ანუ სხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა დამცველის მიცემა ბრალდებულისთვის.

1924 წლ. ივნისსა, ივლისსა და აგვისტოში 1,700 ამხანაგს მიუსაჯა 1065 წლითა და 10 თვით თავისუფლებისა აღკვეთა, 243 წლის და 3 თვის კატორღა, 748 წლ. და 9 თვით საპყრობილეში დაპატიმრება, 73 წლ. და 5 თვით ციხეში დამწყვდევა და აგრეთვე ჯარიმა 46,000 ოქროს მარკის რაოდენობისა.



„გერმანიის ციხეები სავსეა რევოლიუციონურ მებრძოლებით“.

(რემედასი-ის აღმასკომის მოწოდებიდან).

თავისი „სასახელო საქმიანობით“ გერმანიის „საგანგებო“ სახელმწიფო სასამართლო არ ჩამოუვარდება „ნორმალურ“ სასამართლოებს. ხსენებულმა სასამართლომ 1924 წლის მაისიდან მოაწყო 13 პროცესი კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. „უპარტიო სახალხო მოსამართლეები“ სასტიკად სჯიდენ ბრალდებულთ, რომელთაც მიესაჯათ განაჩენით 104 წლ. და 4 თვის კატორღა, 47 წლ. და 9 თვით საპყრობილეში მოთავსება, 5 წლ. და 5 თვით ციხეში დაპატიმრება და ფულით ჯარიმა 36,000 ოქროს მარკის რაოდენობისა! სექტემბერში სახელმწიფო სასამართლოს უნდა გაერჩია კომუნისტთა 8 პროცესი. ამ უკანასკნელ ხანებში უზენაეს სასამართლოში კომუნისტთა საქმეების გარჩევამ კიდევ უფრო თვალნათლივ დაანახვა ყველას, რომ მთელი საქმე მდგომარეობს იმაში, რომ **ძირშივე იქნეს ჩაკლული პროლეტარიატის რევოლიუციონური აღტყინება და განადგურებული იქნეს პროლეტარიატის ცოცხალი ძალები.** ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ კომუნისტები აუცილებლად უნდა ყოფილიყვენ დასჯილი, თუნდაც ამისთვის საჭირო გამხდარიყო პოლიციის ჯაშუშების გამოყვანა მოწმეებათ, როგორც ეს მოხდა ვიურტემბერგის 12 კომუნისტის პროცესის დროს. შურის მაძიებელ ბურჟუაზიას შიშის ზარს სცემს პროლეტარული მასსების შესაძლებელი აღშფოთება, რომელნიც ამ პროცესების დროს მხარს უჭერენ კომუნისტებს. ასე რომ არ ყოფილიყო, პრეზიდენტი არა თუ დაამტკიცებდა სიკვდილის განაჩენს ჰამბურგის მუშების მიმართ, არამედ სიამოვნებით შემოიღებდა გენერლების დიქტატურასა და საგანგებო სასამართლოებს, ან კიდევ „სახალხო“ გასამართლების მეთოდებს (თვითგასამართლებას). ამიტომაა, რომ ყოველი განაჩენი, მიმართული კომუნისტებისა ანუ აჯანყებული მუშების წინააღმდეგ, აღსავსეა ესოდენ უსაძლვრო შურისძიებით.

მთელი წლის განმავლობაში გერმანიის სასამართლოები ჯალათურ მუშაობას ეწეოდენ. საგამომძიებლო საპყრობილეები ჯერ კიდევ სავსეა მრავალი ამხანაგებით ბურჟუაზიის მსხვერპლითა, რომელნიც ელიან სასამართლოს განაჩენსა და მის სისრულეში მოყვანას. რევოლიუციონერ მუშების ცოლშვილი კვლავ სასტიკ გაჭირვებაში ჩავარდენ. მათი რაოდენობა ათასობით გამოიხატება. ისინი განიცდიან შიმშილსა და სიტიტვლეს, „დემოკრატიული“ ბურჟუაზიის შურისძიება აათკეცებს მათს ჭირვარამს. შეიძლება კიდევ ათასებმა განიცადონ იგივე ხვედრი. გაჭირვება და სიღატაკე დღითი-დღე იმატებს, იუსტიციის გილიოტინა კი განაგრძობს თავის სანაქებო „მუშაობას“. ბურჟუაზია ახალ ახალ მსხვერპლს მოითხოვს; ბურჟუაზიის ჯალათები უწყალოდ ღვრიან რევოლიუციონერ მუშების სისხლს... გერმანიის პროლეტარიატს განზრახული აქვს საზღვარი დაუდვას ბურჟუაზიული იუსტიციის ესოდენ აღვირახსნილ ვაკხანალიას. რემედას-ის კვირეულის დროს გერმანიის პროლეტარიატი ყოველ ღონეს იღონებს გაატაროს ფართო ამნისტია და თავგანწირული ბრძოლით მიაღწიოს პოლიტიკურ პატიმარ-პროლეტართა განთავისუფლებას.

1795 წელი კატორღის

„პატარა ესტონეთში კეთდება კოშმარული საქმეები. ამ სიტყვებს, რომლებიც ამოღებულია რემედას ის ალმასკომის მოწოდებიდან, ამტკიცებს „149“ პროცესის მხეცური განაჩენი და ის ველური სითავხედე, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეველში დეკემბერში აჯანყებულ ესტონეთის პროლეტარიატის მიმართ. მსოფლიო პროლეტარიატის წმინდა მოვალეობაა აღიმაღლოს თავისი პროტესტის ხმა ესტონეთის თეთრი ტერორის საწინააღმდეგოთ და დაეხმაროს ესტონეთის ბურჟუაზიის უმოწყალო მსხვერპლთ.

ესტონეთის რევოლიუციონური მუშების პროცესის გამო

10 ნოემბერს თეთრ ესტონეთში დაიწყო გასამართლება 149 რევოლიუციონური მუშებისა, რომელთაც ბრალს სდებდენ იმაში, რომ ისინი ეკუთვნოდენ „ლეგალურ და არალეგალურ“ კომუნისტურ ორგანიზაციას. „რეგალურ და არალეგალურ“ კომუნისტურ ორგანიზაციად ითვლება ის პროფესიონალური საბჭოები და მუშათა პარტია, რომელიც სდგას კომუნისტური ინტერნაციონალის პლათფორმაზე, და რომლის წევრები ეწევიან აგიტაცია-პროპაგანდას კომინტერნისა და პროფინტერნის სასარგებლოდ იმ მიზნით რომ ჩამოაგდონ ესტონეთში არსებული დემოკრატიული ხელისუფლება.

მთავრობამ „აღმოაჩინა“ ეს „ლეგალურ-არალეგალური“ ორგანიზაციები იანვარში და თებერვალში. როდესაც მთელს მხარეში მთავრობამ ჩაატარა მასსიური დაპატიმრება (სამ დღეში შეპყრობილ იქნა 300 კაცი) დაანგრია პროფესიონალური და სხვა მუშათა ორგანიზაციები, და რომ მიეცა თავის მოქმედებისა და მუშათა კლასისადმი მხეცური მოპყრობისათვის კანონიერი სახე, ყველა ორგანიზაციები „მონათლა“ კომპარტიის ფარულ ორგანიზაციებად. კომპარტიისა და პროფორგანიზაციების ასეთმა საკვირველმა დაპირდაპირებამ ყველა გააკვირვა, მაგრამ მმართველი წრეები მაინც თავისას ამტკიცებდენ.

დაჭერილები აღმოჩნდენ ყველა—ცენტრალური პროფორგანიზაციების წევრები, გამგეობის წევრები, აქტიური მომუშავენი, ორგანიზატორები, პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის მუშათა ფრაქციის დეპუტატები. დეპუტატთა იმუნიტეტი დარღვეულიყო პოლიციის მიერ მეტად უდიერად, მაგრამ მიუხედავად ამისა პარლამენტმა პოლიციის მოქმედება სასურველად და მისაღებად სცნო, მიიღო ერთსულოვნად.

თავისი მუხანათური გალაშქრება მთავრობამ პარლამენტისა და „საზოგადოების“ წინაშე ახსნა შემდეგნაირად: თითქოს მთავრობა ილაშქრებს არა ხალხის არამედ მარტო კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებმაც მუშათა ხელმძღვანელობა ხელში ჩაიგდეს და ხმარობენ მას თავიანთი მიზნების განსახორციელებლად დემოკრატიის სავნებლად. მუშები უნდა დაიფარო კომუნისტებისაგან.

არის რაიმე საბუთი იმისა, რომ პროფმოძრაობის მოღვაწეებს სწამებდენ კომპარტიის წევრობას, რომელშიაც ბრალს სდებდენ მათ? არა—მაგრამ რაკი ასეთი საბუთი არაა, ხელისუფალთ შეეძლოთ გამოეგონებიათ ის. ამ შემთხვევაში ხომ ჩინებულია ჩვენი პროკურატურა, მინისტრები და სხვა სახელმწიფო მოღვაწენი. მთელი საპრალმდებლო აქტი სიყალბეა თავიდან ბოლომდის; სა საცილო თამაშია იურიდიულისა და პოლიტიკურის თვალსაზრისით. რევოლიუციონურ მუშების გასამართლების დროს პროკურატურის მთავარ და ძლიერ კარგუმენტს წარმოადგენს კომინტერნისა და პროფინტერნის რეზოლიუციები. საბრალმდებლო ოქმი წარმოადგენდა 150 დაბეჭდილ გვერდს, სადაც $1^1/_3$ ადგილი ეჭირა კომინტერნის რეზოლიუციების ამონაწერს სხვა და სხვა საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან კლასიურ ბრძოლასთან. კომინტერნისა და პროფინტერნის რეზოლიუციების თანახმად გამოაქვს პროკურატურას დამნაშავეთა დანაშაულის ხარისხი და ადგენს თავის დასკვნას რევოლიუციონურ მუშების „დანაშაულზე“, მათ კომინტერნის მხარეზე დგომის გამო.

მოყავთ რა გრძელი ამონაწერები კომინტერნის კონგრესის რეზოლიუციებიდან, სადაც ნათქვამია, რომ კომპარტია მუშათა მოძრაობას გულხელ დაკრეფილი კი არ უნდა უყურებდეს, არამედ უნდა იღებდეს მასში აქტიურ მონაწილეობას, მოხერხებულ დროს უნდა მოუწოდებდეს მუშათა კლასს შეიარაღებულ გამოსვლებისაკენ, რათა დამხობილ იქნას კაპიტალის ხელისუფლება, პროკურატურა თეთრი ესტონეთისა, ამაში ჰხედავს საკმაოდ არსებულ „კანონთა წინააღმდეგობა“ს რევოლიუციონური ორგანიზაციებისაგან, რომელთაც ასულდგმულებთ იგივე მიზანი, რაც კომინტერნს.

ყოველი მუშის საბრალმდებლო აქტი თავდება ღრმა „იურიდიული“ დასკვნით: „მონაწილეობა მიიღო ესტლანდიის მუშათა ორგანიზაციების კონგრესზე (თუ დელეგატის სახით არა, იცოდა მაინც საქმის ვითარება, რომელზედაც არ განაცხადა თავისი პროტესტი) ხმა მისცა კომინტერნის რეზოლიუციას, რათა დამხობილ იქმნეს არსებული დემოკრატიული წესწყობილება, როგორც ესტონეთში ისე სხვა არაკომუნისტურ ქვეყნებში რათა დამყარებულ იქმნას პროლეტარიატის დიქტატურა.

ნივთიერ დასამტკიცებელ საბუთად დამნაშავეთა მიმართ ცნობილ იქმნა პროფესიონალურ საბჭოებისა და მუშათა პარტიის საწევრო წიგნაკები, ორგანიზაციათა ოქმები და სხვ. ჩამორთმეულ იქმნა აკრძალული ლიტერატურა „კომუნიზმის ანბანი“ კ. კაუცკის ნაშრომი, ლენინისა და საერთოდ ყველა ამათი მსგავსი მუშათა ორგანიზაციების გამოცემანი, რომლებიც ყველგან ნებადართულია.

იმისათვის, რომ მუშები შედიოდენ პროფესიონალურ ორგანიზაციის წევრებად და აქტიური ხელმძღვანელები სწევდენ აგიტაციას ამ ორგანიზაციის მშრომელთა ფართე მასსების ჩასათრევად, ხელმძღვანელობდენ კავშირებს, იღებდენ რეზოლიუციებს, რომელშიაც ატარებდენ თავიანთ კლასიურ თვალსაზრისს მუშათა კლასის ბრძოლაზე—ესტონეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ასეთ მუშებს ასამართლებენ **„სამხედრო საოლქო“** სასამართლოში, მეფის სისხლის სამართლის კოდექსის—102, 269, 273 მუხლის ძალით.

აი წმინდა წყლის დემოკრატია—თეთრი ტერორის საჯირითო მხარე, სადაც თეთრი არმიის ერთი მუჭა

ოფიცრობით ფეხქვეშ ითელება მუშათა კლასის მოძრაობა. ამრიგად ესტონეთში უკვე გაასამართლეს ასეული მუშები და გლეხები, კიდევ, ხელმეორედ დამთავრდა „149“ საშინელი პროცესი.

26 ნოემბერს, ღამე გამოცხადებულ იქმნა განაჩენი. 39 კაცს გადაუწყვიტეს უვადო კატორღა, 28—კატორღის მუშაობა 15 წლის ვადით, 6-ს —12 წლით. 19-ს—10 წლით. 5-ს—8 წლით, 15 ს—6 წლით, 16 ბრალდებულს მიუსაჯეს გამასწორებელ სახლში 4 წლით ჯდომა. 7—გაამართლეს. აი აი საზიზღარ კომედიას ეწოდება მართლმსაჯულება თეთრ ესტონეთში.

ესტონეთის, როგორც მუშათა კლასისათვის, ისე წვრილბურჟუაზიის ერთი ნაწილისათვის ეს საზიზღარი კომედია წარმოადგენს უსაშინელეს მოვლენას. მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული პრესა ძლიერ ხმამაღლა გაჰკიოდა თავის მართლმსაჯულებაზე, სადაც მათი სიტყვით ადგილი არ ექნებოდა არავითარ უკანონობას, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ესტონეთში სასამართლო იქნებოდა სრულიად „დამოუკიდებელი“ (რასაკვირველია, ჰკუისა და მოსაზრებისაგან) მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო, მათი თქმით, იქნებოდა ნეიტრალური და ყოველგვარი კლასიურობის გარეშე „დამოუკიდებელი“ სასამართლოს გენერლებისა და პოლკოვნიკების პორტფელებში უკვე წინასწარ ეწყო სასტიკი და შეუწყნარებელი განაჩენი „დამნაშავე“ მუშებზე და გლეხებზე. მათთვის წინასწარ ქონდათ ათეული წლები გადაწყვეტილი. რამოდენიმე თვის უკან საუკუნო კატორღელთა შორის კომუნისტური ლიტერატურის გავრცელების გამო 17 წლის ახალგაზდა ხელოსანი დასჯილ იქმნა სამხედრო საველე სასამართლომ წესით. ეხლა კი ამ სასამართლომ დაუხვრიტა იან ტომპი, დანარჩენებს კი საერთო ანგარიშით გადაუწყვიტა 1795 წლის კატორღა.

ასეთია სასამართლო და მისი მართლმსაჯულება დემოკრატიულ ესტონეთში.

ო. რასტასი.

ესტონეთის პროლეტარიატის ჯალათების ზეიმი

(რეველიდან)

აჯანყებამ ნათლად დაამტკიცა, რომ მთავრობა ეყრდნობა მხოლოდ იუნკრებსა და ფაშისტების ბანდებს. **ტერორმა მიიღო საშინელი ხასიათი. სჯიან მთელს ოჯახებს. საჭიროა დახმარება.**

ესტონეთის ჯალათები არავითარ ზომებს არ ერიდებიან. პოლიცია, ჯაშუშები, იუნკრები და ოფიცრები—უკვე ერთი კვირაა განაგრძობენ სისხლის ღვრას. ყოველ დღე-იღუპება ათეული ამხანაგები... უთვალავია და გამოურკვეველი მსხვერპლთა რაოდენობა. აღარ სჩანს ბოლო. თითქმის ყველა დახვრეტილია—ვინც კი იღებდა ამბოხებაში მონაწილებას. ჯალათები ლამობენ არა მარტო კომპარტიის წევრებისა და პროფესიონალურ კავშირების წევრთა ამოჟლეტას არამედ სდევნიან და ხოცავენ ყველა იმათ ვინც ცოტათი მაინც თანაუგრძნობს კომუნისტურ პარტიას. ესტონეთის ჯალათების თავხედობასა და ველურ თარეშს არა აქვს საზღვარი...

1 დეკემბერი—რომელიც დარჩება დაუვიწყარ დღეთ ესტონეთის მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიაში, უაღრესად დიდი მნიშვნელობის მატარებელია.

გამომჟღავნდა ბურჟუაზიის სისუსტე მჭიდროდ შეკავშირებულ რევოლიუციონურ მუშების წინააღმდეგ.

200-მდე კომუნისტებმა, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი (10-დან 15 კაცამდე) ხელში ჩაიგდეს 5 ს. განმავლობაში: ორი სადგური, ტელეგრაფი, ფოსტა, ტელეფონის სადგური, ტანკებისა და ჯავნოსნების ნაწილი, პოლიციის სამმართველო, ავიაციის რაზმი, სახელმწიფო საკრებულო (პარლამენტი) და რამოდენიმე სამინისტროები.

აჯანყებულებმა ვერ შესძლეს მხოლოდ იუნკერების სასწავლებლისა და გენერალურ შტაბის ხელში ჩაგდება. სამხედრო ნაწილებმა დიდი წინაღმდეგობა გაუწიეს აჯანყებულებს. სროლა გაგრძელდა 2 საათის განმავლობაში; საღამოს 8 საათზე მთავრობამ შესძლო ქალაქში „წესრიგის“ აღდგენა. აჯანყებულთა ლიკვიდაციაში მონაწილეობას იდებდენ: იუნკრები, ოფიცრები, მონადირეთა დრუჟინა, ფლოტის მეზღვაურები, პოლიცია და სხვ.

ჯარის კაცები ჩაჰკეტეს ყაზარმებში. მათ ვერ მიანიჭეს „ბედნიერება“ გამხდარიყვნენ ჯალათები მუშათა განთავისუფლებისათის მებრძოლ რევოლიუციონებისა. არც გასაკვირია... ასეც უნდა ყოფილიყო... 1 დეკემბერს, როდესაც მუშებმა აცნობეს ჯარისკაცებს აჯანყების ამბავი, მათ დაუყონებლივ შეიპყრეს თავიანთი ოფიცრები და მუშათა ჰიმნი დააგუგუნეს ყაზარმებში. ასეთი სულიერი განწყობილების ჯარის გამოშვება საშიშარი იყო მთავრობისათვის აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგაც. 10 დღის განმავლობაში გაგრძელდა ეს საშინელი სისხლის ღვრა. მთელი ესტონეთი მოფენილია შპიკებითა და ჯალათებით, მაგრამ გამარჯვებულები მაინც ვეღარ გრძნობენ თავს დამშვიდებულად. მათ არასდროს არ დავიწყდებათ ის ორი საათი, როდესაც ესტონეთის სატახტო ქალაქი მუშების ხელში იყო; ის თავგანწირული და უმაგალითო შეტაკება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ესტონეთში 1 დეკემბერს—მიუხედავად იმისა, რომ ის გათავდა მუშათა მოძრაობის დამარცხებით: არის მტკიცე და შეურვეველი მომავალი ბრწყინვალე გამარჯვებისა—ესტონეთში.

1 დეკემბერი მოწმობს, ის ერთხელ და სამუდამოდ ამტკიცებს ესტონეთის კომპარტიის ფოლადისებურ სიმაგრეს და რევოლიუციონურ სიმტკიცეს.

აჯანყება ჩააქრეს, ის აღგავეს ბურჟუაზიის ლაქებმა, მაგრამ ამ დამარცხებით ესტონეთის მუშათა კლა-

ტერორმა მიიღო საშინელი ხასიათი. სჯიან მთელს ოჯახებს. საჭიროა დახმარება.

სმა დაამტკიცა საქვეყნოთ, მოთავრობისა და მისი დამჭაშების სისუსტე.

როგორი ყურადღება მიაქცია ამ საშინელ ფაქს „დემოკრატიულმა რესპუბლიკამ“ და საზოგადოებრივმა აზრმა? არავითარი! შეურყეველი და მშვიდი მდგომარეობაში არიან „დემოკრატიული სამოთხის“ მესვერები... ისე დამშვიდებით იცქირებიან მომავლისაკენ როგორც 1 დეკემბერამდე...

ესტონეთი გმინავს ტერორის ქვეშ... ის სულს ღაფავს... მას სტანჯავს შავი რეაქცია... მუშათა მრავალი უბნები სისხლში სცურავენ, სდუმან სისხლისა და ცრემლის მორევში... უმრავლესობა მცხოვრებთა „ციხეშია მოქცეული... ნაწილი კი სასტიკ დევნას განსცდის...

სჯიან „დამნაშავე“ კომუნისტებს... საერთოდ, არა ოფიციალური ცნობით დახვრეტილთა რიცხვი უდრის 200 კაცს.

ძნელია სწორი ცნობებისა და ნათელი სურათის მოცემა ესტონეთის მუშათა ცხოვრებიდან. მთელი ოჯახები განადგურებულია — არ არიან არც ბავშვები, არც მოხუცები, არც დედები .. დახოცეს, ამოჟლიტეს... გაანადგურეს „წესიერების და მშვიდობიანობის“ მოყვარულმა ჯალათებმა...

საჭიროა ძლიერი ორგანიზაციული დახმარება... ესტონეთზე უფრო ბედნიერი ქვეყნების მუშების ვალია გაუწოდონ მათ ძმური დახმარების ხელი. რემედას-მა უნდა დაეხმაროს ესტონეთის თეთრი ტერორის მსხვერპლთ.

ყოველი დღე ძვირფასია — საჭიროა სიჩქარე.

მარსი.

იტალიის ფაშისტების მძიმე უღლის ქვეშ

უკვე ოთხი წელი სრულდება, რაც იტალიის პროლეტარიატი მწარედ გმინავს და სულს ღაფავს ფაშისტების მძიმე უღლის ქვეშ. 1921 წლიდან — დემოკრატიული პარტიისა და მინისტრების: ჯიოლიტისა და ფაქტის მიერ კურთხეული ფაშისტები, „ექსტრალეგალურელები“-ს სახელწოდებით არბევენ და ანადგურებენ მთელს მხარეს.

იტალიის პროლეტარიატს არ მოეპოება მათთვის სხვა სახელწოდება გარდა: Le bandas armatas-სი ე. ი. მიტრალიეზებით შეიარაღებული ბანდა — რომელსაც ყავს საკუთარი ცხენოსანი რაზმიც.

ეს ბრბო ალარ ცნობილობს დემოკრატიისა და სახელმწიფოს ავტორიტეტს და აწარმოებს მუშათა კამერებისა და კოოპერატივების რბევას.

1919 წ. ქ. ტრიესტში ფაშისტებმა ცეცხლი წაუკიდეს მუშათა კამერას. შეიპყრეს მუშები, რომლებიც კრებაზე იყვნენ.

ეს ფაქტი ნათლად მოწმობს, იმას რომ ფაშისტური ბანდების „მოღვაწეობა“ მიმდინარეობს — სახელმწიფოს დამოუკიდებლად.

კომუნისტებზე „ნადირობა“ დაიწყო 1920 წ. პირველ თვეში შეპყრობილი და დახვრეტილი იქნა 3.000 კაცი, ის ზომები, რომლებსაც იღებს მთავრობა ფაშისტების ასეთი საქმიანობის „წინააღმდეგ“, არა თუ უკრძალავს მათ განაგრძონ დაწყებული საქმე — არამედ უფრო თავისუფალ სამოქმედო ასპარეზს შლის მათ (ფაშისტების) წინაშე.

დეპუტატი მატტეოტის სიკვდილი რომის ქუჩაზე, წარმოადგენს ფაშისტების აღვირ-ახსნილობის საუკეთესო ნიმუშს... მათ ველურ თარეშს იტალიაში... ისინი ანგარიშს არ უწევენ, არც დეპუტატის სახელწოდებას, არც დემოკრატიულ პარტიას — რომლის წარმომადგენელი იყო მატტეოტი.

აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა პირობებში იქნება იტალიის მუშათა კლასი და მათი დამცველი კომუნისტური პარტია...

იტალიის ფაშისტები, სოფლებში მიტინგებზე მოუწოდებენ ყველას, ვისაც სურს მიიღოს „პური უმუშევრად“ ჩაეწეროს ფაშისტების პარტიაში და იბრძოლოს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

ეს სავსებით ეგუება სოციალ რეფორმისტებისა და მათი მეთაურის ტურატის რწმენას... ეს ამტკიცებს იმას, თუ რამდენად შორს წავიდნენ ისინი 1921 წ. 23 წლამდე მუშათა კლასის ღალატის საქმეში.

პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობა თანამედროვე იტალიაში გაცილებით უარეს პირობებშია ვიდრე საშუალო საუკუნეებში. ციხეში შემოღებულ წესების თანახმად პატიმარს ართმევენ ყველაფერს, შარვალს „პოტიაშკებს“, ფულაქებს, ლითონის „პრიაჟკებს“ და ფეხსაცმელების „შნუროკს“ და სხვ.

იტალიის ციხის მდგომარეობამ... სასტიკმა და მხეცურმა საქციელმა და ადმინისტრაციის თავგასულობამ გადააჭარბა ევროპაში არსებულ ყველა ციხეების რეჟიმს...

ციხის უფროსი, რომელიც ფაშისტური ორგანიზაციის წევრი არაა — იმყოფება სასტიკ ტერორისტულ მუქარის ქვეშ, პატიმრების მიმართ ლმობიერი მოპყრობისათვის, თუ ასეთს სადმე ექნა ადგილი.

პატიმრები მოწყვეტილნი არიან ყოველგვარ ცნობებს და ახალ ამბებს, ვინაიდან სასტიკად აკრძალულია ციხეში ლიტერატურის შეტანა.

კაპიტალისტური ციხეები სავსეა ტრიესტელი მუშებით, რომლებიც სხვა „მშვენიერებასთან“ ერთად იტანენ მეტად მძიმე მუშაობასაც... ფაშისტები ცნობილნი არიან, არა მარტო ქვეყნის რბევა-განადგურებით, არამედ სასამართლოს პროცესებითაც, რომელსაც ისინი ხშირად აწყობენ მუშებისა და კომპარტიის წევრების დასასჯელად.

მეტად საინტერესო პროცესი იყო **არეცო და ემპოლი**, პირველად გაასამართლეს 100, ხოლო მეორედ 132 მუშა-რევოლიუციონერები.

მატტეოტის სიკვდილმა დიდი პროტესტი გამოიწვია მთელს დასავლეთში... ფაშისტების მოპყრობა რევოლიუციონერების ოჯახებისა და შვილებისადმი მეტად „ჰუმანიურია“. მათ სიკვდილამდის **„ართმევენ ჩვენებას“**... ეკითხებიან — სად არის მისი ქმარი... ან მამა... ან ძმა... და სხვ... როდესაც ვინმე მოკლულია: ჭირისუფალს ეუბნებიან: **„ერთი პირუტყვით ნაკლებია“**. 1921 წ.

ფაშისტები შტრეიკბეხერების როლს ასრულებდენ.. ისინი 75% მეტს იღებდენ მუშებზე..

არასახარბიელო მდგომარეობაშია იმპერიალისტური ომის ინვალიდები, რომლებიც უმოწყალოდ ყრია მუშათა სადგომების ახლოს... ბურჟუაზია ყურსაც არ იბერტყავს... მათ მდგომარეობაზე სულაც არ ფიქრობს... უბრალო პროტესტებზე და მოთხოვნილებებზე მათ მოელის ციხე...

„ნაციი"ს დასაცავად ფაშისტებმა წამოისროლეს შემდეგი ლოზუნგი:

— მუშებს ციხე, ინვალიდებს საპატიმრო სახლი— მათ ოჯახებს კი—შიმშილით სიკვდილი.

მხოლოდ რემედას-ის ორგანიზაციების დაარსების შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი მათი დახმარების გაწევა.

ამრიგად რემედას-ი ეხმარება კაპიტალის ციხეებში მოქცეულ ტყვე რევოლიუციონერებს გადაიტანონ ეს მძიმე პირობები, რომ უფრო მტკიცედ და ფოლადისებური სიმტკიცით შეკავშირდენ მომავალ ბრძოლისათვის. ბურჟუაზიისა და თეთრი ტერორის ბანდების ასალაგმავად და რევოლიუციის ვულკანიური ცეცხლის ასაფეთქებლად.

Varmaro.

ბალკანეთში

ბალკანეთის ქვეყნების მთავრობები—მონა-მორჩილნი „დიდ სახელმწიფოთა" სურვილებისა ისევ განაგრძობენ მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობათა ჩაქრობა-განადგურებას. ბულგარეთში—მშრომელთა ბელადების დახვრეტა გახდა ჩვეულებრივ მოვლენად. რუმინეთში კი—ჩვენ ეხლახან ვიყავით მოწმენი ბესარაბიის გლეხებზე საშინელ თავდასხმისა. სამხრეთ-სლავიაში, კომპარტიის აქტიური ხელმძღვანელნი ისევ იტანჯებიან ბურჟუაზიის ციხე-სიმაგრეთა რკინის კედლებში. თავის მეზობლებს არ ჩამოუვარდება „რესპუბლიკანური" საბერძნეთიც. ისიც გვერდში უდგას სხვა დანარჩენებს და ცდილობს რევოლიუციონურ მუშათა კლასის განადგურებით ასიამოვნოს ევროპის კონტინენტის „ბატონ-პატრონს"—„მეფე-კაპიტალს".

იან გრეცა

(წერილიდან)

...თავმჯდომარე კმაყოფილებით იგრეხს ულვაშებს... გვერდზე წაჰკრავს მძინარე მსაჯულს და ველურის ხმით დაიღრიალებს,—თითქოს ბრძანებას იძლევაო:

— „ბრალდებულო იან გრეცა"!

რკინის გალიის კარს, სადაც ფრინველებივით სხედან „დამნაშავენი" აღებს კოროლის გვარდიის ფორმაში გამოწყობილი ბესარაბიელი გლეხი... გამოდის იან გრეცა..

ბრწყინვალე... შუბლგადახსნილი გლეხის სახე... თვალები, რომლებშიაც ჯერ ისევ მორცხვად იმალება მორჩილების გრძნობა... ამჟლავნებენ ტანჯვას... აუტანელ რეჟიმის სიმხეცეს... სისასტიკეს... ველურ თავგასულობას... ახოვანი—ბრგე-ჭაბუკი—ჩაცმული რუმინელი მეზღვაურის ფორმაში...

დარბაზში მოძრაობაა.. ოფიცერთა „დამები" სარგებლობენ შემთხვევით... იხედებიან ლორნეტებიდან...

— მშვენიერია.. რა ლამაზი ყმაწვილია,—გაისმის აქა იქ...

თავმჯდომარე ცდილობს მიიღოს უფრო მკაცრი სახის გამომეტყველება... ის ეხლა გაცილებით უფრო მკაცრად და მრისხანედ იხედება ვინემ ოდესმე... სხვა დროს... მორიგი ოფიცრები ირონიულად ფუსფუსებენ...

აქვე სდგანან მორიგი ჯარის-კაცები... კოროლის არმიისა... ისინი სდგანან განცვიფრებულნი.. გაშეშებულნი... მათ წინაშე სდგას იგივე ჯარის-კაცი... მას ბრალს სდებენ... ასამართლებენ კომუნისტობისათვის... მაგრამ...

ჩუ... ხმა გაისმა...

—„ბრალდებულო იან გრეცავ—თქვენ გაიგეთ, რაში გედებათ ბრალი? კანონი განიჭებთ უფლებას მოახსენოთ სასამართლოს ყველაფერი ის, რასაც საჭიროდ სთვლით თქვენი თავის გასამართლებლად და დასაცავად.

წარმოსთქვა დინჯად „კეთილშობილმა" თავმჯდომარემ და ამაყი თვალები გადაავლო დარბაზს...

იან გრეცა იწყებს თავდაცვას:



ამხ. დობროჯანუ გერსა.

რუმინეთის მუშათა მოძრაობის ბელადი, რომელსაც ბუხარესტის სამხედრო სამამართლომ მიუსაჯა 10 წლის ციხე.

— ბატონო თავმჯდომარევ, პატივცემულნო მსაჯულნო... მე ბრალს ვსდებენ ჩვემს ამხანაგებში მანიფესტის გავრცელებაში, რომელშიაც მათ წინადადება ეძლეოდათ არ წასულიყვნენ თავიანთი იარაღებით რუსეთის მუშურგლეხურ მთავრობის საწინააღმდეგოდ...

მე არ უარვყობ.., მართალია.. მე ამაში „თითქოს" „დამნაშავე" ვარ... თუ მე ამას დაუმატებ იმასაც, რომ იმ დროს წერა-კითხვაც არ ვიცოდი რიგიანად, თქვენ უნდა მერწმუნოთ, რომ ჩემთვის სრულიად უცნობი იყო მანიფესტის შინაარსი.., ასე, რომ ჩემი დაპატიმრება იყო

წმინდა სისულელე... ისე უკანონო, როგორც ის, რომ მე ეხლა დამნაშავის სკამზე ვზივარ... ბატონო მსაჯულნო, სანამ პოლიტიკური პოლიციის ხელში ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ... ხანგრძლივი წამება-ტანჯვის შემდეგ არ გადამიყვანეს ჟილავას ციხეში—მე არაფერი გამეგებოდა არც სოციალიზმისა და არც კომუნიზმის... მამა ჩემი—გლეხია, ჩემი წინაპრები ყველანი გლეხები და ღარიბები ივვნენ. იყო გლეხი—ეს იმას ნიშნავს რომ იყო მუდმივ სიბნელე—უვიცობაში... მე დღე და ღამე ვმუშაობდი ხარივით ბოიარის სახელობის მამულში—ეს ღა ვისწავლე ჩემი წინაპართაგან... ამასვე აკეთებენ... ასე ტანჯვა-წამებაში აღამებენ თავიანთ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ჩემი ძმები, დები და მშობლები... ჩვენი ოფლის ყოველი წვეთი ბოიართათვის იქცეოდა ოქროდ, მაშინ როდესაც ჩვენ პური გვენატრებოდა... მაშინ როდესაც ჩვენ სხვის ნასუფრალზე პურის ნამცეცებს დავეძებდით...

ციხეში ყოფნის დროს მე გავეცანი ხალხს, რომლებიც თავის თავს—კომუნისტებს უწოდებენ... მე პირველად არ მესმოდა, როდესაც ისინი მიხსნიდენ თავიანთ მიზნებს... მაგრამ ის, რაც გავიგე და შევითვისე ძალიან მომეწონა... მე იქ შემასწავლეს წერა-კითხვა... მომცეს პატარა ბროშიურები წასაკითხავად ამის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ ეს ხალხი მიილტვის საუკეთესო საკაცობრიო მომავლისაკენ... ბედნიერებისა და ნეტარებისაკენ რომელსაც ეწოდება: **თავისუფლება და სამართლიანობა...**

ჩემთვის ნათელი გახდა ბოიართა აურაცხელი და უზომო სიმდიდრე და ჩვენი აუტანელი ცხოვრების საშინელი პირობები... ჩვენი ტანჯვა... მათი ნებივრობა—ჩვენი მონობა... მე დავრწმუნდი, რომ მხოლოდ ჩვენი—მშრომელთა რიგების შეკავშირება—შეერთებით შეიძლება გამარჯვება... თავისუფლების მოპოება... მე დავრწმუნდი, რომ გამანთავისუფლებელ ბრძოლისათვის ჩვენ უნდა დავუკავშირდეთ ქალაქის მუშებს—რომელთაც ახრჩობთ ექსპლოატაციის საშინელი რეჟიმი... და დღეს, როდესაც მე თქვენ დამიძახეთ... სასამართლოს წინაშე ხმა მაღლა ვაცხადებ: **ყოველი გლეხის, მუშის, ჯარის-კაცის თუ მშრომელის წმინდა მოვალეობას შეადგენს ბრძოლა კომუნისტური პარტიის გასამტკიცებლად...**

ამ ერთად-ერთი მუშათა პარტიისა. რომელიც მტკიცედ და შეურყევლად სდგას, მსოფლიო პროლეტარიატის, მუშათა კლასის ინტერესების სადარაჯოზე".

გრეცას უკანასკნელმა სიტყვებმა, რომლებიც რევოლიუციონურის ენტუზიაზმით იყო წარმოთქმული გრიმასები გამოიწვია ლოჟებში მჯდომ ოფიცრებსა, მათ „დამები"სა და ყველა დანარჩენ „ბრწყინვალე" მოქალაქეთა სახეზე...

საშინელის მძულვარებითა და ზიზღით უმზერდენ ისინი ამ ახალგაზრდა ჯარის-კაცსს, მვზღვაურებს... „დამნაშავეთა" რკინის გალიაში მღელვარება მატულობდა... მოისმოდა ძლიერი ხმაურობა...

არავინ არ მოელოდა, ყოველთვის წყნარსა და ჩუმ გრეცასგან ასეთ აფეთქებულ სიტყვებს... ყველას აკვირვებდა მისი მჭერმეტყველება...

გრეცა იდგა დინჯად... ამაყად და გაუნძრევლად ბ-ნ მსაჯულთა წინაშე.

— გასწი,—ბრძანა მსაჯულმა...

რის შემდეგ ის შეჰკრეს... მძიმედ გალახეს და 10 დღით კარცერში ჩააგდეს... მხოლოდ პარტიის პროტესტმა და ამხანაგების მღელვარებამ დაიფარა ამხ. გრეცა მომავალ, უფრო სასტიკ წამებისაგან... წარმოთქმულ სიტყვის გამო მას 5 წელი კატორგა მიუსაჯეს და გადაგზავნეს დოფტანის ციხეში სადაც ის ზის დღემდის.

ჟორჟ ვალიე

(საფრანგეთის რევოლ. გალერეიიდან).

მე მოგითხრობთ ერთ-ერთ მებრძოლ გმირის ცხოვრებასა და ბრძოლას, ამხ. ჟორჟ ვალიესას—რომელიც აქტიური მონაწილე იყო შავ ზღვაზე მომხდარ აჯანყებისა.

მუშა-მექანიკი ჟორჟ ვალიე დაიბადა 1899 წ. მან მისი მამისაგან მიიღო ნამდვილი პროლეტარული აღზრდა. 1917 წ. სანამ ის სამსახურში ჩადგებოდა, იყო მელითონეთა კავშირის წევრი. ყველგან, სადაც კი მსახურობდა და უცხოვრია ამხ. ვალიეს სტოვებდა თავის ამხანაგ მეგობრებში უდიდეს პატივისცემას და სიყვარულს.

იყო ასეთი შემთხვევა: 1918 წ. კრეისერი „შატორეპოლი"-ს მინით აფეთქების დროს, რომელიც მოხდა თებერვალში დოტრაიგში, მან გადაარჩინა დაღუპვისაგან ერთი მეზღვაური.

ეს მოხდა ასე: გემის აფეთქების დროს წყალში გადავარდნილი მეზღვაური ხელებით ეპოტინებოდა პატარა ფელუგას (ნავს) ვალიე ცდილობდა დახმარებოდა. გემის უფროსმა დაუყვირა მას, ხელი არ ეხლო, თორემ ყველანი გადავარდებიან წყალში... უფროსს ეშინოდა სხვებიც არ გადაცივნილიყვენ ზღვაში. „დაიკავე ჩემი ადგილი", დაიყვირა—ვალიემ და გადავარდა ზღვაში სადაც მან დაჰყო ოთხი საათი.

1919 წ. ამხ. ვალიე იმყოფებოდა კრეისერ „ვოლტერ"-ში ბიზერტაში. ამ დროს ტუნისისა და ბიზერტას ელექტრო-ტეხნიკები გაფიცულიყვნენ. გემის უფროსმა მიმართა ამხ. ვალიეს წინადადებით—რომ ის ინიშნება, როგორც საუკეთესო ტეხნიკი, „კომანდის" უფროსად და ევალება გამოსცვალოს გაფიცულები, უფროსმა მიმართა წინადადებით აგრეთვე ვალიეს აერჩია ბიზერტი ან ტუნისი.

ამაზე ამხ. ვალიემ უპასუხა: **მე არც ერთ ადგილზე არ წავალ. მე მსურს ვიმუშავო გემზე. მე ვერ გამოვცვლი იმ მუშებს, რომლებიც გაიფიცენ. მე მუშა ვარ. არ შემიძლია წავიდე მუშების წინააღმდეგ.**

მიუხედავად ასეთი სასტიკი პროტესტისა ვერ შესძლეს მისი დასჯა, რადგანაც მას უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა თავის ამხანაგებში—მუშებში და მეზღვაურებში.

დროებითი შერიგების შემდეგ, როდესაც მათ მიიღეს რევოლიუციის აფეთქების ამბავი შავი ზღვის მეზღვაურებში—ის ამ საქმეში იყო სრულიად დამშვიდებული და დინჯი. ის ხელმძღვანელობდა ყველა გემების მეზღვაურებს.

მან პირველად განაცხადა უარი შავ ზღვაზე გასვლისა და მოითხოვდა განეთავისუფლებიათ დაპატიმრებული მეზღვაურები.

ყველგან ქალაქებში სადაც კი შესდგებოდა მეზღვაურთა კრებები ვალიე გამოდიოდა ამ მოთხოვნილებით,

რადგანაც ის იყო ერთად-ერთი ხელმძღვანელი ვეღარ შესძლო სისრულეში მოეყვანა ყველა ამოცანები, სამაგიეროდ მან მოაწყო ძლიერი რევოლიუციონური ორგანიზაცია იმ გემზე სადაც მსახურობდა თითონ. მან შესძლო თავის გემზე ორი აჯანყების მოწყობა.

გემის რევოლიუციონური კომიტეტის მთელი შემადგენლობის დაპატიმრების შემდეგ—გემის უფროსმა შესძლო ამხ. ვალიეს დაპატიმრებაც.

ვალიე იწვა ავადმყოფი, მან მხოლოდ წინა დღით განიზრახა გაქცეულიყო საავადმყოფოდან და ხელმძღვანელობა გაეწია ოფიცერთა წინააღმდეგ მებრძოლთათვის, მაგრამ გემის უფროსმა შეიპყრო ის და გადაგზავნა ჰოსპიტალში, რომელიც ძლიერ დაშორებულიყო საზღვაო სამხედრო ნაწილისაგან. ამხ. ვალიე შევიდა რადიოგრაფიულ დარბაზში სადაც ის შეიპყრეს ჟანდარმებმა. ამ დროს სევასტოპოლიდან ჩამოსული გემი „ფრანს"-ისა და „ვოლტერი"-ს მეზღვაურები რიცხვით 54 კაცი ბორკილებით გადაგზავნეს მე-8 მსროლელ პოლკის ყაზარმაში ამხ. ვალიე გამოიყვანეს ჰოსპიტლიდან 32 კაცის თანხლებით, რომლებიც სდარაჯობდენ მას დღე და ღამე.

ხელისუფლება არ იყო დარწმუნებული, რომ 20 წ. ახალგაზრდა ვალიეს შეეძლო გაეწია ხელმძღვანელობა აჯანყებისათვის, ამიტომ ისინი შეეცადენ მისთვის სხვა ბრალდება გამოენახათ, რის შემდეგ მას მიუსაჯეს 20 წ. ციხე. მიუხედავად იმ არაჩვეულებრივი ტანჯვა-წამებისა რომელსაც ის იტანდა პატიმრობის დროს გამოიჩინა სრულიად ახალი გმირობა.

მე აქ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან.

1922 წ. ციხე კლაროშში ყოფნის დროს ის ამორჩეული იყო ვირცონის ოლქის მრჩევლად.

მე მას გადავეცი წერილი, სადაც ვაძლევდი რჩევა-დარიგებას, რომ ის უფრო დამშვიდებულიყო და საქმისადმი დინჯად მოეკიდა ხელი, რომელსაც უსათუოდ დიდი გავლენა ექნებოდა მისი განთავისუფლების დასაჩქარებლად.

აი რა მიპასუხა მან ჩემს წერილზე:

— მე სულ სხვა მოსაზრებისა ვარ... პირიქით მე ყოველთვის ვცდილობ თვალწინ წაუყენო მათ ჩემი მათდამი სიძულვილი და კომუნიზმისათვის თავდადებული ბრძოლა და მისი უდიდესი სიყვარული, რომელიც მე მამხნევებს ციხის ჩუმ კედლებში.

დეე, მე ვიჯდე ციხეში—აქ უფრო ბედნიერი ვიქნები რადგანაც შენც არ განთავისუფლებენ".

ანდრე მარტი.

პოლონეთი

პოლონეთის პანების მთავრობა ძლიერის მრისხანებით აწარმოებს შეტევას მშრომელთა მიმართ. დაჩაგრული მშრომელი მასსების აჯანყება ჩაქრობილ იქნა. პოლონეთის თეთრი იუსტიცია თავისი „მოღვაწეობით" და „საგარეო საქმეები"-თ ეჯიბრება გერმანიის ბურჟუაზიის თეთრ ტერორს. ძლიერ გახშირდა ციხეებში შიმშილობა და თვითმკლელობა. პოლიტიკურ-პატიმართა ცემა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. დაპატიმრებულთა რიცხვი 6000 აღემატება.. ასე პირნათლად და ენერგიულად ასრულებს პოლონეთის პანების მთავრობა ბურჟუაზიის „წმინდა საქმეს"..

თეთრი არწივის მრრისხანების ქვეშ

I. არ არის, არსად იმაზე უსასტიკესი—გუბერნიის უფროსები (Воеводы) და მამასახლისები (მაზრის უფროსები) როგორიც პოლონეთში—რომლებიც განაგებენ თავიანთი ქვეშევრდომთა ბედ-იღბალს მთელს ოლქებში.

ძნელია და შეუძლებელი იმის აღწერა, დახასიათება იმ საზოგადო მდგომარეობისა—რომელიც შექმნეს პოლონეთში დიდი და მცირე სატრაპებმა —რომლებიც ასამართლებენ მშრომელთა უმრავლესობას, მუშებსა და გლეხობას.

აუტანელი გადასახადები. მემამულეთა საშინელი ექსპლოატაცია. სკოლებისა და სხვა კულტურული დაწესებულებათა უქონლობა. აკრძალვა მშობლიური ენით სარგებლობისა—აი ის ძვირფასი სამკაულები, რომლითაც უმასპინძლდება პოლონეთის პანების მთავრობა მუშათა კლას—მშრომელ გლეხობას.

ქონების განადგურებას, დაპატიმრებას, ცემას, წამებას, ხანგრძლივი ციხეში ჯდომას და მხეცურ განაჩენებს სასამართლოში—აი რას განიცდიან პოლონეთის ყველა მხარეები.

ვოლინაში მამასახლისებმა გამოსცეს მთელი რიგი ბრძანებებისა, რომლის ძალით აკრძალულია ყოველგვარი კრებები, დემონსტრაცია და მიტინგები. ამასთან ერთად სეიმის დეპუტატების მიერ მოწვეული მიტინგებიც. აკრძალულია აგრეთვე ყოველგვარი ყრილობები, კომფერენციები, თათბირები და სხვა, როგორც ფასიანი ისე უფასოც, დახურულ სადგომებში. ასე—ერთი კალმის მოსმით „ყოვლად შემძლე" სატრაპმა სამარის მსგავსად აქცია მთელი მხარე... აქ არ შეიძლება ნაცნობ-მეგობრების ერთად თავის მოყრა, სჯა-ბაასი და სხვ. გახშირებულ ჩხრეკის გამო, რომელსაც აწარმოებს სისტემატიურად დამსჯელი რაზმი, გლეხობისა და მუშების უმრავლესობა გადახიზნულია მთებში და ტყეში, ადგენენ იქ პარტიზანულ რაზმებს—ეცემიან მემამულე-ბურჟუებს, ასე რომ პოლონეთის მშრომელთა მოძრაობა, მათი ბრძოლა ხელისუფლების ველურობის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის ხასიათს იღებს... მუშათა კლასი და გლეხობა მტკიცედ ირაზმება პოლონეთის თეთრი ტერორისა და მისი სულის ჩამდგმელ ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

იმქნება ატმოსფერა, **„ომი ყველასი—ყველას წინააღმდეგი"**ს რომელიშიაც გაიფურჩქნება დღეს თუ ხვალ საშინელი შურისძიება, იფეთქებს მასსიური ამბოხების დაუნდობელი ხანძარი. შინაგან საქმეთა მინისტრმა—გიბნერმა მთელს მხარეში სამხედრო წესები გამოაცხადა... სამხედრო-საველე სასამართლოს პირველი მსხვერპლი—გახდა პარტიზანული მოძრაობა... პოლონეთის „შორსმჭვრეტელი" ხელისუფლების მესვეურები წინასწარმეტყველობენ ქვეყნის განაპირა მიწების დაკარგვას.

სეიმის სხდომაზე 30 ოქტომბერს დეპუტატმა **პონიაკოვსკიმ** შემდეგ-ნაირად დასხასიათა განაპირა ოლქების მდგომარეობა:

„ჯერ არ ახსოვს არც ერთ ხალხის ისტორიას მსგავსი მოპყრობა—ახალ შემოერთებულ ოლქებისადმი.

მთავრობამ უკვე დაჰკარგა ყოველგვარი საშუალება მოძრაობის ხელმძღვანელობისა, ამიტომ თავისი ავტორიტეტის დასაცავად მან მიანიჭა უზენესი უფლებები სამხედრო უწყებებს. მთავრობას დაავიწყდა, რომ სამხედრო

ადმინისტრაციას ყოველთვის ახასიათებდა თვითნებობა და ძალადობა.

„საზოგადოებრივი ურთი-ერთობა ამ განაპირა მხარეში იმ დონემდის მივიდა, რომ თამამად შეიძლება ეს მიწები პოლონეთისათვის დაკარგულად ჩავთვალოთ. ეს მოხდება სულ მოკლე ხანში".

პოლონეთის ბურჟუაზიას მიწების დაკარგვა მარტო კი არ ემუქრება—არამედ პოლონეთის მთავრობა ვერ ჩააქრობს იმ ხანძარს, რომელსაც განაპირა ოლქებში ანთებს და აღვივებს გლეხთა მოძრაობა. მისი ძლიერი ალი იზრდება ზღაპრულის სიჩქარით, და სადაცაა შთანთქავს პოლონეთის სატრაპების დიქტატურას.

2. „Fiat fustitia—perel mundus"

„როსტას" ტელეგრამები, რომელიც გამოქვეყნებულია ყოველდღიურ პრესასი იძლევა ვრცელსა და ყოველმხრივად გაშუქებულ სურათებს პოლონეთის სასამართლოს პროცესებისას. სასამართლოების „პრაქტიკა" პოლონეთში აღწევს საშინელებისა და საზიზღროების იმ წერტილამდის—რომლის იქით ყოვლად შეუძლებელია წასვლა. აქ საკმარისია გავიხსენოთ ზაფხულში მომხდარი ამბავი: ნაფიც ვექილებმა უარი განაცხადეს სასამართლოს პროცესისწარმოებაზე, რადგანაც მათ ვერ გაიგეს, ის ენა რომელზედაც ბრალდებულები იძლეოდენ ჩვენებას. რის გამო ისინი გაანთავისუფლეს მოვალეობის ასრულებიდან. სასამართლომ დაადგინა, რომ ენის უცოდინარობა ხელს არ უშლის სასამართლოს საქმეთა წარმოებას.

მეტად თვალსაჩინოა 20 ოქტ. სასამართლოს პროცესი ქალ. პინსკში, სადაც ირჩეოდა პარტიზანელების მიერ მატარებელზე დაცემის საქმე—რომელიც მოხდა ლუნიცის ახლოს. მთელი ეს პროცესი ფარდას ხდის და ნათელ ჰფენეს პოლონეთის სასამართლოს კანონიერებას.

პროცესი დიდის ზეიმით იყო მოწყობილი. ხელისუფლება აშკარად ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა მცხოვრებლებზე. მთელი სახელმწიფოს ძალთა დემონსტრაციები იქნა გამოყენებული ამ შემთხვევისათვის. სასამართლოს სხდომა მოეწყო ადგილობრივ კაზინოში. ახლო-მახლო ქუჩებში და შესავალ კარებთან იდგა შეიარაღებული სამხედრო ძალა, რომელიც ყოველ გამვლელთ, თუ სასამართლოში დამსწრე მოქალაქეს უშინჯავდა პირადობის მოწმობას. სასამართლოს დარბაზში ხელმეორედ სწარმოებდა მოწმებების გაშინჯვა. საზოგადოების უმრავლესობას შეადგენდენ: ოფიცრები, ჩინოვნიკობა და მათი „დამები". ჩვეფლებრივი „მომაკვდავნი" ძლიერ ნაკლებად იყო—ვინაიდან საამისო უფლება ძნელი „მისაღები" იყო. მიუხედავად ასეთი მეტად დაკვირვებული ჩხრეკისა, პროცესის დაწყებისას დარბაზში შემოდის პოლიციის მოხელე 6 ჯაშუშების თანხლებით და ხმა მაღლა აცხადებს, რომ ის გამოგზავნილია წესრიგის დასაცავად.

შემოყავთ ბორკილებში დაჭედილი პატიმრები. ყოველ ხუთ კაცს მოყვება კარგად შეიარაღებული 50 კაცი. იწყება საქმის მოსმენა. ყოველი ჩვენების მოსმენის დროს, მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის სასამართლოს მოხელეებს ძლიერ შეჩვეული აქვთ ყური—მოისმინონ დამშვიდებით ყველა ის საზიზღროებანი, რომელსაც ადგილი აქვს განაპირა ოლქებში—მეტად ღელავდენ და თითქმის უკმაყოფილოდ გადახედავდენ ხოლმე ერთი მეორეს.

მოწმები ამტკიცებფენ, ორმ მტარებელზე დაცემის დღეს, ბრალდებულ **კურილოვიჩს** ისინი ხედავდენ თავის სოფელში, რომელიც ძლიერ დაშორებულია იმ ადგილზე სადაც მოხდა თავდასხმა.

ადგილობრივი მეწაღე, თავისი ჩვენებით ამტკიცებს, რომ, მატარებელზე თავდასხმის დღეს ბრალდებული **ნარიმანჩუკი** იყო მასთან და ფეხსაცმელი შეუკვეთა.

ასე შემდეგ... ვინ არიან ბრალდებულთა—მოწმენი? მოხელეები, მემამულეები და პოლიციელები!

პროცესის ბოლოს დამსწრეთათვის ნათელი გახდა რომ ხელისუფლება პოლიციის პრესტიჟის დასაცავად დამნაშავეთა სკამზე სვამდა, არა ნამდვილად დამნაშავეებს არამედ იმათ ვინც მათ პირველად ჩაუვარდათ ხელში. სამხედრო საველე სასამართლომ ვერ შესძლო დამნაშავეებზე განაჩენის გამოტანა, მაგრამ ხელისუფალთა სურვილების მონა მორჩილმა სასამართლომ ვერც გაამართალა ისინი.

სასამართლომ დაადგინა: „გადაეცეს საქმე ხელმეორედ გასარჩევად სამოქალაქო სასამართლოს, ბრალდებულებს კი „მიანიჭეს" უფლება გასამართლებამდე ყოფილივნენ განთავისუფლებულნი.

პატიმრებმა ვერ მოასწრეს სასამართლოს დარბაზიდან გასვლა... სასამართლოს პროკურორის ბრძანებით ისინი იქვე შეიპყრეს. მათ ბრალს სდებდენ ახალ საქმეში—ჯაშუშობაში.

საერთოდ პოლონეთის სასამართლოები გატენილია საქმეებით... მოხელეებიც „მუშაობენ" ენერგიულად და დაუღალავად. სექტემბერში წმინდა პოლიტიკური პროცესები იყო 23. ბრალდებულთა რაოდენობა საერთო რიცხვით უდრიდა 73. სექტებრის პირველ ნახევარში იყო 16 პროცესი—ბრალდებულთა რიცხვი უდრიდა 71, მეორე ნახევარში კი—14 პროც. და 136 ბრალდ.

ამავე პროცესებში შედის ყველა ის აურაცხელი აჯანყება და წინააღმდეგობანი, რომელთაც ადგილი ჭონდათ განაპირა ოლქებში მთელი წლის განმავლობაში.

პოლონეთის ციხეებში

ისევ გრძელდება, დღითი დღე მწვავე და აუტანელ ხასიათს ღებულობს პოლონეთის ციხის შავი რეჟიმი. ჩვეულებრივ მოვლენათაა გადაქცეული პატიმართა ცემა-ტყეპა, მათ სტანჯავენ პანებას—ერთგული მოხელები. ციხის ადმინისტრაცია მაგრად სდგას თავის „სადარაჯოზე"...

პატიმრები სასტიკ პროტესტებით უპასუხებენ ციხის ადმინისტრაციის ყოველგვარ დამამცირებელ ბრძანებას, რომელსაც ისინი იძლევიან „შინაურ წესრიგის დაცვის" მიზნით... ურჩ-პატიმრებს ციხის ადმინისტრაცია კვირეების განმავლობაში სვამდა ვიწრო კარცერში...

გავიდა ეს ხანა... თითქოს დაედვა საზღვარი რეპრესიებსა და მკაცრ ზომებს... ცემა-წამებამ, დამცირებამ, ფეხქვეშ გათელვამ—პატიმრები მიიყვანა ბრძოლის ახალ ფორმამდე—**შიმშილობამდე**. პატიმრები სრულიად არ იღებდენ საჭმელს... ისინი მოითხოვდენ პირობების შემსუბუქებას და ადამიანურ მოპყრობას, რომელსაც ადგილი არა აქვს პანების რესპუბლიკის არც ერთ ციხეში... ადმინისტრაციასთან შიმშილის საშუალებით ბრძოლამ პატიმრები მიიყვანა სამარისებურ სიჩუმემდე.... პატიმრებს ურჩევნიათ სიჩუმეში—შიმშილით სიკვდილი.

ეს პროცესიც თავდება...

პატიმართა ტანჯვა-წამება დღითი-დღე უარესდება... ისინი არჩევენ რითაც არ უნდა დაუჯდეთ მოშორდენ ამ საშინელ დამცირება-განადგურებას... ისინი ცდილობენ დაუდვან საზღვარი ამ უმაგალითო წამებას...

— ბოლო უნდა მოეღოს ასეთ ყოფნას—ეხლავე, დაუყონებლივ!—ასეთია დევიზი, ბრძოლის ახალი საშუალება, რომლითაც პატიმრები ებრძვიან ციხის ჩუმ კედლებიდან ბურჟუაზიის რეჟიმს... მათ თაეგასულობას—პოლონეთის „დემოკრატიულ სამოთხეში“.. და აი, აჯანყდენ პატიმრები... არბევენ ციხეებს... ანგრევენ კარებს... ფანჯრებს... მინებს... ესვრიან, ციხის ადმინისტრაციას ყველაფერს რაც კი მოუვებათ ხელში... ეწყობა ამკარა აჯანყებები ციხის კედლებში... იშლება ბრძოლის ახალი ასპარეზი, რომელსაც სდარაჯობს რკინის მესერებით დაბანდული ციხე-სიმაგრე... იხოცებიან.. ნადგურდებიან ჟანდარმებისა და ჯალათების მიერ გამოსროლილ ტყვიებით... არა ერთხელ ყოფილა უკანასკნელ ხანებში ასეთი სისხლიანი შეტაკება: ლოდზში, ლვოვში და სხვ. ქალაქებში...

მოვიყვანთ კიდევ ერთ დამახასიათებელ ამბოხებას; რომელსაც ადგილი ჰქონდა 21 ოქტომ. ქალ. სამბორში. სამბორი პატარა ქალაქია აღმოსავლეთ გალიციაში. მცხოვრებთა რაოდენობა აღწევს 25 ათასამდე. აქ არის გალიციის ნაფთის საწარმოო ცენტრი, რის გამო ის გახდა ადმინისტრაციისა და სასამართლოს საოლქო ცენტრადაც. ავსტრიის მთავრობამ სამბორში ააშენა, მთელს მხარეში ცნობილი, უდიდესი ციხე, რომელშიაც პატიმართა მდგომარეობა მეტად უნუგეშო პირობებშია. ამ ციხეში არ დარჩა „შეწყნარებისა“ და „შებრალების“ იოტის ოდენა ნასახიც რომელსაც კი ადგილი ჰქონია პოლონეთის ციხეში სხვა დროს... პატიმრები შიმშილობენ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით... პურში ფქვილზე მეტი მარილია....

21 ოქტომბერს მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა ციხეში მომხდარმა ამბოხებამ... მცხოვრებთა აძრძუნებული ტალღებით ირეოდა ქალაქის განიერი ქუჩები... ყველგან მღელვარება იყო... ჩოჩქოლი...დაძრძოდენ: ჯარის ნაწილები და პოლიციის ფარული აგენტები.. ციხის რკინის ფანჯრებიდან მოისმოდა პატიმართა განწირული ღრიალი: „მოგვეცით საჭმელი“.

ციხეს გარსშემოერტყა ტყვიის მფრქვეველებით ჯარის ნაწილები, რომლებმაც გასცეს ბრძანება: თუ არ დაწყარდებიან დაიწყებენ სროლას...

პასუხად პატიმრებმა დალეწეს ფანჯრების მინები, რომელთა ნამსხვრევებით დაიფარა ტროტუარები... ჯარმა ესროლა... ციხე მკდრულმა სისუმემ მოიცო... ყოველივე მიყუჩდა... დაგუდენ მონები...

მოკვდა პატიმარი—მიხეილ ბერეხულიაკი.. რამოდენიმე დასჭრეს სასიკვდილოდ...

მეორე დილას განმეორდა იგივე... პატიმართა ველურმა ღრიალმა ისევ ფეხზე დააყენა მთელი ქალაქი..

სროლა არ განმეორებულა... პოლიციისა და ჯარის ნაწილები შევარდენ ციხეში... სცემეს პატიმრები... სიკვდილის პირზე მიაყენეს შიმშილით ჯანგამოლეული ტყვები... ბორკილებით—გადაიყვანეს ისინი სხვა ციხეებში... ასე ალაგმეს ბურჟუაზიის ჯალათებმა სამბორის ციხის ამბოხება...

სამბორის ციხეში დარჩა მხოლოდ პატიმართა მცირე ნაწილი, რომელიც პოლიციას აზრით უფრო „ჩუმი“ და „წყნარი“ არიან და არ არღვევენ საერთო სიწყნარეს...

გ. კ.

ხელები შორს ჩვენს დეკუტატებისაგან!

(პოლონეთის კომპარტიის არალეგალურ ფურცლიდან)

მოვიყვანთ, პოლონეთის კომპარტიის უკანისკნელ ფურცელს რომელიც გამოცემულია—კომუნისტური და პოლონეთის სეიმის უკრაინელ დეპუტატების საწინააღმდეგოდ წარმოებულ პროვოკაციის საპროტესტოდ.

რემედას-ის აღმასკომი საჭიროდ სთვლის უცვლელად იქნეს ეს ფურცელი გამოქვეყნებული, რადგანაც მას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატის ფართე მასსებისათვის.

მუშებო და გლეხებო!

ბურჟუაზიის ლაქიები აწარმოებენ და ამზადებენ ახალ შეტევას სეიმის კომუნისტურ ფრაქციაზე. ამხ. ლანცუცკი უკვე ჩააგდეს ციხის საკანში. ამხ. კრულიკოვსზე თხზავენ ახალ ბრალდებებს, რომელსაც პროვოკატორების და ჯაშუშების ყალბ ცნობებზე აშენებენ. ბურჟუაზიის გამხეცებული ბრბო ლამობს სეიმის ფრაქციის დეპუტატებს გამოგლიჯონ ამხ. სკიპუ, პრესტუპუ, ვოიტიკა, პაშუკა და ჩააგდონ ციხის ბნელ კარცერებში.

ამხანაგებო, სეიმი და მთავრობა ცდილობს მოგვაშორონ უკანასკნელი აქტიური და ლეგალური დამცველნი მუშათა საქმისა.

ექსპლოატატორთა ხროვას ეშინია პროლეტარიატის თავისუფალი სიტყვისა, რადგანაც კომპარტიის იდეები დიდ გასავალს ჰპოულობენ მშრომელთა ფართე მასსებში: პოლონეთის მივარდნილ კუთხეებში ფეხს იკიდებს მისი ბრწყინვალე მოძღვრების დიადი ლოზუნგები, რომელიც აფხიზლებს პოლონეთის დაჩაგრულ და დაბეჩავებულთა მშრომელთა ფართე მასსებს.. რაზმავს მათ მედგარი და შეუპოვარი ბრძოლისათვის... მუშათა კლასი და გლეხობა შურისძიებით ამბოხებული, ცეცხლითა და მახვილით დგება ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად.

ბურჟუაზია ხედავს კარზე მომდგარ უბედურებას... ის ხედავს მის ჩასანთქავად ამდგარ ქარიშხალს, რომელიც უქადის მას საბოლოო განადგურებას...

დამონავებულ ხალხში, რომელიც ტანჯვაში და შიმშილში სულს ღაფავს, ფეთქავს ბურჟუაზიისადმი ზიზღისა და შურის-ძიების ქარ-ცეცხლი...

გლეხთა ფართე მასსები ჰკარგავენ ყოველგვარ ნდობას, მატყურა შემთახმებელთა ცრუ სიტყვებისადმი. გლეხები გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს ბელოროსიისა და უკრაინის გლეხთა აჯანყებებს, რომელებიც იბრძვიან მიწისათვის, და ნაციონალურ ჩაგვრის წინააღმდეგ.

იმდენად, რამდენად ბურჟუაზიას ფეხ-ქვეშ ეცლება არსებობის ნიადაგი, ის ცდილობს მიმართოს მკაცრ ზომებს, სასტ კ რეპრესიებს მცხოვრებთა მიმართ. ის სისლხს ღვრის მუშათა კლასისას, ახრჩობს გლეხობას, მთელს მხა-

რეში აყენებს ხალხის, უმანკო მსხვერპლთა სისხლის ტბებს —განსაკუთრებით ე. წ. კრესაში (აღმოსავლეთ ნაწილში).

ბურჟუაზიის ხროვა ლამობს, თავის მტაცებლურ ძალადობის დაფარვას —მშრომელ ხალხის დამცველთა-კომუნისტურ დეპუტატებისადმი. კომუნისტური პარტიის პრესა სავსებით მოქცეულია ჭერ-ქვეშ. ისინი კვლავ ლამობენ ციხეებში ჩაჰყარონ კომონისტური პარტიის დეპუტატები.

მუშებო და გლეხებო!

თქვენ თანახმა ხართ გულხელ დაკრეფილნი უყუროთ თქვენს დამცველთა ასეთ დევნას და დამცირებას?

თქვენ მტკიცე რიგებით უნდა უკუაქციოთ პანების თეთრი ტერორის დაქანებული ტალღები, რომელიც მიზნად ისახავს თქვენს საარსებო იმედების ფეხ-ქვეშ გათელვასა და განადგურებას. ჩვენს მიერ გამოქვეყნებული პროტესტი მჭრელი იარაღი უნდა გახდეს თქვენთვის ბურჟუაზიის თავგასულობის ასალაგმავად, რომელიც დაიხსნის ამხ. ლანცუცკისა და კრულიკოვსკის, სასამართლოს მრისხანე განაჩენისაგან. თქვენ უნდა ეცადოთ დაიცვათ ისინი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

უნდა დაიხსნათ კომუნისტური პარტიის აქტიური ხელმძღვანელნი—ციხე-კატორღისაგან.

ქუჩებისაკენ ამხანაგებო.

მოაწყვეთ საპროტესტო მიტინგები, მოაწყვეთ დემონსტრაციები ქალაქებში და სოფლებში. მიიღეთ საპროტესტო რეზოლიუციები მუშებისა და გლეხების კრებებზე. გადმოაგზავნეთ რეზოლიუციები დელეგაციასთან ერთად სეიმის კომუნისტურ ფრაქციაში.

დეე, მთელს მხარეში გაისმას პროტესტის ძლიერი ხმა:

ძირს მრისხანე და ველური ძალადობა ბურჟუაზიისა!

გაუმარჯოს სეიმის კომუნისტურ ფრაქციას!
გაუმარჯოს რევოლიუციას!
გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების რევოლიუციონურ კავშირს!

პოლონეთის კომპარტიის ცეკა.

ამხ. ლანცუცკის წერილი.

ძვირფასო ამხანაგებო!

მე მსურს გაგიზიაროთ ჩემი მწარე შდაბეჭდილებები იმ დღიდან, რაც მე დავსტოვე პოლიტიკური სარბიელი და მოვხვდი „სამშობლოს ციხეში“. მე არ შეუდგები იმ დარბაზობის აღწერას, რომლის ღირსი გამხადეს მე პოლონეთის პოლიციის მოხელეებმა. დავიწყებ იმ წუთიდან, როდესაც ჩემს უკან მიიხურა ვარშავის ციხის საშინელი კარები.

მე დავიწყე ციხის კედლების დათვალიერება, არა იმ მიზნით, რომ გავქცეულვიყავი... მე მაინტერესებდა ის მრავალფეროვანი აფორიზმები და სურათები, რომლითაც აჭრელებულიყო ციხის კედლები. აქ არის ახალგაზრდა პროლეტარი, სტუდენტი, ბურჟუა თავისი განუყრელი დარაჯით და დამცველით—პოლიციელით.

ო, რამდენი ძლიერი, საუკეთესო მუშაკები და ინტელიგენტური ძალები მოქცეულა ამ შავს კედლებში. ო, რამდენი ქალწულები, თავდადებული მუშაკები მუშათა საქმის საკეთილდღეოდ და დაჩაგრულ ხალხთა მომავალ ბედნიერებისათვის წამებულნი ყოფილან აქ... ო, რამდენ მათგანს ჩაუმწარეს სიცოცხლის უკანასკნელი წუთები ამ კედლებმა.

ო, რამდენი ამაყი და გამბედავი რევოლიუციონური გრძნობაა ამ ლოზუნგებში და აფორიზმებში. მასში მოისმის არა შიში, კრძალვა და რიდი—არამედ აფეთქებული რწმენა, თავდავიწყებამდის მისული სიყვარული, საკაცობრიო საქმისადმი.

ვეძლევი ღრმა ფიქრებს.



ამხ. ვასილი დრუზენკო.
მისჯილი ჰქონდა დახვრეტა, გამოიქცა ს. ს. რ. კავშირში.

— ლენინი, უდიდესი ჰენიოსია და პროლეტარიატის ბელადი. ის ჰკუაა. უძირო ოკეანეა რევოლიუციონური გრძნობის. ის ანთებული ლამპარია, რომელიც წინ მიუძღვის, გზას უკაფავს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას. ის არის რევოლიუციონური სიმტკიცით დარაზმული უთვალავი რიგების წყება—რომელიც გიგანტიერის ნაბიჯებით მიდის წინ.

მთელი განცდებით უმზერ ამ სიტყვებს. გიტაცებს ფიქრი. გიტაცებს ამ სიტყვების ჰეშმარიტება, თითქოს ცოცხლდებიან ახალგაზრდა კომკავშირელების სილუეტები რომლითაც აჭრელებულია მთელი კუთხე. გადმოდიან კედლიან დაბლა და ყვირიან: **„გაუმარჯოს კომკავშირს“ ო „ბორკილებს არ შეუძლიათ ჩაჰკლან აფეთქებული რევოლიუციონური გრძნობა. სიკვდილი თქვენ—ტირანე-**

ბო"—ამბობდენ სტუდენტის თვალები, რომლებიც მრისხანეთ გამოიყურებიან კედლიდან.

ბურჟუა რჩება მარტო, მას არაფერი აქვს სათქმელი ის სავსებით ემყარება მისი დარაჯის ძლიერებას..

გვერდს უმშვენებს მუდამ განუყრელი პოლიციელი, რომელიც შეშინებულის თვალებით მორცხვად უმზერს შემდეგ წარწერას:

— კომუნისტების განადგურება არ შეიძლება. ერთის ადგილზე იზრდება ასი. მათ რიგებს ავსებენ ახალი ძალები.

გვერდით კიდევ სიტყვები—რომლებიც ლენინის ხსოვნისადმია მიძღვნილი. დაუვიწყარია და მუდამ სახსოვარი აგრეთვე სხვა მებრძოლ გმირების სახელი და გვარები, რომლებიც ასე ეზიზღება ბურჟუაზიას და თეთრ ტერორს.

ესენი არიან: ამბ. **ვიქტორი, კრუჭოს, ბიალო, კოვალსკი, ენგელსი** და სხვ. მრავალი. მე არ ვიყავი მარტო.

მეორე დღეს მე გადამიყვანეს პოლიციის თანხლებით პრჟემიშლში. ამ პატივცემულ გვამების საუბრიდან გავიგე, რომ იმათშიაც არიან: მემარჯვენეები და მემარცხენეები. აი, სანამდის მიდის რას ნიშნავს დემოკრატიის გავლენა. აი სად იჭრება ის. ისინიც დაავადმყოფდენ დემოკრატიულ ბაცილებით. ვინ იცის იქნებ მართალნი არიან პეპელოველები, რომ მათი რევოლიუცია მთელი თავის მშვენიერებით და ბრწყინვალებით მივა დემოკრატიულ კანონებამდე „პოსპოლიტის სიტყვა".

ბოლოს და ბოლოს მშვიდობიან პროპაგანდის საშუალებით მივიღებთ უმრავლესობას. სეიმში გულუბრყვილო ბურჟუაზია იგემებს დამარცხებას და თავის ხელით დაიდგამს კისერზე უღელს. აი—თქვენი მშვენიერი და ძვირფასი დემოკრატიული სამოთხე. ხა... ხა... ხა.. ძირს... სიკვდილი ბურჟუაზიას—ცინიკურად ღრიჯება ბ. ბარლიცკი—პეპელოვების ბრბოების მეთაური, რომელიც იყიდება პოლონეთის ბურჟუაზიის აუქციონიდან.

პრჟემიშლში პროკურორმა გადამაგზავნა გამომძიებლის განკარგულებაში. წამიყვანეს ციხის სამმართველოში, დამკითხეს. გამზომეს. გამხადეს, ჩაიწერეს განსაკუთრებული—მნიშვნელოვანი ნიშნები: მარცხენა ლოყაზე პატარა ხალი, ერთი სიტყვით მე არსად არ დავიკარგები. მე ყოველთვის და ყოველგან მომნახავენ. შემდეგ მომათავსეს კარცერში № 5. რა შედარებაა—მე თურმე მეხუთე ნომრით ვიყავი სეიმის დეპუტატად ამორჩეული. !რამდენიმე ხნის შემდეგ მე გადამიყვანეს 1 № კამერაში. ვკითხულობ და ვწერ. არა ვარ მოწყენილი.

გიძღვნით მხურვალე სალამს.

ნახვამდის თქვენი: **ლანცუცკი.**

პრჟემიშლი. ციხე

რუმინეთის საპყრობილეში.

(ბესარაბიელის წერილი)

...ძლივს!

ხანგრძლივი წამებისა და ტანჯვის შემდეგ... ფანტასტიური მგზავრობის შემდეგ ვიმყოფები—კრაიოვის ცენტრალურ გამასწორებულ სახლში...

უსუფთაო... ჟუჟყიანი და ატალახებული კამერები. ვიწრო ფანჯრები. ოდნავ ბჟუტავს მზის სინათლე პატარა კამერის ოთხკედელთა შორის.

ჩვენ ოთხნი ვართ ერთ კამერაში.

საჭმელი, რომელიც გვეძლევა წარმოადგენს აშმორებულ ნარეცხ წყალს.

საპონი სრულიად არ გვეძლევა. სამი—ოთხი წლის განმავლობაში არ იძლევიან არც თეთრეულს არც სხვა ჩასაცმელს.

შეშა გვეძლევა იმდენი, რომ არ გავცივდეთ და არ გავიყინოთ მთელი დღის განმავლობაში დავრბივართ ოთახში. კედლიდან-კედლამდე. კუთხიდან-კუთხემდე.

წერილის წერის ნება გვაქვს თვეში ორხელ. ისიც სასტიკი ზედამხედველობის „ცენზორი"ს ქვეშ.

საჭმელს გვაძლევს ადმინისტრაცია—ისევ ჩვენს ხარჯზე, მაგრამ, რომ მიიღო ის საჭიროა ნახევარი თვე მაინც, ყოველ შემთხვევაში საქმე უნდა გჭონდეს დირექტორის თანაშემწესთან.

პატიმართა ფულით ალამაზებს ციხის ადმინისტრაცია თავის საქმეებს.. ყიდულობენ ავეჯეულობას. იკეთებენ ბინას და სხვ. და სხვ.

ყველაფერს ამას ადმინისტრაცია აკეთებს ისე აშკარად, რომ თვალსაჩინოა ყველა პატიმართათვის და იმის შიშით, რომ არც ერთ პატიმარს საწინააღმდეგო ხმის ამოღება არ გაებედნა, ხელი მიჰყვეს უფრო „საშიშართა" შევიწროებას. ყველაზე უფრო, როგორც ბესარაბიელს მე მხვდება წილად ეს „ბედნიერება".

გზავნიან ჩვენთან ყოველგვარ, საეჭვო პირებს. ისინი სარგებლობენ პრივილეგიებით. აგინებენ ადმინისტრაციას საჯაროდ, რომ ჩვენც გამოგვტყუონ რაიმე, ამით ციხის ადმინისტრაციას უნდა „აღმოჩენილ" „საშიშარ" პატიმრების დისციპლინარულ ციხეში—დოფტანაში გადაგზავნა.

ამ საქმეში ძლიერ ერთგულია დირექტორის თანაშემწე **ლეონტესკუ,** რომელმაც 1918 წ. ვაკარეშკის ციხეში ბრძანება გასცა ციხის დარაჯებს, ესროლათ ამხედრებულ პატიმრებისათვის, რომლებიც მოითხოვდენ თეთრეულებს და საჭმელის გაუმჯობესებას.

მე მჭონდა „ბედნიერება" გავსცნობოდი ადგილობრივ ტრიბუნალის გამომძიებელს ბ ნ დრაგონესკუს. ლეონტესკუმ მოიყვანა ის ჩვენთან და უთხრა ჩვენზე: აი, გაუსწორებელი კომუნისტები! განსაკუთრებით ეს რუსიო მიუთითა ჩემზე.

გაება საინტერესო საუბარი:

— ბოლოს და ბოლოს რა გინდათ თქვენ—კომუნისტებს!—მეკითხება დინჯი გამომძიებელი.

— უხერხულია აქ თქმა იმისა, თუ რა გვინდა ჩვენ. იმიტომ, რომ იქნებ პროპაგანდაში დამსდვათ ბრალი,—უპასუხე მე... თუმცა ეს პროპაგანდა ქვეყნის კანონით ნე ბადართული უნდა იყოს. ციხეში კი ჩვენ მოვითხოვთ მოგვეცეს საშუალება მოვიხადოთ ჩვენი სასჯელი. დაუმატე კიდევ.

ბატონ დრაკონესკუს „ღვთაებრივ" სახეს ზიზღის ნაოჭებმა გადურბინეს.

— თქვენი მოვალეობაა—აასრულოთ შავი სამუშაოები. თქვენ არა გაქვთ უფლება დასვრილი ცხვირი შეჰყოთ პოლიტიკის საქმეში. გაიგე,—მრისხანებით წარმოსთქვა დარბაისელმა გამომძიებელმა.

რა გზა მქონდა. უსიტყვოდ უნდა დავმორჩილებოდი „ღრმად პატივცემულ" გამომძიებელის მოსაზრებას.

ნახევარ საათის შემდეგ გამომიძახეს კანცელარიაში

მაგიდის გარშემო მრისხანე სიჩუმით იჯდა უმფროსთა მთელი შემადგენლობა.

წინ „შემომეგება“ დრაკონესკუ, რომელიც ზედმეტის „გულკეთილობით“ სახეზე მაგარი სილა მისთავაზა.

— გახსოვდეს, როგორ უნდა ელაპარაკო რუმინელ მაგისტრატს!..

ველურად დაიყვირა მან და კიდევ მითავაზა მოწყალე სილა სახეზე.

დაიწყო პროვაკაცია...

ჩამაგდეს კარცერში. წამსვე აღმოჩნდენ ჯაშუშები, რომლებიც ამტკიცებდენ, თითქოს მე აგიტაციას ვეწოდი ჯარისკაცებში და სხვ.

— ყველაფერი „რიგზეა“! ყველაფერი „კანონიერად“ არის „დალაგებული“ რუმინეთის თეთრი ტერორის „ოაზისში“.

— ხვალ მე ბორკილებით მგზავნიან „დისციპლინარული“ დოტტანაში...

1924 წ. დეკემბერი
კრაიოვის ციხე.

იმპერიალიზმის ახალშენებში

უკანასკნელი ამბები ეგვიპტეში, ინგლისის იმპერიალისტების მრისხანე ნოტები—სპარსეთში, ინდოეთის რეპრესიები, მოწმობენ იმას, რომ იმპერიალისტებმა გადასწყვიტეს სისხლის მორევში ჩაახრჩონ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთში. ტყუილია ეს ცდა—ის უნაყოფოა. რევოლიუციონური მოძრაობის ნაპერწკლები იზრდებიან, ვითარდებიან და ღვივდება ძლიერი ცეცხლი აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერებში. იმპერიალიზმთან ბრძოლა გამოაფხიზლებს და დარაზმას აღმოსავლეთის ერებს. რემედას-ის მოვალეობაა—მათი დახმარება.

ეგვიპტე

„ნაციონალური“ მთავრობის ტირანია

ეგვიპტეში—ალექსანდრიის მუშებში კომუნისტების მიერ მოწყობილ გაფიცვებს, რომელიც სწარმოებდა ეკონომიურ ბრძოლის—ხელფასის მომატების ნიშნის ქვეშ შედეგად მოჰყვა—კომუნისტებზე სასამართლოს პროცესი. შეპყრობილ იქნა 40 კომუნისტი.

ნაწილმა გაქცევა მოასწრო—დანარჩენები კი წააყენეს ეგვიპტეს „ნაციონალურ“ მთავრობის სამსჯავროს წინაშე—რომლის პრეზიდენტი—**ზაგლულ***) უწოდებს თავის თავს **„ხალხის მამა“ს.**

ნაფიცთა სასამართლო შესდგებოდა ორი მოკავშირეთაგან და ერთი სააპელაციო სასამართლოს წარმომადგენელისაგან... ეს, სამივე მოსამართლენი მოსყიდულიყვნენ ბურჟუაზიის მიერ. ამ პროცესში კომუნისტებს დამცველი არ ყოლიათ, რადგანაც ბურჟუაზიის ვექილებმა უარი განაცხადეს მათ დაცვაზე, რის შემდეგ მთავრობამ დანიშნა მათთვის ოფიციალური დამცველი. პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა 18 ბრალდებელთა მოწმეები. ესენი იყვნენ ფაბრიკა-ქარხნების დირექტორები, ალექსანდრიის ვიცე-გუბერნატორი, ვიცე-პრეფექტი და მრავალი გადაცმული შპიკები.

ერთ ერთი—ამხ, ანტუან მარუნი მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა სასამართლოს წინაშე, სასამართლომ ბრძანა დაუყონებლივ წარმოედგინათ ის... სასამართლოს მეორე სხდომაზე შემოიყვანეს საკაცეზე დაწოლილი **მარუნი...** მოსმენილ იქნა 20 ბრალმდებელთა.

მოწმეები. ზღვა ხალხი აწვებოდა დარბაზის კარებს რომელიც გაჭედილიყო ჟურნალისტებითა და გაზეთების თანამშრომლებით... იყო აგრეთვე მოწაფე ახალგაზრდებიც.

სანამ სწარმოებდა ბრალდებულთა დაკითხვა, მათი ჩვენების გაცემის დროს დარბაზში უშვებდენ ხალხს, მაგრამ როდესაც უნდა მოესმინათ კომუნისტებისაგან საპასუხო სიტყვები, პოლიციამ ბრძანება გასცა არც ერთი ჟურნალისტი არ დარჩენილიყო დარბაზში... ეს იმიტომ, რომ მათ არ ჩაეწერათ კომუნისტების სიტყვები პრესაში გამოსაქვეყნებლად...

პროცესის უკანასკნელი ნაწილი სწარმოებდა დახურულ კარებში... მათ მიერ გამოტანილი სასჯელი იმდენად გაიძვერული და უსამართლო იყო, რომ დარბაზში, ზღვა ხალხში ერთ-ერთმა არა კომუნისტმა მასწავლებელმა, დიდი შეურაცყოფის გრძნობით აღელვებულმა, ხმა მაღლა წამოიძახა: „გაუმარჯოს ბრალდებულთ! გაუმარჯოს კომუნისტებს“ო.

სასამართლოს თავმჯდომარემ ბრძანება გასცა დაუყონებლივ შეეპყროთ „თავხედი“ მასწავლებელი, რომელიც დაკითხვის შემდეგ გადაცემულ იქნა გამასწორებელ სასამართლოზე.

აი—როგორ ასამართლებენ კომუნისტებს და როგორ „სარგებლობენ“ მშრომელთა მაწსები ბურჟუაზიული თავისუფლებით ეგვიპტეში... იმ ეგვიპტეში სადაც ინგლისისა და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნების კაპიტალის კლანჭებში სულ ეხუთება მუშათა კლასს... აქ კაპიტალისტები ხელი-ხელ ჩაკიდებულნი აკეთებენ ბნელ საქმეებს...

ეგვიპტეში ბურჟუაზიული თავისუფლების „მშვენიერება“ იქამდის მივიდა, რომ ასამართლებენ „დამნაშავე“ და ხელისუფლების „მოღალატე“ კომუნისტებს ჩუმად ძლიერ საიდუმლო პირობებში—დაკეტილ ოთახებში, რის შემდეგ გამოაქვთ ყოვლად შეუწყნარებელი განაჩენი... „დამნაშავეთ“ არ უყენებენ არავითარ ბრალდებას... ბურჟუაზიულმა სასამართლომ ეგვიპტეში გაასამართლა 11 კომუნისტი... მათი დანაშაული გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი მხარს უჭერდენ მუშათა ორგანიზაციების კანონიერ მოთხოვნილებებს. 21 წლის ციხეში დაპატიმრება ხსნის ამ ერას ეგვიპტეში...

ჩვენი ამხმნაგები პატიმრობის დროს თხოვდენ ციხის ადმინისტრაციას პირობების გაუმჯობესებას შიმშილის გამოცხადებით... აუტანელი გახდა მათთვის ციხის შავი, რეჟიმი... პატიმრები ეყარნენ ასფალტის იატაკზე—ბანდიტებთან და პროფესიონალურ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან.

ძლიერ უსუფთაო, ბნელ და ნესტიან კამერაში 15—20 კაცამდე სხედან... ლეიბს რომელზედაც მათ სძინავთ ღამე, აქვს სიგრძე $1^1/_2$ მეტრო და განი კი 60 სანტიმეტრი, ღამის წამოსასხმად ხანდახან შემოუგდებენ მატყლის საბანს...

---

*) ეს ცნობა გადმოგზავნილია ეგვიპტეში მომხდარ ამბების წინ, სანამ გადადგებოდა ზაგლულის მთავრობა.

რედ.

ყველა დაპატიმრებულთათვის, რომელიც არიან მოქცეულნი ერთ განყოფილებაში აქვს ერთი „ბაკი“ წყალი... დილით და საღამოთი პატიმრებს დაურიგებენ პურის ნატეხებს და ცოტა რაიმე შეჭამადს—ეს არის მათი „მშვენიერი კვება“...

პატიმრები უნდა ადგნენ დილის 5 საათზე, ჩაცმისთვის—საერთოდ გამოწყობისათვის ეძლევათ, მხოლოდ ორი წუთი... საკმარისია გადააცილონ ერთ წამი, რომ შენიშვნა და მუქარა მიიღონ.. დილის 6 საათზე ისინი მზად უნდა იყვნენ სამუშაოზე წასასვლელად... წვიმაში, ქარში, და ეგვიპტეს მხურვალე მზის ქვეშ მუშაობენ ეს უსიტყვო მონები დილის 6 საათიდან საღამოს 5 საათამდე—თავშიშველნი, საცვლების ამარა... მათ მხოლოდ ერთი საათი-ღა ეძლევათ დღით დასასვენებლად და სადილის საჭმელად...

საღამოს 5 საათზე ბრუნდებიან ისინი უკანვე.. ბრუნდებიან ზლაზნით, მწუხარებითა და ტანჯვით იმ საყინუ-



„იერუსალიმი“—მიჰყავთ ტყვე-რევოლიუციონერები.

ლეში რომელსაც წარმოადგენს აქაური ციხეების ყოველ განყოფილება... ასე ატარებენ უძილო ღამეებს, ფიქრში და სევდა-ვარამში... არ თავდება გრძელი ღამეები... მათთვის აკრძალულია გაზეთის წაკითხვა ან წერილის მიღება.,. პატიმრის ნახვა ნებადართულია დაპატიმრებიდან მესამე თვეზე—მხოლოდ ერთხელ... დანარჩენ ორ თვეში ერთხელ... მნახველი და პატიმარი შეხვედრის დროს დაშორებულნი არიან ერთი მეორისაგან საგრძნობი მანძილით... ამისათვის სპეციალურად არის გაკეთებული რკინის მესერები...

შეხვედრა გრძელდება 5—10 წუთამდე... ლაპარაკის დროს ციხის ზედამხედველის დასწრება სავალდებულოა ასე მოითხოვს „კანონიერება“ ბურჟუაზიისა. წერილი, რომელსაც პატიმარი გამოაგზავნის ციხიდან უდრის ერთხელ მის ნახვას... აი—როგორ მწარე, პირობებში უხდება ჩვენს ამხანაგებს სამი-ოთხი წლის გადატანა სიცოცხლისა—შორს თავის ცოლშვილისაგან და მუშათა კლასისაგან მოშორებით.

ა. ხასხან.

„კაროლის დამცველნი“—„დამცველნი რევოლიუციისა“

(საბერძნეთიდან).

პოლიტიკურ შეგნებისა და მუშათა და გლეხთა ორგანიზეციების ზრდასთან ერთად იზრდება—მათი დევნა—განადგურება... მწვავე და აუტანელი რეპრესიები. საბერძნეთი ცდილობს... ყოველგვარ ძალ ღონეს ხმარობს არ ჩამორჩეს მის მოძმე ქვეყნებს ბალკანეთში—თეთრი ტერორის „მოღვაწეობის“ განვითარების საქმეში... ის მოქმედობს დაუღალავად... „ბრწყინვალედ ასრულებს“ კაპიტალის საქმეს თავის ქვეყანაში.

ჯერ კიდევ კაროლ კონსტანტინეს დროს დაიწყო ფაშისტური ორგანიზაციების შედგენა, რომელიც იმ დროს „კაროლის დამცველ“-თა სახელწოდებას ატარებდა.

რას აკეთებდენ ეს „კაროლის დამცველნი“? ისინი ანადგურებდენ მშრომელთა ორგანიზაციებს; ანგრევდენ კომპარტიის შენობას, ხოცავდენ მის წევრებს, აწყობდენ შრომის ფედარაციებზე თავდასხმებს და სხვ.

ეს კეთდებოდა კაროლის სახელით.

კაროლის ჩამოგდების შემდეგ, საბერძნეთში გამოცხადდა, როგორც ეს ხდება ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მთავრობა, რომელსაც სათავეში ედგა—**პლასტირასი**. ამ მთავრობის პირველ საზრუნავ მიზანს წარმოადგენდა განეგრძო კაროლის მიერ დაწყებული „კეთილი“ ტრადიცია ბრძოლისა, თეთრი ტერორის საშუალებით მუშათა კლასის საწინააღმდეგოდ. პლასტირასმაც მოაწყო თავის მხრივ ფაშისტური ორგანიზაციების ბანდები, რომლებსაც ეწოდებოდა: **„რევოლიუციის დამცველნი 1922 წ.“**

ერთი სიტყვით მოხდა—მხოლოდ დეკორაციის გამოცვლა. მუშათა კლასისათვის დარჩა ისეთივე მძიმე პირობები, როგორიც იყო კაროლის დროს.

შარშან, ზაფხულში ქალაქის ქუჩებში ადგილი ჰქონდა სისხლიან შეტაკებებს. ამის შემდეგ ფაშისტები ყოველთვის არჩევდენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, რის გამო უკანასკნელნი იძულებულნი გახდენ გადახიზნულიყვნენ ტყეში და მთებში. პოლიციამ ისარგებლა ამ შემთხვევით და ყველა გაქცეულები ყაჩაღებად გამოაცხადა, რის შემდეგ მთავრობის ერთგული ფაშისტური ბანდები იჭერდენ გაქცეულებს და აწამებდენ მათ.

ტერორისა და შურისძიების პირველი მსხვერპლნი გახდენ საბერძნეთის სოფლის მასწავლებლები, რომლებიც ამ ქვეყანაში ყოველთვის განიცდიან სასტიკ დევნას. ამის შემდეგ სწარმოებდა მასსიური დაჭერები... შეპყრობილ იქმნა კომუნისტური ორგანიზაციების საგრძნობი ნაწილი, უმრავლესობა მათგანი საბრალმდებლო აქტის წაუყენებლად და საქმის გაურჩევლად გადააგზავნეს კუნძულებზე.

კერძო წევრებზე და კომკავშირზე თავდასხმები ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა საბერძნეთში, რომელსაც დიდი ხალისით და „პატიოსნებით“ ასრულებენ ფაშისტური ბანდები.

ეს კეთდება რესპუბლიკის სახელით.

საბერძნეთში იზრდება თეთრი ტერორი, რემედასი ვალდებულია მიაქციოს ამას ჯეროვანი ყურადღება.

ხ. ვერიტას.

კუნძულ იავაზე

ნაციონალურ გამანთავისუფლებელი მოძრაობა კუნძულ იავაზე იწყება 1908 წლიდან. პირველი ნაციონალურ-რევოლიუციონური ორგანიზაცია იყო **ბედიელემო** (რომელიც არსებობს დღემდისაც)—რომელმაც შეაერთა და შეაკავშირა კუნძულ იავას ნაციონალური ელემენტები. ნაციონალური ინდონეზის პარტია დაარსდა 1910 წელს რომელიც მის საბოლოო ლიკვიდაციამდე (1923 წ.) დარჩა რევოლიუციონურ ინტელიგენციის კავშირად... მიუხედავად ამისა მან ვერ შესძლო მაინც ხალხის ფართე მასსების შეკრება და დარაზმვა თავის გარშემო... უფრო აქტიური და თვალსაჩინო იყო ფართე მასსების მისამხრობად ე. წ. სარიხამ-ისლამის-პარტიის ირგანიზაციული გამოსვლები—რომელშიაც შედიოდა წვრილ-ბურჟუაზიული რევოლიუციონური ელემენტები, რომელმაც მიიმხრო აგრეთვე ნაწილი იავას პროლეტარიატისა. სარიხამ-ისლამის ერთ-ერთ ბრძოლის თვალსაჩინო ეტაპს წარმოადგენს ომი ჩინელ მოვაჭრეებთან—ე. წ. „კოოპერაციული ასოციაციების“ საშუალებით. დაახლოვებით 60 ქალაქში ჰქონდა ადგილი, მასსებსა და პოლიციის შორის სისხლიან შეტაკებებს. 1913 და 14 წლიდარ შეპყრობილ იქმნა 5.000 კაცამლე, რომელიც ხდებოდა სარიხამ-ისმალის მოძრაობის განვითარებასთან ერთად... შეპყრობილებს მიუსაჯეს 3 თვიდან 20 წლამდე ციხეში ჯდომა. უკანასკნელ ხანებში აღნიშნულ პატიმართაგან 100 კაცი დღესაც ზის ციხეში. უკანასკნელ წლების განმავლობაში სარიხამ ისმალის გავლენის ქვეშ იყო მთელი რიგი ხალხთა მოძრაობისა ამ კუნძულზე. 1916 წელს ჯამბის*) ოლქში მოხდა დიდი მღელვარება, რომელიც გამოწვეულიყო ჰოლანდიის საახალშენო გადასახადების „გერენდიენო“-ს ნიადაგზე.

აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა მოსახლეობის ულარიბესი ნაწილი. მთავრობის მიერ დახვრეტილი იქნა 400 მეტი მონაწილენი. 1918 სა და 19 წ.წ. ახალი სახალხო მღელვარებისა დაფარულ ორგანიზაციის „ბ“-ს აღმოჩენთან დაკავშირებით დაპატიმრებულ იქნა სარიხამ-ისლამის 1600 წევრი, რომლიდანაც 200 კაცი დღესაც ზის ციხე'ში.

იავას კუნძილზე სოციალისტური მოძრაობა იწყება 1917 და 20 წ.წ. პარტიათა უმრავლესობა შეკავშირდენ კომუნისტური ორგანიზაციების გარშემო და ატარებს დღემდის თავის მოძრაობაში წმინდა რევოლიუციონურ ხასიათს. 1915 წ. დღემდის შეპყრობილია 1.200 კაცი, ინდონეზის ფარგლებიდან გადასახლებულია ადმინისტრატიულის წესით 10 აქტიური მონაწილენი. აღნიშნულ რიცხვიდან კიდევ დარჩა ციხეში 245 კაცი. 1924 წ. თებერვლის ბოლო რიცხვებში კიდევ ჰქონდა ადგილი მასსიურ გლეხთა აჯანყებას, რომელიც გამოწვეულ იყო აუტანელ გადასახადის გამო. აჯანყება მოხდა ტანგერნანის (ბატავიის ახლოს) ადგილებში. 40-დე გლეხი დახვრეტილ იქნა ხელისუფლების მიერ.

ჩვენს მიერ აღნიშნული ციფრები ძლიერ უმნიშვნელოა და ვერ ამოწურავს ყველა იმ საზიზღრობებს, რომელსაც ადგილი აქვს იავას კუნძულებზე ჰოლანდიის სატრაპებისაგან. არ არის არავითარი საშუალება იმისათვის, რომ სწორედ იქნას გამორკვეული მითი თავხედობის შედეგი... მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი მსხვერპლთა რაოდენობა ისე მრავალია, რომ შეიძლება დარწმუნებით თქვას, რომ საერთო რიცხვი ინდონეზში დაპატიმრებულთა—როგორც მუშებისა ისე ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოღვაწეების რიცხვი აღწევს 1.200 კაცამდე .. მთელს მხარეში ციხეთა რაოდენობა უდრის 200.

მუშებს სდევნიან, იმისათვის, რომ ისინი ეკუთვნიან წითელ ორგანიზაციებს. სამი თვის განმავლობაში დათხოვნილ იქნა 200 მუშა, რომლებიც მოკლებულნი არიან ყოველგვარ მატერიალურ დახმარებას: ისინი განიცდიან უკიდურეს სივიწყოვეს.

მიუხედავად ამისა იავას ახალგაზრდა რევოლიუციონური მოძრაობა მაინც იკრებს თავის გარშემო მშრომელთა ფართე მასსების მებრძოლ რიგებს?

აღმოსავლეთში—ციხე-სიმაგრეთა რკინის ნესტიან კედლებში ათასობით იტანჯებიან იმპერიალიზმის ფერადი მონები.

რემედას-ის მოვალეობას შეადგენს მათი დახმარება. ეჭვს გარეშეა, რომ რემედას-ი გაუწვდის მათ ძმურ დახმარების ხელს დაიხსნის აღმოსავლეთში კაპიტალის კლანჭებისაგან დაჩაგრულ ერებს, რომლებიც სულს ღაფავენ იმპერიალისტურ ყაჩაღების ბარბაროსული უღლის ქვეშ.

სატრა.

რემედას-ს და მეორე ინტერნაციონალი

უკვე დამტკიცებული ფაქტია, რომ ყველა ბურჟუაზიულ პარტიებზე უფრო ენერგიულად იარაზმებიან II-რე ინტერნაციონალის პარტიები ს. ს. რ. შ. კავშირის წინააღმდეგ. მეორე ინტერნაციონალის „სოციალისტები“ საბჭოთა რესპუბლიკების გამოცხადების პირველ დღიდანვე აწარმოებენ გააფთრებულ ანტისაბჭოთა პროპაგანდას. სარგებლობდენ რა, ომისა და რევოლიუციისაგან დასუსტებული რუსეთის მდგომარეობით, ისინი რაზმავდენ ჩვენს წინააღმდეგ თავიანთ ერთგულ ძმებს.

დღეს კი, როდესაც ჩვენი მრეწველობა დღითი დღე ჯანსაღდება, იზრდება და მტკიცდება, როდესაც შეერთებული კავშირის მუშებისა და გლეხობის სოლიდარობით იკურნება ჩვენი ქვეყნის მეურნეობისა და აღმშენებლობის ჭრილობები რომლებიც მიაყენა მას სამოქალაქო და იმპერიალისტურმა ომებმა, მაღლა სწევენ ქვეყნის ეკონომიურ სიძლიერეს და აუმჯობესებენ თავიანთ მდგომარეობას—მატყუარა II რე ინტერნაციონალის ყვითელ სოციალისტებს აღარ ჰყოფნით სიტყვები—რომლითაც შესაძლებელია საბჭოთა კავშირის პრესტიდჟისა და კომუნისტური პარტიის გავლენის დაცემა მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე.

უკანასკნელ დღეებში II-რე ინტერნაციონალის ბელადების გამოლაშქრება ს. ს. რ. შ. კავშირის წინააღმდეგ აიხსნება მხოლოდ იმით, რომ საბჭოთა კავშირის ციხეებში მოთავსებულია მთელი რიგი მენშევიკების, ესერებისა და ანარხისტებისა—რომლებიც ცდილობდენ კონტრრევოლიუციონურ გამოსვლების მოწყობას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პატიმრები, როგორც თითონ აცხადებენ მშვენივრად ცხოვრობენ საბჭოთა ქვეყნების ციხეებში—II-რე ინტერნაციონალი მაინც განა-

---

*) ჯამბი არის სუმატრაში.

გრძობს საშინელ ცილისწამებას და ხმა მაღლა გაჰკივის ბოლშევიკების „მხეცობაზე“.

II-რე ინტერნაციონალი მთელ ამ მუშაობას აწარმოებს, მაშინ, როდესაც მისი „სამოთხის“ ციხეებში ასობითა და ათასობით იტანჯებიან საუკეთესო მებრძოლი რევოლიუციონერები.

ყველა, ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშები მოითხოვენ, თავიანთი ტყვე ამხანაგების ციხიდან განთავისუფლებას. იმისთვის, რომ დაჰფაროს მუშების ეს კატეგორიული მოთხოვნილება, II-რე ინტერნაციონალი აწარმოებს გაცხოველებულ ანტი-ბოლშევიკურ კომპანიას, რომელიც მიმართულია ს. ს. რ. შ. კავშირისადმი.

მაგრამ II-რე ინტერნაციონალის ამ აღვირახსნილობასა და გაიძვერობას საზღვარი დაუდვა რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციამ (რემედას).

რემედას-ის აღმასკომმა მიმართა II-რე ინტერნაციონალს წინადადებით: გადმოეგზავნა ტყვე-რევოლიუციონერები, საბჭოთა კავშირის ციხეებში მომწყვდეულ კონტრ-რევოლიუციონერების მაგიერ. ეს გამოაქვეყნა რემედას-ის აღმასკომმა II-რე ინტერნაციონალისადმი ღია წერილში.

საერთაშორისო პროლეტარიატმა იცის ამ წერილის შინაარსი. რემედას-ის აღმასკომი უცდის II-რე ინტერნაციონალის პასუხს.

მთელს საბჭოთა კავშირში რემედას-ი უდიდესი პატივისცემით სარგებლობს, ასე რომ საბჭოთა მთავრობა დაეთანხმება მას (რემედას-ის აღმასკომს) მოხდეს ტყვეების გადაცვლა.

რემედას-მა გააკეთა მეტად დიდი მნიშვნელობის მატარებელი საქმე. მან ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა.

მაგრამ II-რე ინტერნაციონალის „სოციალისტები“ დამუნჯდენ რემედას-ის აღმასკომის წინადადებაზე, გამხეცებული ბურჟუაზია-კი კვლავ აძლიერებს თავის ტერორს.

ტელეგრაფს მოაქვს ცნობები — „ცივილიზაციის“ ქვეყნების ცხოვრების შესახებ. ჩვენს თვალწინ იშლება ცოცხალი სურათები „დემოკრატიულ სამოთხეებისა“ სადაც თავისუფლად და ლაღად დაფრინავენ II-რე ინტერნაციონალის წმინდანები — სოციალ-დემოკრატების ბელადები და მათი მფარველი ანგელოსები: ფაშისტებისა და თეთრი ტერორის ბანდები.

ამისი ძირფესვიანად აღმოფხვრა შეუძლია მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონურ სიმტკიცეს. რემედას-ში შესვლით ჩვენ ვამაგრებთ და ვამტკიცებთ, იმ შეურყეველ საფუძველს, რომელსაც წარმოადგენს პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის მჭიდრო კავშირი.

მ. ტკაჩუკი.

რემედას-ი საბჭოთა აღმოსავლეთში

რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების საქმე დღითი-დღე იზრდება, მტკიცდება, და იპყრობს საბჭოთა აღმოსავლეთში, არა მარტო ცოტათ, თუ ბევრად შეგნებულ მშრომელთა მასსების—არამედ უფრო დაბალ ფენების, გლეხობის ყურადღებას.

აზერბაიჯანელი ხამალეში, ბაშკირები აღფრთოვანებით სწირავენ თავიანთი მცირედი წვლილს ბურჟუაზიის ტუსაღების სასარგებლოდ. თუ რა ძვირფასია და დაუფასებელი რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების საქმე აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერებისათვის, სჩანს იმ ფაქტიდან, რომ კირგიზების უდაბნოებში მოხეტიალე, უღარიბესი ნაწილი, ბუხარის და ხორეზმას გლეხობისა — აღფრთოვანებით ეგებება რემედას-ის იდეებს, მის ლოზუნგებს. ისინი მზად არიან დაეხმარონ თავიანთი კაპიკებით ტყვე რევოლიუციონერებს. ისინი მზად არიან ს. ს. რ. კავშირის გამარჯვებულ პროლეტარიატს გვერდში ამოუდგენ მსოფლიო მტაცებელთა, ბურჟუაზიის საშინელი რეჟიმის დასამხობად.

აღმოსავლეთის რესპუბლიკების მშრომელი კლასი, რომელიც დაკავშირებულია ჯერ კიდევ კოლონიალურ და ნახევარად კოლონიარულ ქვეყნებთან უწინარეს ყოვლისა დაინტერესებულია ამავე ქვეყნის მშრომელთა ბედით, ამიტომ ისინი პირველ რიგში ღებულობენ შეფობას: **ოსმალეთის, ინდოეთისა და ჩინეთის** ციხეებზე.

აქ რემედას-ი უნდა გახდეს კომუნიზმის უდიდესი სკოლად—სადაც უნდა გაიწრთვნას და რევოლიუციონურად მომზადდეს აღმოსავლეთის ერების უღარიბესი ნაწილი. რემედას-მა უნდა შესძლოს ამ ერებში მშრომელთა მრავალ მილიონიან მასსების მტკიცედ დარაზმვა კაპიტალისტურ ქვეყნებს წინააღმდეგ.

აღმოსავლეთის ერები, როგორც ჯერ კიდევ განათლების დაბალ საფეხურზე მდგომნი ვერ არიან გაცნობილნი დასავლეთს პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლას, მაგრამ იმათ თვალწინ უდგას: ეგვიპტის ფალლადების და ოსმალეთის ხამალლების თავხედობა, მათ კარგად ახსოვთ სახელი შეიხი სუნუსისა, რომელიც იბრძოდა ტრიპოლისში იტალიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. წლინახევრის ნაყოფიერ მუშაობის შემდეგ რემოდას-ის მოღვაწეობა აღმოსავლეთში თვალსაჩინოდ გაიზარდა.

იცემა რემედას-ის ლიტერატურა მუსლიმანურ ენაზე. კირგიზების ორგანიზაცია ერთად-ერთი ძლიერი და უძველესი ორგანიზაციაა, რომელმაც შესძლო მშრომელთა დიდი უმრავლესობის ჩათრევა რემედას ის მუშაობაში, გასულ წელს დათესილი იყო 600 ფუთი ხორბალი—რემედას-ისსასარგებლოდ. თათრების ს. ს. რესპუბლიკაში რემედა-ის წევრთა რაოდენობა აღწევს 15.000. შესდგა რემედას-ის ორგანიზაციები ბუხარაში და ხორეზმაში.

რემედას-ის აღმასკომი დიდ დახმარებას უწევს რემედას-ის აღმოსავლეთის ორგანიზაციებს—ნაციონალურ ენებზე ლიტერატურის გამოცემით და ანტი-იმპერიალისტური კომპანიების მოწყობით, რამოდენიმე ათეული ათასი წიგნაკები გამოიცა აღმოსავლეთის 3 ენაზე—რომელშიაც გაშუქებულია, როგორც პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის დასამხობად ისე რემედას-ის უდიდესი მნიშვნელობა მსოფლიო პროლეტარიატის გამარჯვებისათვის.

გამოცემულია: **რა არის რემედას-ი?, რემედას-ის თეზისები.** პლაკატები და სხვ.

ნურიე.

რემედასი შახოვთან



(რემედას-ის უცხოეთის სექციების მოღვაწეობიდან).

რემედას ის მუშაობას ევროპის ქვეყნებში აფართოვებს, რემედას-ის აღმასკომისაგან გამოყოფილი—შუა-ევროპისა და ბალკანეთის ბიუროები.

შუა-ევროპის ბიურო იკრებს თავის გარშემო: გერმანიას, საფრანგეთს, ბელგიას, პორტუგალიას, ესპანიას, შვეიცარიას, სკანდინავიის ქეეყნებს: ბალკანეთს-ბულგარეთს, რუმინეთს, სამხრეთ—სლავიას, საბერძნეთს და ვენგრიას.

ეს ორი ცენტრი აერთებს ამ ქვეენების რემედას-ის სექციებს რემედას-ის აღმასკომთან (მოსკოვთან). გარდა ამისა რემედას-ის ამ სექციების მოვალეობას შეადგენს ხელი შეუწყონ რემედას-ის მუშაობას და დაარსონ მისი უჯრედები იმ ადგილებში სადაც ასეთები ჯერ არ არის. ჩვენ დარწმუნებითა და სიამოვნებით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ევროპის ყველა მსხვილ სამრეწველო ცენტრებში ადგილობრივ პირობების მიხედვით ჩვენი სექციების მუშაობა მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული. ცხადია—მრავალი ობიექტიური დაბრკოლებათა გამო რემედას-ის სექციის მუშაობა ვერ არის ისე ნაყოფიერი როგორც ს. ს. რ. კავშირში, მაგრამ ამისი მთავარი მიზეზი არის—დევნა მისი ორგანიზაციებისა და წევრებისა, რომელიც დღემდის არ შეწყვეტილა. ერთი რამ მაინც ცხადია: რემედას-ის მუშაობა ამ ქვეყნებში საერთაშორისო კონფერენციის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა. ის დღესაც გაცილებით უფრო ნაყოფიერია ვინემ წარსულ წლებში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საერთაშორისო კონფერენციამ დიდი სარგებლობა მოუტანა რემედას-ის სექციების მუშაობას. მთელ რიგ ქვეყნებში უკვე გაჰქრა ის დრო, როდესაც რემედას-ის სექციების მუშაობა განისაზღვრებოდა მხოლოდ პატიმართა მცირედი დახმარებით. ახალი ორგანიზაციების მოწყობითა და აქტიურ მუშაკების შემოკრებით არის გატაცებული დღეს დასავლეთი რემედას-ის სექციები, დღეს რემედას-ის მოღვაწეობისათვის სრულიად ახალი პერსპექტივები იშლება. სექციებს დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდა, იმისათვის რომ მუშაობის აპარატი შეეყენებიათ ახალ გზაზე... ჩვენმა ძმურმა სექციებმა „მწვავე კრიზისი“ უკვე განვლეს საერთაშორისო კონფერენციის შემდეგ. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ზემო ნათქვამი ეკუთვნის იმ ქვეყნებს სადაც არსებობს რემეოას-ის თვალსაჩინო სექციები, არის ქვეყნები, სადაც მისი საქმიანობა ვერ არის თავის სიმაღლეზე დაყენებული. რემედას-ის სექციები შეუდგნენ კონგრესის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას. ის უდიდესი სიმპატია და ყურადღება, რომელსაც იჩენენ რემედას-ის ორგანიზაციებსა და მის მოღვაწეობისადმი მუშების ფართე მასსები და პარტიული (კომუნისტური) ორგანიზაციები ნათლად მოწმობენ მის ბრწყინვალე მომავალს ის ქვეყნებში სადაც ჯერ კიდევ ძლიერია ბურჟუაზიის აღვირ-ახსნილი, დესპოტიური რეჟიმი.

კერძო სექციების დახასიათების დროს ჩვენ ავღვნიშნავთ მათ გავლენას მუშათა ფართე მასსებზე.

გერმანიაში, რემედას ის ცეკას ცნობით—რემედას ს ყავს 200.000 მეტი წევრი. ესენი არიან ინდივიდუალურად და კოლექტიურად შემოსული წევრები. მარტო ერთ—ქვედარეინის პროვინციაში ყავს რემედას-ს 18.000 ინდივიდუალურად შემოსული წევრები—ესენი არიან 59 მუშათა ორგანიზაციებიდან—რომელშიაც ირიცხება 30.000 მუშა.

რემედას-ის გერმანიის სექცია იღებს ჰეშმარიტ მასსიურ ორგანიზაციის ხასიათს—მიუხედავად მისი აქტიური მუშაკების სასტიკად დევნისა ის განაგრძობს თავისი ნაყოფიერ მუშაობას. რემედას-ის გერმანიის სექციის ზრდას მოწმობს აგრეთვე სალაროში შემოსული ფულის რაოდენობის საგრძობლად გადიდება.

შემოსულია სალაროში:

1) აპრილში	24.073	მარკა [1])
2) მაისში	23.350	„
3) ივნისში	33.911	„
4) ივლისში	47.185	„
5) აგვისტოში	49.907	„
6) სექტემბერში	54.702	„

ამრიგად აპრილიდან ჩვენ უკვე ვამჩნევთ შემოსავლის საგრძნობლად ზრდას. [2])

---

[1]) მარკა უდრის დაახლოებით 45 კაპ.

[2]) გადიდებულია $2^1/_2$ ჯერ.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი მეტად სიმპატიური მოვლენა: რემედასის შემოსავალი არ განისაზღვრება მარტო საწევრო გადასახადების შეგროვებით. არის კერძო—ნებაყოფლობითი შემოწირულებებიც, რომელსაც რასაკვირველია მასსიური ხასიათი არა აქვს, მაგრამ მაინც სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. დაბა ოლვენსტეოში (მაგდებურ-ანგალტის რაიონში) ადგილობრივმა ორგანიზაციამ შემოწირულებათა შეკრების მიზნით შემოიარა მცხოვრებთა მთელი სადგომები, საიდანაც ფულის გარდა შეგროვილ იქნა: 1 ცენტნერი ფქვილი. 9 ცენტნერი კარტოფილი, 3 ცენტნერი ნახშირი 9 წყვილი წინდები, 19 ბავშის ტანისამოსები და სხვ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანი, რომელიც ეხლა სდგას გერმანიის რემედას-ის სექციის წინაშე ეს არის შეფობა. რემედას-ის რუსეთის ორგანიზაციების მიხედვით გერმანიის სექციაც ცდილობს აიღოს თავზე პატიმართა შეფობა, როგორც მატერიალურად ისე ზნეობრივად. პირველ რიგში განზრახულია კერძო ოლქების (ჩვენებური გუბერნია) აყვანა—შემდეგ თანდათანობით მიიღონ შეფობა უცხო ქვეყნების ციხეებზე. შეფობის საკითხი იყო გერმანიის რემედას-ის სექციის კვირეულისათვის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგთაგანი. რემედას-ის რაიონულ ხელმძღვანელთა ყრილობის დროს იყო ეს საკითხი წამოყენებული. ამ მხრივ ძლიერ საგულისხმოა, წერილი—რომელიც მოთავსებული იყო: „Rote Hilte"-ს [1]). ამ წერილის ავტორი მოითხოვდა რემედას-ის წრეების დაუყონებლივ დაარსებას რომელსაც უნდა შეესწავლა საერთაშორისო მუშათა მოძრაობა, დაეარსებია რემედას-ის კუთხეები და სხვა. ეს წერილი ამტკიცებს, რომ გერმანიის ამხანაგები მიყვებიან ს. ს. რ. კავშირის მიერ გაკაფულ გზას, მათ უკვე შეიგნეს რემედას-ის უდიდესი მნიშვნელობა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ამავე გზით ვითარდება საფრანგეთის რემედას-ის სექციის მუშაობა. საერთო ხასიათი რემედას-ის მუშაობისა აქ სულ სხვაგვარად მიმდინარეობს ვინემ გერმანიაში. აქ რევოლიუციონერებისადმი რეპრესიები უფრო მსუბუქია ვინემ ებერტის „დემოკრატიულ რესპუბლიკაში", სადაც ციხეების კედლებშია გამომწყდეული 7,000 მეტი რევოლიუციონერები. ჩვენი სექცია საფრანგეთში მჭიდროთაა დაკავშირებული პარტიასთან, რევოლიუციონურ პროფკავშირებთან და საზოგადო ორგანიზაციებთან ერთად ატარებენ ამნისტიას. პატიმართა უმრავლესობა გადაგზავნილნი არიან საფრანგეთის აფრიკის ახალშენებში სადაც ცხოვრობენ ისინი შავ-კანიანების ზედამხედველობის ქვეშ. პატიმრები კი—საფრანგეთის მთავრობას გამოცხადებული ჰყავს „დეზერტირებათ" რადგანაც ისინი მსოფლიო ომის დროს უარს აცხადებდენ დაეღვარათ სისხლი ბურჟუაზიის საკეთილდღეოდ. რემედას-ის სექცია წარმოადგენს ცენტრს რომლის გარშემო თავს იყრის ყველა კორპორაციული ორგანიზაციები. ადგილებზე, რემედას-ს ხელმძღვანელობს რაიონული კომიტეტები. ასეთი კომიტეტთა რიცხვი უდრის 20.

მიღებულია ზომები ბეჭდითი საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად, სექციასთან დაარსებულია განყოფილება, რომელიც 1924 წლის 1 დეკემბრიდან სცემს ყოველ თვიურ ბიულეტენს. ეჭვს გარეშეა რომ საფრანგეთის რემედას-ის მუშაობა ძლიერ გამოცოცხლებულია ს. ს. რ. კავშირიდან ამხ. **ანდრე მარტის** დაბრუნების შემდეგ.

ამხ. მარტი რემედას-ის აღმასკომის მიერ დანიშნულია საფრანგეთის რემედას-ის სექციის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად.

ა. ხ.—ან.

[1]) გერმანიის სექციის ბიულეტენი.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი

მთელს მხარეში აღმასკომის მანიფესტმა მხურვალე გამოძახილი ჰპოვა. **„წითელ დახმარების"** დროშებისა და ლოზუნგების ქვეშ იქნა ჩატარებული მთელი რიგი საპროტესტო მიტინგებისა. ეს მიღწევა მით არის საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ საფრანგეთის რემედას-ის სექცია ჯერ სრულიად ახალი ორგანიზაციაა, ეხლახან ჩატარეულ, კომპარტიის ფედერატიულ მდივნების კონფერენციაზე დიდის ყურადღებით იყო მოსმენილი საფრანგეთის რემედას-ის სექციის წარმომადგენლის ამხ. **არიელიას** მოხსენება.

გამოტანილ რეზოლიუციაში აღნიშნულია:

— საფრანგეთის მუშათა კლასი ძმურ სოლიდარობას უცხადებს გერმანეთის 7.000 ტყვე რევოლიუციონერებს რომლებიც იტანჯებიან ბურჟუაზიის ციხე-სიმაგრეებში. პარტიის ფედერაცია ყოველგვარ ძალ-ღონეს იხმარს, რომ დაეხმაროს რემედას-ის საფრანგეთის სექციას. კომფერენცია სასტიკ პროტესტს აცხადებს საფრანგეთის „დემოკრატიულ" მთავრობის თეთრი ტერორის წინააღმდეგ, რომელმაც ამნისტია გამოუცხადა რეინის ბურჟუაზიულ სეპარატორებს და მეორე მხრით კი მხეცური ზომები მიიღო მუშათა კლასის წინააღმდეგ საოკუპაციო ოლქებში.

რემედას-ი გერმანიაში

გარბშტადში—„წითელ დახმარების" კომიტეტმა მიმართა გალის კომიტეტს თხოვნით, რათა გადმოეგზავნათ მათთვის ტყვე ამხ. ბავშები სარჩენად.

ამხანაგი, რომელმაც წაიყვანა ბავშები გარბშტადში იტყობინება შემდეგს:

— მე დავესწარი მეტად საინტერესო და სასიხარულო კამათს. **„წითელ დახმარები"ს** წევრთა შორის გაიმართა დავა იმაზე, თუ რომელს წაეყვანა პირველად ეს ბავშები. მუშებს აქ ძლიერ ცოტა ეძლევათ, მათი ხელფასი 15 მარკას არ აღემატება კვირეში, ისინი ამ მცირე თანხასაც არ იშურებენ რევოლიუციონერთა დასახმარებლად. რამდენი სიხარული და აღფრთოვანება გამოიხატება ამ ძმურ სოლიდარულ კავშირში, რომელიც მოწმობს მსოფლიო პროლეტარიატის ძლიერ კავშირს.

„წითელ დახმარებათა" რიგებში

ბლანკენგეიმი—კრამიტის მრეწველობის მუშებმა გადასწყვიტეს აწარმოონ რემედას-ის სასარგებლოდ თანხების შეგროვება.

იენა—შესდგა ქალაქის მუშების მრავალრიცხოვანი კრება, რომელმაც გამოიტანა შემდეგი დადგენილება: დაუკავშირდენ რემედას-ს თეთრი ტერორთან ბრძოლაში,

კარტოფილი და ნახშირი პატიმართა ოჯახებისათვის.

გოლცმინდენი—კომპარტიის ორგანიზაციებმა შეაგროვეს 450 ფუთი კარტოფილი პოლიტ-პატიმართა ოჯახების სასარგებლოდ.

ჰამბურგი—ადგილობრივმა ორგანიზაციებმა „წითელ დახმარები“-ს ორგანიზაციას გადასცეს 150 ფუთი ნახშირი პოლიტ-ტუსალთა ოჯახებისათვის.

—

მიუხედავად იმისა, რომ თეთრი ტერორის ტალღები დღითი დღე მატულობენ დასავლეთის პროლეტარიატში იზრდება და ღვივდება, თეთრი იუსტიციის მსხვერპლთა დახმარების ძლიერი გრძნობა.

გერმანიაში, სადაც სასტიკად მღელვარებენ თეთრი ტერორის ტალღები—დღითი დღე იზრდება რემედას-ის ორგანიზაციები. მტკიცდება და ფართოვდება მშრომელთა მასსებში მუშათა კლასის დახმარების იდეა.

უკანასკნელ ხანებში რურის ოლქში შესდგა ძლიერი ორგანიზაცია რომელშიაც შედის 18.000 წევრი. 30.000 წევრი შეერთდა ერთ ძლიერ ორგანიზაციად. ცხადია ეს ნორჩი ორგანიზაცია ვერ შესძლებს 7.000 პოლიტ-პატიმართა დახმარებას და დაფარვას მიმდინარე 18 000 პროცესებისას, მაგრამ ორგანიზაციის ასეთი სწრაფი ზრდა იძლევა იმედს, რომ ეს ორგანიზაცია ახლო მომავალში დაფარავს ყოველგვარ მოთხოვნილებებს.

ავსტრია.—მუშაობა მიმდინარეობს ბრწყინვალედ ავსტრიელი მუშები, რომლებიც განსაკუთრებით მწვავეთ გრძნობენ და რომელთაც მძიმე ტვირთად აწევთ ერთა ლიგის „გაუმჯობესები“ს გეგმა, აწარმოებენ, საგრძნობ შემოწირულებათა შეგროვებას თავიანთი უმნიშვნელო ხელფასიდან, ავსტრიაში მყოფ რევოლიუციონერებისა და პოლიტემიგრანტების სარჩენად.

იტალიაში—რემედას-ი რომელიც დღემდის მხოლოდ წევრებით ისაზღვრებოდა, აღწევს ორგანიზაციულად ჩამოყალიბების სტადიას. ეწყობა რემედას-ის ორგანიზაციები და უჯრედები, რომლებიც ეწევიან ენერგიულ მუშაობას.

შვეიცარიაში—თანდათან ვითარდება, მტკიცდება და ღრმავდება რემედას-ის ნორჩი სექციის მოქმედება, რევოლიუციისათვის მებრძოლთა დასახმარებლად.

რემედას-ის კომპანია ინგლისში

ინგლისიდან მიღებული ცნობის თანახმად რემედას-ის კვირეული ჩატარებულ იქნა მთელს ინგლისში 7-დან 15 თებერვლამდე. მიტინგებზე. ლონდონში, გლაზგოში მანჩესტერში და სხ. სამრეწველო ცენტრებში მოხსენებებით გამოვიდნენ ამხ. სეკლატკალა, დეკიში, ლარკინი, კემპბელა და სხვ. მრავალი პოპულიარული მოღვაწეები.

მთელს ინგლისში ჩატარებულ იქნა კვირეულის განმავლობაში შემოწირულებათა შეგროვება, გავრცელებულ იქნა კვირეულის ჩასატარებლად გამოცემული, რემედას-ის სპეციალური ლიტერატურა, პლაკატები და სხვ.

რემედას-ის ახალი ორგანიზაცია

ირლანდიაში რემედას-ის ორგანიზაციის მიერ გადადგმულია პირველი ნაბიჯები. რემედას-ის იდეებს მეტად ნაყოფიერი ნიადაგი აქვს ადგილობრივ მშრომელთა შორის. ჩატარებულია მთელი რიგი მიტინგებისა, სადაც მოხსენებით გამოდიდოდა ამხ. სტუჯრტ. ერთ ერთ კრების შემდეგ, დამსწრეთაგან 200 კაცი ჩაეწერა ორგანიზაციაში. საწევრო გადასახადი შემოღებულია—თვეში 4 კაპიკი ოქროთი.

რემედას-ის ალმასკომის უკანასკნელი ცნობები

ევროპის მუშათა კლასი—ს. ს. რ. კავშირის მშრომელთან ერთად მხურვალედ ესალმება ალმასკომის მანიფესტს და მოითხოვს ტყვე ამხ. განთავისუფლებას

გერმანია

კელნი (რურის ოლქი) მიტინგზე—ადგილობრივ მუშებთან ერთად გამოცხადდა მრავალრიცხოვანი პროლეტარიატი ახლო მახლო ადგილებიდან. მხურვალე ოვაციებით მიეგებენ: საფრანგეთის, ინგლისისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთ—ამხ. **კორნავეს, პარპესა** და **რუდლტს**.

ამხ. **რემმლემ** დაასურათა, ის მხეცური წამებანი რომელსაც მიმართავს გერმანიის „მართმსაჯულება“ პოლიტიკურ ციხეებში.

— „საფრანგეთის პროლეტარიატი,—განაცხადა ამხ. **კორნავენმა**, აღფრთოვანებული შეჰყურებს გერმანიის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას“ო.

კალკი (კელნის ოლქი) **რიზმანის** დარბაზში, ზღვა ხალხის წინაშე, საფრანგეთის პროლეტარიატის სახელით გამოვიდა ამხ. **კაშენი**. ამხ. **ტომასი** (ინგლისი) მემაღარო-ვე სამხრეთ ვალლისიდან, რომელმაც გააკეთა მოხსენება ინგლისის მუშათა მოძრაობაზე. გერმანიის წარმომადგენლის სიტყვის შემდეგ, კრებამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია – გერმანიის კაპიტალის ბარბაროსობის საწინააღმდეგოდ.

ერენფელდი (კელნის ოლქი) მოხსენებებით გამოვიდენ ამხ. **რუტ ფიშერი**—გერმანიის კომპარტიიიდან, **ტუსსიკი** (ჩეხოსლოვაკია) და ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წარმომაღგენელი.

— „ჩვენ ვდგებით, კლასიური შეგნებითა და სოლიდარულის გრძნობით გამსჭვალულნი გერმანელ ძმების დასამარებლად“,—აცხადებდენ უცხოელი ამხანაგები. კრებამ ზიზღითა და კრულვით აღნიშნა გერმანიის ბურჟუაზიისა და მისი ერთგული დამცველის სოციალ-გამყიდველთა მოღალატური საქციელი მუშათა კლასისადმი.

ბონნი (რეინის ოლქი) აღრთოვანებითა და არაჩვეულებრივის ენტუზიაზმით მიიღეს უცხოეთის წარმომადგენლები. მჭუხარე ოვაციებითა და დიდის ზეიმით შეხვდენ მუშები ბელგიის წარმომადგენელს ამხ. **ოვერსტრეტენს**. ინტერნაციონალის მჭუხარე აკკორდით იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელშიაც მუშები მოითხოვდენ 7.000 მებრძოლთა განთავისუფლებას, რომლებიც იტანჯებიან გერმანეთის კაპიტალის ციხის შავ კედლებში.

ესსენი—საწარმოო **კრუპპას** ორი ქარხნის საბჭომ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია თეთრი ტერორის საწინააამღდეგოდ.

დისელდორფ—რკინისგზელები უერთებენ თავიანთი ძლიერი „პროტესტის ხმებს დანარჩენ ოლქებისა და ფაბრიკა-ქარხნების მუშების საპროტესტო რეზოლიაუციას გერმანიის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

— გარდა ამისა საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანა **„ომისა და შრომის მსხვერპლთა საერთაშორისო საზოგადოებამ“**.

კოლონეთი

კომპარტიამ ჩაატარა კამპანია 1924 წ. 14-დან 28 ოქტომბრამდე. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიერ იქნა ათასობით გამოცემული მოწოდებები. მიუხედავად პ. პ. ს—პროვოკაციისა და რეპრესიებისა, მიუხედავად უკანასკნელ ხანებში მთელს მხარეში თეთრი ტერორის მრისხანე მღელვარებისა კომპარტიამ შესძლო შეჭრილიყო მშრომელთა ფართე მასსებში და მიეპყრო მათი თვალები 5,000 ტყვე რევოლიუციონერებისათვის, რომლებიც იტანჯებიან პოლონეთის ციხეებში.

ავსტრია

ვენა—შესდგა რემედას-ის წარმომადგენელთა გაფართოებული კომფერენცია—ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც ერთსულოვნად იქნა მიღებული ალმასკომის მანიფესტი. კომფერენციამ გადასწყვიტა მოაწყოს მთელი რიგი ორგანიზაციებისა, მიტინგებისა და მუშათა კრებებისა მშრომელთა ფართე მასსების ჩასათრევად თეთრი ტერორის საწინააღმდეგო-საპროტესტო კამპანიებში.

თეთრი ტჭროარი პოლონეთში

შიმშილი ლოდზის ციხეში

გამოცხადებულ იქნა ექვსი დღის შიმშილობა ტყვეების მიერ, რომელსაც მიემხრენ 78 ტყვეები პოლიტ-კომუნიდან, მათ შორის იყო 62 წლის პოლიტ-კატორღელი. წამოყენებულ იყო მთელი რიგი ელემენტარული მოთხოვნილებებისა. როგორიცაა—საჭმელის გაუმჯობესება, ნებართვა ტყვეების პოლიტ-კომუნის სკოლაში წაყვანისა და სხვ. მეშვიდე დღეს პროკურორმა **კრიხოვსკიმ** დააკმაყოფილა ტყვეების . მოთხოვნილებები, რის შემდეგ შიმშილობა შეწყვეტილ იქმნა; მაგრამ აქვე გამომჟღავნდა ხელისუფლების პროვოკაცია. კამერები გამოცხადდა სასტიკ იზოლიაციის ქვეშ, ადმინისტრაციამ აკრძალა პოლიტ-კომუნის მამასახლისთა მიღება. ყველა პატიმრები გადაიყვანეს—გდანის ჭუჩაზე, ციხეში; სადაც ისინი მიიღეს ლანძღვა-გინებით. მათ წაართვეს წიგნები, გაზეთები და თბილი პალტოები. ციხის ვიწრო და ნესტიან კამერებში საშინელი ჭუჭყი და ტალახი იდგა. 4 ავადმყოფი ამხანაგი მოათავსეს კარცერში, ერთი სასტიკად სცემეს.

სისხლიანი ამბოხება სამგორის ციხეში

1924 წლის ოქტომბერში მომხდარი ამბოხება სამგორის ციხეში კიდევ ერთი შავი ფურცელია პოლონეთის თეთრი ტერორის სისხლიანი ისტორიისა. სამგორი პატარა პროვინციალური ქალაქია გალიციაში. ეს ციხე ერთერთი უსაშინელესი ციხეა მთელს მხარეში.

1924 წ. 21 ოქტომბერს გაისმა საშინელი და გულშემზარავი ღრიალი მთელს ქალაქში, რომლიდანაც

მკაფიოდ გამოისმოდა შემდეგი სიტყვები **„მოგვეცით საჭმელი“**. ციხე გარშემორტყმულიყო ცხენოსანი პოლიციელებით, ჯარის ძლიერი ნაწილებით და ტყვიის მფრქვეველებით. პოლიციის ბრძანებასთან ერთად, შეეწყვიტათ ქვითინი, გაისმა საშინელი სროლა ციხის ფანჯრებში. **მიხეილ ბერეხულიაკი** მკვდარი ჩამოვარდა ფანჯრიდან, დანარჩენი მძიმედ დაჭრილი ტყვეები მწუხარე ქვითინით ძირს დაეშვენ. მეორე დღეს ბორკილებით დაჭედილი ტყვეები მიჰყავდათ სამგორიდან.

პოლონეთში მძვინვარებს თეთრი ტერორი

წითელი დროშები ბოძებზე.

ვარშავის პოლიციის მიერ შეპყრობილია 20 მუშა; ვალჩაკი და გუბერხსკი--რომლებსაც ბრალი ედებათ ბოძებზე წითელი დროშების ჩამოკიდებაში. დროშაზე იყო წარწერილი შემდეგი ლოზუნგები: **„ვითხოვთ ამხ. ლანცუცკის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას! ზიზღი ამხ. კრულიკოვსკის დაბეზღებელთ!**

დაჭერები სტუდენტთა შორის.

ვარშავა.—სტუდენტთა სოციალისტურ „ცხოვრების“ ჯგუფში მასსიური დაპატიმრებებს ჰქონდა ადგილი. რამოდენიმე დღის უკან სტუდენტთა ბინაზე მოხდა ჩხრეკა, დაპატიმრებულია 10 სტუდენტი. ამათ წინააღმდეგ წაყენებულია ბრალდება: კომუნისტური ლიტერატურის გავრცელება და კომუნისტური პროპაგანდა ფართე მასსებში.

თეთრი სასამართლო

მასსიური პროცესები: მოთავდა ქალ. პეტროვსკაში 14 მუშის პროცესი, რომელთაც ბრალი ედებათ „შეთქმულებაში“ 102 მუხლის ძალით. პროცესის დროს გამომჟღავნდა პოლიციისა და მისი ცრუ მოწმეების ყალბი საბუთები ბრალდებულთა მიმართ. გასამართლებულთა უმრავლესობას სასამართლომ მიუსაჯა სამ სამი წელი კატორღა. ამასთან ერთად გამოიტანა განაჩენი ლოდზის სასამართლომ 16 მუშაზე, რომელთაც მიუსაჯეს 1—5 წელი

ღირსეული პასუხი.

კატოვიცაში საოლქო სასამართლომ, კომუნისტური მოღვაწეობისათვის, ამხ. პრჟეტორკის მიუსაჯა 2 წელი ციხე. ბრალდებულმა თავის უკანასკნელ სიტყვაში ამაყად აღნიშნა რომ ის ეკუთვნის კომუნისტურ პარტიას.

— თუ მე თქვენ დაგსჯით,—ირონიულად დაატანა მან,— ისიამოვნებთ თქვენ,—მე კი, პატივს მსცემთ; თუ გამასამართლეთ—კმაყოფილებას მომანიჭებთ მე—ხოლო თქვენ თავს კი—პატივს სცემთ. (რემედას-ის ცნობა).

პეპელოვების შეურაცხყოფისათვის.

ვარშავის საოლქო სასამართლომ ერთი წელი წიხე მიუსაჯა მუშა იან ფრანკეს, იმისათვის რომ მან მატარებელში მოგზაურობის დროს, გვერდით მჯდომ მგზავრს უთხრა: პეპელოვები ეხმარებიან ბურჟუაზიას... მუშათა კლასმა შეიძლება ენდოს მხოლოდ კომპარტიას, რომელიც მედგარი დამცველია მთელი ქვეყნის მშრომელთა უფლებებსაო... მეზობელ კუპეში მყოფმა პოლიციელებმა შეიპყრეს ის და გადასცეს სასამართლოს უფროსს... (რემედას-ის ცნობა).

ამხ. ლანცუცკის გასამართლება

რემედას ის ალმასკომმა ეხლახან მიიღო ცნობა, რომ ამხ. ლანცუცკის საქმი გარჩევა დაიწყება მარტის შუა რიცხვებში. ლანცუცკის ბრალს სდებენ ავსტროვენგრიის ძველი იმპერიის კოდექსის 5 მუხლის ძალით, რომელშიაც გათვალისწინებულია ციხეში უვადო პატიმრობა ან დახვრეტა.

რემედას ის ალმასკომმა მიიღო მთელი რიგი საპროტესტო წერილებისა ამხ. ლანცუცკის დაპატიმრებაზე. წერილები შემოსულია როგორც ს. ს. რ. შ. კავშირის რემედას-ის სექციებიდან ისე გერმანიის, საფრანგეთისა და სხვ. ქვეყნების სექციებიდან.

თეთრი ტერორი კორეიაში

იაპონიის სასამართლოს მიერ ამ დღეებში 4 წლის ციხე მიესაჯა ამხ. ლისენგსა და ტენუს, რომლებსაც ბრალი ედებათ კომუნისტურ პროპაგანდაში. აღნიშნული ამხ. უკვე ორი წელია სხედან ესიმ-ჩინანის ციხეში მათი მდგომარეობა აუწერელია.

თეთრი იუსტიცია პოლონეთი

1924 წ. სექტემბრიდან 15 ნოემბრამდის, ჩატარებული იყო 64 პოლიტიკური პროცესი, რომლითაც 124 კაცს მისჯილი აქვს 312 წ. და 3 თვე ციხე.

1924 წ. ნოემბრიდან 1925 წ, იანვარის 15-დის ჩატარებულია 68 პროცესი—124 კაცს მისჯილი აქვს 306 წ. და 8 თვე.

ლატვია

1925 წ. იანვრის განმავლობაში ჩატარებ. 7 პოლიტიკური პროცესი. 29 კაცს მისჯილი აქვს 116 წ. მათ შორის 17 კაცს—ახალგაზრდა კომკავშირელს მისჯილი აქვს 51 წ. ციხე. ამრიგად თვითეულ მათგანს მისჯილი აქვს 3 წელიწადი. დანარჩენ 12-ს მიუსაჯეს 5-5 წელი.

სამხრეთ-სლავია

კომუნისტური და რევოლიუციონურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის გამო მაკედონიაში შეპყრობილია რამოდენიმე ათასი რევოლიუციონერები, რომლებსაც მისჯილი აქვთ ხანგრძლივი საპყრობილე.

რემედასის ალმასკომში შემოსული ცნობის თანახმად 77 კაცს მისჯილი აქვს 1.195 წ. ციხე—რაც უდრის თვითეულზე $15\frac{1}{2}$ წ.

5 კაცის გარდა ყველა ცოლშვილის პატრონია (258 კაცი), რომლებიც ყოველგვარ საარსებო წყაროს მოკლებულნი არიან.

რუმინეთი

რუმინეთის ოხრანკის გაძლიერება.

რემედას-ის ალმასკომში მიღებულია ცნობა რუმინეთის ოხრანკის რეორგანიზაციის შესახებ. ახალი განკარგულების თანახმად ოხრანკის მუშაობა იყოფა სამ რაიონად: **ბუხარესტში, კლანზერბურგში და იასსაში**. ინსპექციებს ეძლევა განუსაზღვრელი უფლებები. ოხრანიკის რეორგანიზაციას მიზნად აქვს მისი ველური მოღვაწეობის გაფართოება.

მკვლელ-ფაშისტების განთავისუფლება.

იმ დროს, როდესაც კომუნისტების დაპატიმრება რუმინეთში გადაიქცა ჩვეულებრივ მოვლენად —ხელისუფლების მიერ თავისუფლება მიენიჭა 4 მკვლელ-ფაშისტს: **მოცცას, მირონოვიჩს, გირინატაის დ პოლესკუს**.

ექსპერანტოს დევნა რუმინეთში.

ქალ. ტარგუ-სურესში (ბიბენბიურგენის ოლქში) ოხრანკის მიერ დაპატიმრებულია მთელი ჯგუფი ექსპერანტოელებისა. მათ ბრალდებათ უყენებენ: თითქოს ექსპერანტოელების კლუბში ეწეოდენ პროპაგანდას. ბუხარესტის ექსპერანტოელების კავშირმა ძლიერი პროტესტი განაცხადა ამ აქტის წინააღმდეგ.

სამხრეთ-სლავია

მუშების დევნა სამხრეთ-სლავიაში.

კარლოვატჩში (კარლსტად) შეპყრობილია და სასამართლოზე გადაცემული მირკო კოპიაკი—III-ე ინტერნაციონალის საპატივცემულო სიტყვის გამო.

ოსიცკში დაპატიმრებულია ამხ. **გოცზიდარ მასლავიტს**, პროფესორი დათხოვნილია სამსახურიდან, უკანასკნელ კამპანიაში მონაწილეობის მიღების გამო—უპარტიო მუშების არჩევნების დროს.

მასლავიტსი ორი წლის პატიმრობის შემდეგ ეხლახან გამოუშვეს ციხიდან.

მუშებმა გაანთავისუფლეს თავიანთი მებრძოლი ძმები.

კრაპინეში (კროატი) დაპატიმრებული 3 მუშა: **გრკოვიჩი, სლივანი**, და **ბალი** გაანთავისუფლეს ადგილობრივ მცხოვრებთა კატეგორიული მოთხოვნით. ამ ამხანაგების დაჭერამ, რომელიც მოხდა უკანასკნელ არჩევნების დროს იმოდენად ააღელვა ადგილობრივი მშრომელთა მასსები, რომ მათი განთავისუფლების ნიადაგზე მთავრობასა და მცხოვრებთა შორის სისხლის ღვრასაც ჰქონდა ადგილი.

საბერძნეთი

ფაშისტების თავდასხმა მუშებზე.

რემედას-ის ალმასკომის ცნობით საბერძნეთში ხშირ მოვლენად გადაიქცა ფაშისტების მიერ მუშებზე თავდასხმა. ფაშისტების შეიარაღებული რაზმები შეუვარდენ თუთუნზე მომუშავე მუშებს. ფაშისტები შეიპყრეს მუშებმა და გადასცეს პოლიციას, რომელმაც ისინი დაუყოვნებლივ გაანთავისუფლა. ამ დაცემამ მუშათა ფართე მასსებში დიდი მღელვარება გამოიწვია. მეთუთუნეების საბჭოს. ტელეგრამაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ: თუ მთავრობა არ მიიღებდა ზომებს ფაშისტების წინააღმდეგ, მეთუთუნეთა საბჭო აწარმოებდა თვითდაცვითი ბრძოლას. საბჭო მოითხოვდა დაეშალათ ნაციონალურ-რესპუბლიკანურ ახალგაზრდობის ორგანიზაცია—რომელიც აწარმოებდა სისტემატიურ თავდასხმებს მშრომელთა მასსებზე.

ათონიდანაც მოდის ანალოგიური ცნობები. ათონის ერთ-ერთ კომუნისტურ ორგანიზაციის შენობაში შევარდენ შეიარაღებული ფაშისტები აქ სწარმოებდა სტუდენტთა კურსების მეცადინეობა. დაიჭრა მძიმედ 3 სტუდენტი. ანალოგიურ შემთხვევების ძლიერ გახშირების გამო, ადგილობრივ მშრომელთ უხდებათ თავდაცვითი ბრძოლის წარმოება შემოსეულ ბანდებთან. ლარისში უკანასკნელ ხანებში გარეკეს ფაშისტური ორგანიზაცია.

საბერძნეთის ტერორის წინააღმდეგ.

საერთაშორისო მუშათა დელეგაციამ და მეთუთუნეთა კავშირმა მიმართეს მთავრობას მოთხოვნილებით: დააბრუნონ საზღვარგარეთ გადაგზავნილი მუშები. მოთხოვნილებაში იყო აღნიშნული აგრეთვე მაკედონიაში მძვინვარე ტერორის ველური თავხედობა, მოითხოვდენ დამნაშავეთა დასჯას.

ალბანეთი

ვრანგელისტები ეხმარებიან თეთრ ტერორს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ალბანეთში ახმედვეი-ცოგუს ფეოდალურ რეჟიმის დაბრუნებთან ერთად განახლებულ იქნა თეთრი ტერორის „მოღვაწეობა“ ალბანეთის მშრომელ მასსების საწინააღმდეგოდ. კატაროდან მიღებულ უკანასკნელი ცნობების მიხედვით ყველა ქალაქებზე გაწერილია დიდძალი კონტრიბუცია—ჯარების შესანახავად. ვრანგელისტებმა მოახდინეს მოსახლეობის ძალდატანებით ქუჩებში გამოყრა. დახურეს გაზეთი: **„ორა ო მალვოი“**.

იტალია

ფაშისტების პროვოკაცია იტალიაში.

რემედას-ის ალმასკომში მიღებული ცნობით, რამოდენიმე დღის უკან შეიპყრეს 1039 კაცი.

ფაშისტები უკანასკნელ ხანებში მიმართავენ პროვოკაციას. ისინი ცდილობენ თავიანთი პროვოკატორების ჩათრევას კომუნისტურსა და ოპოზიციურ წრეებში. გენუაში აღმოჩნდა პროვოკატორი—ფაშისტი: ტესტა.

აღმოჩენილ ფაშისტ პროვოკატორს, მიქონდა ბომბები რესპუბლიკანელ გალარატის შენობაში.

ტრიესტში დაკეტილია მთელი რიგი ორგანიზაციებისა: როგორიცაა კომუნალურ მოსამსახურეებისა, ქიმიური წარმოების მუშებისა და ორგანიზაცია ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებისა.

ტერორი ბალკანეთში

რემედას-ის ალმასკომში მიღებული ცნობის თანახმად რუმინეთის ოხრანკის მიერ უკანასკნელ კვირის განმავლობაში დაპატიმრებულია 400 კაცი.

სამხრეთ-სლავიაში დაპატიმრებულნი არიან მთელი რიგი თვალსაჩინო და აქტიური მუშაკებისა, როგორიც არიან: ამხ. **ჩონიჩი, ივანოვი, გინუბიჩინი, ლეიჩინი და სხვ.**

ახალი დაპატიმრებანი ამერიკაში.

რემედას-ის ალმასკომმა მიიღო ტელეგრამა ნიუ-იორკიდან, რომლის თანახმად შეპყრობილია და სასამართლოში გადაცემული, ამერიკელი ცნობილი ლიტერატორი და გაზეთ **„უი ელორი“**ს რედაქტორი ამხ. **დიონ ლასსენი.**

ამხ. ლასსენმა დაბეჭდა რევოლიუციონური ლექსი, რის გამო ის იქნა დაუყონებლივ დაპატიმრებული, პირველ ხანებში მას ემუქრებოდენ ვენგრიის მთავრობაზე გადაცემით.

ამას დაჟინებით მოითხოვდა პოლიცია, რადგანაც ამხ. ლასსენი გამოექცა ვენგრიის მთავრობას ჯერ კიდევ 1918 წ. მას სწამებდენ, ვენგრიელ შავრაზმელ მინისტრზე—ტისსზე თავდასხმას (ტისსი მოჰკლეს იმავე წელს)...

ამხ. ლასსენს ემუქრება ხანგრძლივი პატიმრობა.

რიუის ცენტრალიკის საიდუმლოებიდან

უპატრონო საფლავები.

სადღაც, შორს... ქალაქს გარედ, წითელ სილიან ნაპირებში პატარა გორაკებზე—სდგას მაღალი ქვის კედელი—რომელიც გარშემორტყმულია მავთულით... ვინ მოსთვლის რამდენი მივიწყებული და უპატრონოთ მიტოვებული საფლავია აქ მუშათა კლასისათვის თავგანწირულ გმირებისა... ვინ მოსთვლის რამდენ მეომარს დაუბნელეს აქ სიცოცხლის უკანასკნელი წუთები ტანჯვითა და წამებით...

შიმშილი და სიცივე.

ციხეს არ ახურებენ—იყინებიან სიცივისაგან ავადმყოფი პატიმრები. ძლიერი სიცივის გამო კამერებში დარბიან ტუსაღები. აბანოში უშვებენ 10—14 დღეში ერთხელ. კამერებში აუწერელი უსუფთაობაა. მძვინვარებს შიმშილი. საჭმელს იძლევიან ძლიერ უვარგისს—ცხენის ან აყროლებულ ღორის ხორცს, გამხმარი პურის ნატეხით.

ციხის ძალლები.

გავრცელებულია და მიღებული ჯაშუშობა-გაიძვერობა. გახშირებულია ამ ნიადაგზე ცემა-ტყეპა და მკვლელობა—ვინაიდან პატიმრები ვერ ითმენენ თავიანთ წრეში ჯაშუშობის ატანას. უფროსად დაყენებულია გარყვნილი და მკვლელი—ყოფილი მზვერავი რაზმის უფროსი ანსონი.

სისხლის სამართლის დამნაშავე მურკშისი არის სამნეო ნაწილის გამგე. ეს ყოფილი კატორღელი ისე უდიერად და მხეცურად ეპყრობა პატიმრებს, რომ პატიმართა ციხეში ჯდომა შეუძლებელი ხდება.

ყოველთვის მთვრალი და გალეშილი დადის ის კამერებში და ემუქრება ტყვეებს.

ცენტრალიკაში დაპატიმრებულთა რიცხვი უდრის 1300 კაცს. პოლიტეკურ პატიმარ. 100 კ.

„საშიშარი“ პოლიტპატიმარნი მოთავსებულნი არიან ცალკე კამერაში.

პოლიტიკური კამერა ციხეში ორია. ციხეში გაცხოველებული მეცადინეობაა. არსებობს პოლიტიკური ეკონომიის შესასწავლი სემინარია—რომელსაც სელმძღვანელობენ თვით პატიმრები.

ახალი კლასიური განაჩენი

ბერლინი. (როსტა).

მეკსენბურგის კომუნისტების საქმეზე, ლეიპციგის უმღალესმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც სახელმწიფოს ღალატში შემჩნეულ 7 მუშას მიუსაჯეს სულ 10 წელი კატორღა. სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდა ორი სოციალ-დემოკრატი.

ესტონეთი

ესტონეთის მთავრობის მიერ დახვრეტილია ძმები ვაკმანები—ერიკი და რიჰარდი. დახვრეტილები არიან, კომინტერნის ესტონეთის სექციის მდივნის, ამხ. რუდოლფ ვაკმანის ძმები.

გენერალმა გასცა ბრძანება—ყველა მოქალაქე, რომლებიც 15 ნაბიჯზე მიუახლოვდებიან დარაჯს სადარაჯოზე იქნებიან დახვრეტილი.

მასსიური ტერორი, რომელიც მძვინვარებს ესტონეთის ტერიტორიაზე სდევნის არა მარტო მოზრდილებს ბავშვებსაც-კი. რეველის ციხეში ღამწყვდეულნი არიან რამოდენიმე ბავშები. მათ ბრალი ედებათ აჯანყებულთა დახმარებაში.

დემოკრატიულ „თავისუფლების“ ქვეყანაში.

(15 წელი კატორღა – არალეგალურ კომუნისტური პარტიის ყრილობაზე მონაწილეობისთვის).

1922 წ. ჭ. მიჩიგანში არალეგალურ კომუნისტურ პარტიის ყრილობაზე მონაწილეობის მიღებისთვის, მიჩიგანის უზენაესმა სასამრთლომ დაამტკიცა საბრალმდებლო აქტი „ჰორვერს პარტიის“ მდივან—რუზენბერგზე.

გერმანიის მართლმსაჯულება

1. როგორ ასამართლებენ რევოლიუციონერებს.

ბავარიის რევოლიუციის საქმის გამო 1919 წ. სასამართლოში მიცემული იყო 2269 კაცი—რომელთაც გადაუწყვიტეს 3502 წ. ციხე, 368 წ. მძიმე მუშაობა და 974 წ. საპყრობილე. ე. ი. საერთო ანგარიშით 4344 წ.

ფაშისტურმა ორგანიზაციამ გერმანიაში 1924 წ. იანვრის პირველიდან 1924 წ. აპრილის პირველამდე ჩაატარა 8.448 პროცესი (ამაში არ შედის ის პროცესები, რომელშიაც ბრალდებულთ ასამართლებდენ უდამცველოდ).

საქსონიის აღების დროს 1924 წ. ოქტომბერში მოკვდა 32 კაცი, დაიჭრა 154 კ. შეიპყრეს 1646 კაცი.

ასე ასამართლებენ გერმანიის რევოლიუციონერებს.

2. როგორ ასამართლებენ თეთრ გვარდიელებს.

პუტჩე-კაპპაში, მონაწილეობას იღებდა ფაშისტური ორგანიზაციის 575 შეიარაღებული წევრი, სასამართლოს გადაეცა მხოლოდ ერთი კაცი—რომელსაც მიუსაჯეს 5 წ. ციხე.

პუტჩე გიტლერში 1924 წ. ნოემბერში მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 10 ათასი ფაშისტური ორგანიზაციის წევრი, რომელიდანაც სასამართლოს გადაეცა მხოლოდ 9 კაცი. ერთი მათგანი (გონერალ ლიუდენდორი) გაამართლეს. 4-ს მიუსაჯეს 5 წელი ციხე (ისინი უკვე თავისუფლებაში იმყოფებიან) 4-ს მიუსაჯეს 1 წ. და 3 თვე პირობითი დაპატიმრება.



ქალ. ტფილისის განყოფილება

1925 წ. 2 თებერვალს შესდგა რემედას-ის ქალ. ტფილისის ლენინის უბნის გაფართოებული კონფერენცია. დაესწრო 785 დელეგატები. კონფერენციას ხსნის ამხ. მთვარელიძე. კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეულ იქმნა შემდეგი ამხ.: 1) მთვარელიძე, 2) ჯუჯულავა, 3) სერებრიაკოვი, 4) ივანოვა, 5) გალიპხაერი, 6) ზაკსი, 7) კანაძე, 8) უმბრიევი და 9) კარგინი.

კონფერენციის საპატიო წევრებად არჩეულ იქმნენ ამხ.: 1) ზინოვიევი, 2) კინამაროვი, 3) მ. ცხაკაია, 4) ორჯონიკიძე, 5) სტალინი, 6) ფ. მახარაძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) რემედას-ის მორიგი ამოცანები (მოხს. რემედას-ის საქართველოს ცეკასი), 2) ტფილისის რემედას-ის ანგარიშები, 3) რაიონულ საბჭოს ანგარიშები, 4) რაიონულ საბჭოებისა და სარევიზიო კომისიების არჩევა, 5) მიმდინარე საქმეები.

კონფერენცია გაიხსნა დილის 9 საათზე და გაგრძელდა ნაშუადღევის 2 საათამდე.

რემედას-ის მორიგ ამოცანებზე ვრცელი მოხსენებით გამოდის ამხ. ჯიჯაძე.

ამხ. ჯიჯაძის მოხსენების გარშემო გამართულ ხანგრძლივი კამათის შემდეგ კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

ლენინის რაიონის რემედას ის გაფართოებული კონფერენცია აღნიშნავს, რა ბურჟუაზიულ ქვეყნებში გაბატონებული თეთრი ტერორის საშინელ რეჟიმს, რომელიც მიმართულია მუშათა კლასის მოძრაობის წინააღმდეგ აღდგენს გაძლიერებულ იქმნას რემედას-ის მუშაობამ შრომელთა ფართე მასსებში.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ რემედას-ი პირმშო შვილია დიდი ოქტომბრის რევოლიუციისა, რომელიც მტკიცე რიგებით რაზმავს მუშათა კლასს მსოფლიო პროლეტარიატის მოსისხლე მტრის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

III-მე კომუნისტური ინტერნაციონალი მთელი თავის ძალ-ღონით ეხმარება რეაქციის მსხვერპლთ, რომლითაც მოფენილია, როგორც „კულტურული“ ქვეყნების დემოკრატიული რესპუბლიკის დიდი ქალაქის ქუჩები, ისე მათი კოლონიალური ქვეყნები. კონფერენცია პირდება თავის მხრით დასავლეთის ფაშისტების ტყვე-რევოლიუციონერებს ძმურ დახმარებას. რემედას-ის ლენინის უბნის გაფართოებული კონფერენცია მხურვალე სალამს უძღვნის დასავლეთის კაპიტალის ტყვეებს.

ტფილისის რემედას-ის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო კონფერენციამ.

რემედას-ის რაიონულ საბჭოში არჩეულია შემდეგი ამხანაგები: 1) მთვარელიძე (მთავარ სახელ.), 2) გალიპხაერი (სამჭედ.), 3) მოლნიკოვი, 4) პალანც, 5) რუხაძე, 6) ვაშაკიძე, 7) ვარნოვი, 8) ბოლსკი, 9) მიქაძე, 10) აკიმენკო, 11) ამბრევი, 12) კვატაძე, 13) კანდელაკი, 14) კობახიძე, 15) ქორიძე, 16) კარგინი (დეტეჩკა), 17) ნოდია, 18) კაპანაძე, 19) გოგობერიძე, 20) ივანოვა ელენე, 21) ტაბატაძე, 22) სლობოდა, 23) ბაბიულუა, 24) თავბერიძე, 25) მარაძე, 26) ბარიშვილი, 27) ედელსონი, 28) ოკუჯავა, 29) ინაური, 30) ტავკავაძე, 31) ჟოლუდოვი, 32) ფანგოტი.

სარევიზიო კომისიაში არჩ. შემ. ამხ.: 1) იბლონსკი, 2) ფანცულია, 3) ზაკსი, 4) ბუშკოვი და 5) შენგელია.

ჩაქუჩი.

ახალციხის მაზრა

რემედას-ის ახალციხის სამაზრო კომიტეტისა და მისი უჯრედების მდივნების გაფართოებული სხდომა შესდგა 1925 წ. 9 თებერვალს. თავმჯდომარეობდა ამხ. ურუშაძე, მდივნობდა ამხ. გრიგორიანი.

დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. აბასთუმნის უჯრედების მუშაობა. 2. რემედას ის კუთხეების დათვალიერება. 3. რემედას-ის სამაზრო კომიტეტის შემადგენლობა. 4. უჯრედებზე აქტიურ მუშაკების მიმაგრება. 5. სამთვიური მუშაობის გეგმის განხილვა. 6. მაზრაში კვირეულის ჩატარება. 7. რემედას-ის სასარგებლოთ მიწის დამუშავება. 8. საწევრო გადასახადების აკრეფა 1924 წ. მარტიდან. 9. სალამო-წარმოდგენების მოწყობა. 10. რემედას-ის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის ცირკულიალური წერილის გამოცხადება. 11 ტეხნიკური თანამშრომლის შესახებ. 12. რემედას ის საქართველოს ცეკა სამაზრო კომიტეტის გეგმის დამტკიცებაზე და 13. რემედას-ის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის მომართვა № 69.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ურუშაძე, რომელიც აღნიშნავს აბასთუმნის უჯრედის შუამდგომლობას, რათა მას ჰქონდეს საქართველოს ცეკასთან უშუალო და-

მოკიდებულება—რაზედაც კრებამ ერთხმად უარი განაცხადა. კრებამ სასურველად სცნო აბასთუმნის უჯრედი ექვემდებარებოდეს ახალციხის სამაზრო კომიტეტს.

რემედას-ის კუთხეების დათვალიერება ძიენდო ამხ. გრიგორიანსა და კალანდაძეს—რომლებსაც დაევალა ერთი კვირის განმავლობაში წარუდგინონ ინფორმაციული მოხსენება ახალციხის სამაზრო კომიტეტს.

კრებამ დაადგინა რემედას-ის უჯრედებზე მიამაგროს შემდეგი აქტ. ამხანაგები: 1. პოზოევი. 2. დუდუჩავა. 3. თარხანიშვილი. 4. ბესელია. 5. ხუნდაძე 6. ბოვდანოვა. 7. სიმონოვი. 8. ურუშაძე. 9. კალანდაძე და 10. გვიშიანი (ახალგაზრდა კომკავშირელი).

კრებამ დაადგინა რემედას-ის კვირეული და საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავი ერთად იქნეს ჩატარებული—23-დან 28 თებერვლამდის, რისი მოწყობა მიენდო ამხ. ურუშაძეს.

კრება ადგენს: რემედას-ის სასარგებლოდ გამართული წარმოდგენა-სალამოები უნდა იმართებოდეს პარტიის სამაზრო კომიტეტთან შეთანხმებით.

ტეხნიკურ მდივნად—დროებით დაინიშნა ამხ. კასაბაშევა.

ოტტო—ვაკ.

ქ. ფოთი

1925 წ. თებერვლის 1 შესდგა ქ. ფოთის რემედას-ის სარევიზიო კომისიის სხდომა. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. გველესიანი. მდივნობდა ამ, პრ. მეგრელიშვილი.

სარევიზიო კომისიის მიზანი იყო გამოერკვია რემედას-ის ფოთის განყოფილების შემოსავალ-გასავლის რაოდენობა. ნაშთის განხილვის დროს აღმოჩნდა შემდეგი:

შემოსავალი დეკემბრის თვეში:

1. საწევრო გადასახადიდან 24 მ. 40 კ. 2 ჟეტონებ. 19 მ. 60 კ. 3. საწევრო წიგნაკები 10 მ. 30 კ. 4. ერთ. დროული შემოსავლიდან 25 მ. 65 კ. 5, ფასიანი ფურცლებ. 168 მ. 51 კ. 6 წარმოდგენიდან 31 მ. სულ: 256 მან. 96 კაპ.

9. დეკემბ. ნაშთიანად უდრის 580 მ. 73 კ.

გასავალი 177 მ. 4 კ. ამრიგად რჩება წმინდა შემოსავალი 403 მ. 32 კ,

რემედას-ის კვირეულის ჩატარება უამიდობის გამო გადაიდო გაზაფხულისათვის. ქ. ფოთის განყოფილებას აქვს შემუშავებული თავისი გეგმა ადგილობრივი პირობების მიხედვით რემედას-ის კვირეულის ჩასატარებლად, რაც უსათუოდ ნაყოფს გამოიღებს.

რემედას ის კამპანია და სამაზრო კომფერენცია ჩატარდა მხოლოდ ერთელ. საქართველოს რემედას-ის მიერ გადმოგზავნილი ლიტერატურა ვრცელდება. მიღებულია რემედას-ის კუთხეებს მოსაწყობათ ყოველგვარი ზომები. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რემედას-ის საქმეში ფოთის მშრომელთა ფართე მასსები დიდ ენერგიას იჩენენ. არის შემთხვევები ნებაყოფლობითი შემოწირულებებსა, ეს გარემოება მაჩვენებელია იმისა, რომ რემედას-ის ყოველი მოწოდება, ტყვეთ რევოლიუციონერთა დასახმარებლად ძვირფასია ყველა მშრომელთათვის.

ელევატორი.

დუშეთის მაზრა

რემედას-ის მუშეობა დუშეთის მაზრაში პირველ ხანებში ვერ იდგა თავის სიმაღლეზე. მიმდინარეობდა ძლიერ სუსტად. გასულ წლის პირველ ივნისიდან იწყება მისი მუშაობის საგრძნობლად გამოცოცხლება, რაშიაც დიდი ღვაწლი მიუძღვის რემედას-ის დუშეთის სამაზრო კომიტეტს.

1924 წ. ოქტომრის 12 არჩეული იქმნა რემედას-ის დუშეთს სამაზრო კომიტეტის ახალი შემადგენლობა. 1924 წ. განმავლობაში რემედას-ის დუშეთის მაზრის წევრებად ირიცხებოდა 408 კაცი. აქედან საწევრო გადასახადის გამღები იყო მხოლოდ 70%, ისიც დუშეთში მყოფი მუშა-მოსამსახურეები.

დუშეთში არსებობს 4 უჯრედი. 1. სამაზრო პარტკომში. 2 სამაზრო ალმასკომში 3. სამხედრო კომისარიატში. და 4. სამაზრო მილიციაში.

უკანასკნელ ხანებში რემედას-ის სამაზრო კომიტეტში შემოვიდა ორი განცხადება: ახალგაზრდათა კომკავშირში და თვითმშრომელთა კავშირში რემედას-ის უჯრედებს დაარსების შესახებ. ასე რომ დღეს დუშეთში არსებობს 6 უჯრედი, რომელშიაც ირიცხება 297 წევრი.

ქალაქში დამრთავდა წევრთა რეგისტრაცია.

სასურველია რემედას ს ეგზავნებოდეს რაც შეიძლება მეტი ქართული ლიტერატურა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რემედას-ის დუშეთის მაზრის უჯრედების ნაყოფიერი მუშაობით ახლო მომავალში გაცილებით უფრო მეტი წევრები შემოემატება ჩვენს ორგანიზაციას.

ვლეხობა, რომელიც პირველ ხანებში ყურადღებასაც არ აქცევდა რემედას-ის ორგანიზაციას, დღეს გაფაციცებით ადევნებს თვალყურს მის მუშაობასა და ყოველგვარ მოწოდებას.

დუშეთის გლეხობა მზათაა, რითაც კი შეიძლება დაეხმაროს საერთაშორისო რევოლიუციის მებრძოლთ. ეს ადვილი ასახსნელია გლეხობა, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვს ჩაგვრა მონობის „სიტკპოება“ ზიზღსა და კრულვას უთვლის მსოფლიო ყაჩაღებს, რომელთა ციხეებში უმოწყალოდ იტანჯებიან მუშათა კლასის საუკეთესო შვილები. დუშეთის გლეხობა იღვიძებს... ის ეხმარება რემედას...

ჰოგრეტი.

ქუთაისის მაზრა

ქუთაისის მაზრაში რემედას-ის კვირეული ჩატარდა 1925 წ. 7-დან 14 იანვრამდე—სამაზრო კომიტეტის მიერ წინასწარ გამომუშავებული გეგმის მიხედვით.

შემოსავლის რაოდენობა კვირეულის განმავლობაში გამოიხატება შემდეგში: 1) ლიტერატურიდან 119 მან. 60 კაპ. 2) ტეატრისა და კინოსაგან 487 მ. 89 კაპ. 3) ნებაყოფლობითი შემოწირულებიდან 390 მ. 4) ბიულეტენებისაგან 10 მ. ფას. ფურც. 29 მ. 15 კაპ. სულ შემოსავალი უდრის კვირეულის განმავლობაში: 1036 მ. და 64 კ.

კავშირების საშუალებით ჩატარებულ იქნა ახალი წევრების მიღების კამპანია. ზემო აღნიშნული თანხა გადმოგზავნილია რემედას-ის საქართველოს ცეკაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქუთაისში და მის მაზრაში რემედას-ის მუშაობა დღიდან მისი დაარსებისა მე-

ტად ნაყოფიერად მიმდინარეობს. დღითი-დღე იზრდება მისი უჯრედები. როგორც ქალაქში ისე სოფლებში ილტვიან მისი უჯრედებისაკენ. მშრომელი გლეხობა დიდის სიმპატიით ეპყრობა რევ. მებრძოლთა დახმარებას..

გლეხი.

ქ. ჭიათურა

1924 წ. 22 დეკემბერს შესდგა რემედას-ის ჭიათურის კომიტეტის სხდომა. რემედას-ის საქართველოს ცეკას ინსტრუქტორის ამხ. ჭეიშვილის დასწრებით კრებას ხსნის ამხ. გაბეჭიშვილი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ამხ. ჭეიშვილის მოხსენება—რემედას ის მომავალ მუშაობის შესახებ. 2) რემედას-ის კომიტეტის არჩევა. 3) საწევრო წიგნაკების შესახებ. 4) ლიტერატურა'ს გავრცელება. 5) ტეხნიკური მომუშავის დანიშვნა.

პირველ საკითხზე ამხ. ჭეიშვილი აკეთებს ვრცელ მოხსენებას. ის აღნიშნავს რემედას-ის წარმოშობის მიზეზს და მის აუცილებლობას, მის ნაყოფიერ მუშაობას 2 წლის განმავლობაში, როგორც ს. ს. რ. შ. კავშირში ისე, წითელ ხაზებს იქით, სადაც თეთრი ტერორის ტალღები გასაქანს არ აძლევს მუშათა კლასს. ჭეიშვილი ასურათებს რემედას-ის მუშაობის მომავალ პერსპექტივებს.

შემდეგ კრებამ აირჩია რემედა'ს-ის კომიცეტის ახალი შემადგენლობა. კომიტეტში შედიან: ამხ. 1) კავტალაძე, 2) ანთიძე, 3) ტყემალაძე. კანდიდატებათ: 1) ძნელაძე და 2) გაჩეჩილაძე.

კრებამ დაადგინა აყვანილ იქნას ტეხნიკური მდივანი, რომელსაც მიეცემა თვიური ჯამაგირი 25 მანეთი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჭიათურის რაიონში რემედას-ის მუშაობის საქმე ვერ არის სასურველ დონეზე დაყენებული. ჩვენ იმედი გვაქვს ადგილობრივად მომუშავე ამხანაგები გაითვალისწინებენ რემედას-ის დიად იდეემს და ფართე მასსებში შეიჭრებიან პროპაგანდა-აგიტაციით.. ჩვენს, ადგილებზე მომუშავე ამხანაგებს უნდა ახსოვდეს, რომ ყოველი მუშა, გლეხი თუ პატიოსანი მოქალაქე უნდა გახდეს რემედას-ის ორგანიზაციის წევრი, რათა ყოველმა მოქალაქემ ვისთვისაც ძვირფასია მუშათა კლასის განთავისუფლების საქმე, შეიტანოს თავისი წვლილი მის განთავისუფლების საქმეში... თეთრი ტერორი, ბურჟუაზიული სასამართლო—ანადგურებს მსოფლიო მუშათა კლასის მოწინავე ნაწილს დასავლეთში და აღმოსავლეთის კოლონიალურ ქვეყნებში... ჩვენი ვალია გადავისროლოთ მათკენ დახმარების სახით გროშები და შევსძახოთ: **ჩვენც თქვენთან ვართ.**

მაღაროს მუშა.

ზუგდიდის მაზრა

რემედას-ის სამაზრო კომიტეტის შემადგენლობაში შედის 7 კაცი, ჰყავს ერთი ტეხნიკური მდივანი. თავმჯდომარეობს მაზრის კომპარტიის პრეზიდიუმის წევრი.

მთელს მაზრაში არის ექვსი რაიონი, თავიანთი რაიონული კომიტეტებით. აღრიცხვაზე აყვანილია 67 უჯრედი 1.300 წევრებით. მაზრაში რემედას-ის წევრთა რაოდენობა აღემატება 6.000, რომლის აღრიცხვა ჯერ არ დამთავრებულა.

რემედას-ის წევრთა შემადგენლობა ასეთია: გლეხობა 70%, მოსამსახურეები 25% და მუშები 5%.

ადგილობრივი მცხოვრებთა უმრავლესობა დიდის სიმპატიით ეკიდება რემედას-ის მუშაობის საქმეს. შედეგი მუშაობის მეტად თვალსაჩინოა, როგორც გლეხობის. ისე ინტელიგენციის ფართე მასსებში, რასაც ამტკიცებს მათი უშუალო მონაწილეობა რემედას-ის მუშაობაში. წევრები სიამოვნებით იხდიან საწევრო გადასახადს. ხშირია ნებაყოფლობითი შემოწირულებებიც. დიდი ზამთრის გამო იანვარში მაზრის მასშტაბით რემედას-ის კვირეული ვერ ჩატარდა. ის გადაიდო გაზაფხულისათვის. მაზრაში ვრცელდება რემედას-ის, როგორც ქართული გამოცემები, ისე რუსულიც.

შემოსავლის წყარო ისაზღვრება საწევრო გადასახადებით სალამო-წარმოდგენებით, ლიტერატურის გავრცელებით და ნებაყოფლობით შემოწირულებებით. აგრეთვე ფასიანი ფურცლების გავრცელებითაც.

სამაზრო კომიტეტის მიერ რემედას-ის საქართველოს ცეკაში გადმოგზავნილია 151 მან. დარჩა სალაროში 143 მან.

ჭიარდია.

სენაკის მაზრა

მასზრის მაშტაბით ირიცხება 56 უჯრედი—1500 წევრებით. აქედან მოსამსახურეები—60%, გლეხობა—40%. ხანგრძლივი ზამთრის გამო რემედას-ის კვირეული, რომელიც იანვარში უნდა ჩატარებულიყო გადაიდო გაზაფხულისათვის. იანვარში კვირეულის ჩატარების მაგიერ სენაკში, რემედას-ის წევრებსა და მოსამსახურებისსთვის უფასოდ ნაჩვენები იქნა რემედას-ის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მიერ გადმოგზავნილი კინო-სურათი **წითელი ზურგი** (Красный тыл) რომელმაც მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, სურათში მოცემული იყო როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მებრძოლ პროლეტარიატის მდგომარეობა, ისე მათი თავდადებული მზადება, დასავლეთის—ოქტომბრისათვის, სურათში გადაშლილია აგრეთვე ს. ს. რ. კავშირში რემედას ის მუშაობა, რომელიც მიმართულია ტყვე—რევოლიუციონერების ზურგის გასამაგრებლად, მათ გასამხნევებლად და დასავლეთის ბურჟუაზიულ ქვეყნებში რევოლიუციის ქარიშხალის დასაჩქარებლად.

ხსენებულმა კინო სურათმა მეტად კარგი შდაბეჭდილება დასტოვა დამსწრეთა შორის.

გაზაფხულში, კვირეულის ჩატარების დროს სამაზრო კომიტეტს განზრახული აქვს გლეხობის 80% პროცენტი ჩააბას რემედას-ის მუშაობაში. სამაზრო კომიტეტში ტეხნიკური მომუშავის აყვანის შემდეგ მუშაობა გაცხოველებულია. შემოსავლის წყარო ისაზღვრება საწევრო გადასახადით და საღამო წარმოდგენების მოწყობით.

ვლებულობთ ლიტერატურის საკმაო რაოდენობას. სამაზრო კომიტეტმა რემედას-ის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის სალაროში გადაგზავნა 960 მ. დარჩა სამაზრო კომიტეტში 200 მანეთი.

რემედას-ის მუშაობას, მის იდეებს მეტად ნაყოფიერი ნიადაგი აქვს გლეხობის ფართე მასსებში. გლეხობა

უშუალო მონაწილეობას იღებს რემედას-ის სასარგებლოდ ყოველგვარ მუშაობაში.

Gorbe.

სამხრეთ-ოსეთი

სამხრეთ-ოსეთის რემედას-ის განყოფილება შეუდგა რემედას-ის კვირეულის ჩატარება ა/წ. 7 იანვრიდან ქ. ცხინვალში. რემედას-ის გამგეობის სხდომაზე შემუშავებულ იქნა კვირეულის ჩატარების გეგმა. 7 იანვრიდან მთელს ქალაქში გაკრულ იქნა, როგორც ცენტრიდან გადმოგზავნილი ისე ადგილობრავად, ოსურ ენაზე დაბეჭდილი ლოზუნგები, მოწოდებები, პლაკატები და სავ.

9 იანვარს მოეწყო სხდომა, სადაც გამოვიდენ მომხსენებლად როგორც რუსულ-ოსურ ისე ქართულ ენაზე— რომლებმაც თავიანთი ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით დაახასიათეს რემედას-ის მიზნები, მისი მუშაობა და მიღწევები მისი არსებობის ორი წლის განმავლობაში. ამავე თემაზე იქნა მოხსენება გაკეთებული სხვა დანარჩენ დაწესებულებათა თანამშრომლების კრებაზე. 10 იანვრს ჩატარებულ იქნა ქალაქის მცხოვრებთა შორის ნება-ყოფლობითი შემოწირულების კამპანია.

კვირეულის შედეგი ასეთია: მთელს მხარეში ყველა დაწესებულებაში დაარსებულია რემედას-ის უჯრედები, რომელთაც სისტემატიური და უშუალო დამოკიდებულება აქვთ რემედას ის საოლქო კომიტეტთან.

მთელი კვირის განმავლობაში ნება-ყოფლობითი შემოწირულების სახით, კინოსა და სხვა წყაროებიდან შემოვიდა 107 მ. 25 კაპ. აქედან საწევრო გადასახ. 36 მ 55 კაპ. შემოვიდენ 85 ახალი წევრები. უკანასკნელ ხანებში რემედას-ის წევრთა მიღება სწარმოებს გაძლიერებულის ტემპით.

დიდი ზამთრის გამო რაიონებში კვირეული 17 იანვრიდან უნდა ჩატარებულიყო. ავდრებსა და უგზოობის გამო ჯერ ცნობები არ არის შემოსული.

ც. ხ.

ქრონიკა

✒ რემედას-ის საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი საშუალებათა გასაძლიერებლად ტფილისის ქალაქის აღმასკომიდან იჯარით აიღო ბაღი „არტო“.

✒ რემედას-ის კვირეულის ჩატარება იმ ადგილებში სადაც ეს იანვარში, დიდი ზამთრის გამო ვერ მოხერხდა დაკავშირებულია პარიზის კომუნის დღესთან (18 მარტი)

✒ რემედას ის საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა 1925 წ. 14 მარტის სხდომაზე, საწევრო -გადასახადის რაოდენობა წელიწადში 25 კ. განსაზღვრა რაზედაც, ყველა ადგილობრივ კომიტეტებს დაეგზავნება ცირკულიარული ცნობა.

რემედას-ის საქ. ცეკამ მოიწონა **გულის ნიშნების** (ჟეტონები) ახალი ნიმუში, რომელიც მზადდება და ახლო მომავალში გადაეგზავნება ყველა სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს წევრებისათვის დასარიგებლად.

✒ რემედას-ის კვირეულის ჩასატარებლად აღმასკომიდან გადმოგზავნილი კინო სურათი **წითელი ზურგი** (Красный тыл) ნაჩვენები იქნა უფასოდ: ქ. ახალ-სენაკში, ქუთაისში, ბათომში და ტფილისის მუშათა უბნებში. დანარჩენ ადგილებზე მისი გადაგზავნა დიდი ზამთრის გამო ვერ მოხერხდა.

✒ რემედას ის საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა მუშათა კლუბებისათვის სახელმძღვანელო კრებული „რემედას-ი კლუბში“.

✒ რემედას-ის ცეკას განზრახული აქვს გამოსცეს კიდევ რამდენიმე წიგნაკები.

✒ განზრახულია ჟურნალ რემედას-ის ყოველ თვიურად გამოცემა.

1925 წ. 1-ლ იანვრიდან 1-ლ მარტამდის ცეკას სალაროში შემოვიდა:

1.	ტფილისის კომიტეტიდან	1.476 მ.	95 კ.
2.	ახალსენაკის „	940 „	50 „
3.	ახალციხის „	220 „	— „
4	ახალქალაქის „	200 „	— „
5.	მე-II ე ქართულ დივიზ. კომ.	137 „	70 „
6.	დუშეთის „ „	309 „	40 „
7.	ქუთაისის „ „	1.010 „	75 „
8.	ბორჯომის რაიკომიდან	124 „	— „
9.	ფოთის „	273 „	61 „
10.	ბორჩალის „	845 „	— „
11.	ოზურგეთის „	200 „	— „
12.	სამხრეთ-ოსეთის „	11 „	— „
13.	ცეკავშირის საძნელ განყ.	739 „	38 „
14.	სოხუმის „ „	800 „	— „
	ჯამი . .	7.198 მ.	29 კ.

პასუხისმგებელი რედაქტორი:
სარედაქციო კოლეგია.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლეხანოვის პროსპ. № 91.

მთავარლიტ № 411. შეკვ. № 4829/756. დაიბეჭდა 3000 ც.

საქართველოს ბიბლიოთეკა

